

ISSN 1987-5789

# ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS AND BUSINESS  
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

ივლისი-აგვისტო  
JUNY-AUGUST  
ИЮЛЬ-АВГУСТ

2014

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და პიზნის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი  
და რევენგირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-  
практический журнал факультета Экономики и Бизнеса  
Тбилисского государственного университета имени Ив.  
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ  
Published since January, 2008 once in two month  
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,  
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,  
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.  
e-mail: ebf.journal@tsu.ge

## სარედაქციო კოლეგია

**რევაზ გოგოხია** – მთავარი რედაქტორი,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლეო ჩიკავა**.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური ანანიაშვილი, რამაზ აბესაძე, თემურ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ნათელა ლაცაბიძე, ეკა ლეკაშვილი, მანანა ლობჯანიძე, მურთაზ მაღრაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთევან მარშავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, იაკობ მესხია, დავით ნარმანია, ნუგზარ პაიჭაძე, სერგო სანაძე, ირაკლი სალარაიშვილი, დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ლაღანიძე, ლეილა ღუდუშაური, ეთერ ხარაიშვილი, ელენე ხარაბაძე, რომან ხარბედია, ნოდარ ხადური, აკაკი ხელაძე, თემურ შენგელია, ემზარ ჯგერენია.**

## EDITORIAL BOARD

**Revaz Gogokhia** – Editor-in-chief, Doctor of Economic sciences, professor.

Academicians of National Academy of Sciences of Georgia, Doctors Of Economics Sciences, professors: **Vladimir Papava, Avtandil Silagadze**, corresponding member of Georgian National Academy of Sciences, doctor of Economic Sciences, professor **Leo Chikava**.

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abesadze, Temur Beridze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Leila Gudushauri, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Natela Latsabidze, Eka Lekashvili, Manana Lobjanidze, Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Elguja Mekvabiishvili, Iakob Meskhia, David Narmania, Nugzar Paichadze, Sergo Sanadze, Irakli Sagareishvili, Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Giorgi Gaganidze, Eter Kharaihvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Akaki Kheladze, Temur Shengelia, Emzar Jgerenaia.**

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

**Реваз Гогохия** – главный редактор, доктор экономических наук, профессор.

Академики Национальной Академии наук Грузии, доктора экономических наук, профессора: **Владимер Папавა, Автандил Силагაძე**, член-корреспондент Национальной Академии наук Грузии, доктор экономических наук, профессор **Лео Чикава**.

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананишвили, Рамаз Абесадзе, Темур Беридзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелესиани, Леила Гудушаური, Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанაძე, Натела Лацаბიძე, Ека Лекашвили, Манана Лобжანიძე, Муртаз Магრაძე, Майя Маргველაშვილი, Кетеван Маршава, Элгуджа Мекვაбишвили, Якоб Месхия, Давид Нармания, Нугзар Паиჭაძე, Серго Санаძე, Иракли Сагарეишвили, Демур Сичинаვა, Мириан Тухашვილი, Георгий Гаганиძე, Етер Хараишвили, Элене Харабаძე, Роман Харбедея, Нодар Хадური, Акаки Хеладзе, Темур Шенгелия, Эмзар Джгереная.**

---

---

## სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, პილიპენკო ე.ვ. ემდ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ურალის განყოფილების ეკონომიკის ინსტიტუტის კურგანის ფილიალის დირექტორი. კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

### **FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:**

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Pilipenko E.V. Economical doctor in science, economic branch in Kurgan unstitute, region of Ural, Russia. Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

### **ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:**

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Пилипенко Е.В. Д.Э.Н. - Директор Курганского филиала ИЭ УрО РАН, Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.



---

---

## სარჩევი

### ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

<b>რევაზ ბველესიანი.</b> ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის რეალობისაგან დაშორების ძირითადი მიზეზები და მათი აღმოფხვრის შესაძლებლობები .....	11
<b>მერაბ ხმალაძე.</b> დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების წარმოშობა და განვითარება .....	25
<b>მილორდ სიჭინავა.</b> ეკონომიკის პროპედევტიკა: კურსის აგების სიძნელეები და პრინციპები .....	45

### მიკრო-მაკროეკონომიკა

<b>გიორგი ლაღანიძე.</b> კონკურენტული უპირატესობის პრობლემის კვლევისადმი სისტემური მიდგომა .....	53
<b>ТОЛОРДАВА ЖАННА.</b> Государственно-частное партнерство: реальность и перспективы .....	65
<b>СОБОЛЕВА ТАТЬЯНА.</b> Пути создания благоприятной инновационной среды для корпораций .....	75
<b>ლელა ჯამაგიძე.</b> პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაადგილების დეტერმინანტები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში .....	87
<b>ვახტანგ ჭარაია.</b> წნეხი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების „ძლიერ ველზე“ .....	109
<b>ОГАНЕСЯН АРТАК.</b> Анализ состояния экономики Республики Армения .....	123

---

---

**მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი**

**მანანა ხარხელი.** მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯ-  
მენტი და მომხმარებლების ქცევის ტრანსფორმაცია ...139  
**ანნა თანდილაშვილი.** იმიჯის როლი ბიზნესის წარმატე-  
ბაში ..... 149

**ანალიტიკური ინფორმაცია**

**თამარ ბიჭიკაშვილი.** მენეჯერთა გამოწვევები და შესა-  
ძლებლობები ..... 159  
**ქეთევან ლუღუშაური.** აუდიტის ჩამოყალიბება და  
ევოლუცია ..... 171

**ახალი წიგნები:**

**როგორია პროუესიონალ-რეპრეზენტა აზრი?**

**ლეო ჩიქავა,რევაზ ბოგოხია,მისეილ ჯიბუტი.** ფრიად საჭირო  
და სერიოზული ნაშრომი დასანანი ხარვეზებით ..... 185

ჟურნალში - “ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო  
სტატიების წარმოდგენისა და გამოქვეყნების წესი .....194

---

---

## CONTENTS

### ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

R.GVELESIANI. The Main Reasons behind Economic Policy Conception and Reality Gap and Possible Solutions .....	11
M. KHMALADZE . Demography originate and development .....	25
M. SICHINAVA. Propaedeutics of Economics: The difficulties and principles of the creation of the course .....	45

### MICRO – MACROECONOMICS

G. GAGANIDZE. Systematic Approach to Research the Competitive Advantage .....	53
J.TOLORDAVA. Public - private partnership: Reality and Prospects .....	65
T. SOBOLIEVA. Ways of Creating Favorable for Innovation Corporate Environment .....	75
L.JAMAGIDZE. The Location Determinants of FDI in the South Caucasus Countries .....	87
V. CHARAIA.Pressure on foreign direct investment’s “strong field” .....	109
A. OGHANNISYAN. Description of the economic situation of the Republic of Armenia .....	123

---

---

MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

M. KHARKHELI. The management of dealing with costumers and transformation of consumers behavior ..... 139

A. TANDILASHVILI. The role of the image in business success ..... 149

ANALYTICAL INFORMATION

T. BITCHIKASHVILI. Management challenges and opportunities ..... 159

Q. GUDUSHAURI. Audit formation and evolution ..... 171

NEW BOOKS: WHAT IS OPINION OF PROFESSIONAL –  
REVIEWERS?

L. CHIKHAVA, R. GOGOKHIA, M. JIBUTI. Very necessary and serious work with pity detections ..... 185

In magazine - “Economic and Business” , Presentation of scientific articles and submission rule ..... 194

---

---

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

<b>РЕВАЗ ГВЕЛЕСИАНИ.</b> Основные причины расхождения от реальности концепции экономической политики и возможности его преодоления .....	11
<b>МЕРАБ ХМАЛАДЗЕ.</b> Возникновение и развитие демографии как науки .....	25
<b>МИЛОРД СИЧИНАВА.</b> Пропедевтика экономикса: трудности и принципы построения курса .....	45

### МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

<b>ГЕОРГИЙ ГАГАНИДЗЕ.</b> Системный подход к исследованию проблем конкурентных преимуществ .....	53
<b>ЖАННА ТОЛОРДАВА.</b> Государственно-частное партнерство: реальность и перспективы .....	65
<b>ТАТЬЯНА СОБОЛЕВА.</b> Пути создания благоприятной инновационной среды для корпораций .....	75
<b>ЛЕЛА ДЖАМАГИДЗЕ.</b> Детерминанты размещения прямых иностранных инвестиций в странах Южного Кавказа .....	87
<b>ВАХТАНГ ЧАРАЯ.</b> Бремя на «сильном поле» прямых иностранных инвестиций .....	109
<b>АРТАК ОГАНЕСЯН.</b> Анализ состояния экономики Республики Армения .....	123

---

---

## МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

МАНАНА ХАРХЕЛИ. Менеджмент отношений с потребителями и трансформация действия потребителей .....	139
АННА ТАНДАШВИЛИ. Роль имиджа в успехе бизнеса..	149

## АНАЛИТИЧЕСКАЯ ИНФОРМАЦИЯ

ТАМАР БИЧИКАШВИЛИ. Вызовы и возможности менеджеров .....	159
КЕТЕВАН ГУДУШАУРИ. Формирование и эволюция аудита .....	171

## НОВЫЕ КНИГИ:

КАКОВО МНЕНИЕ ПРОФЕССИОНАЛ-РЕЦЕНЗЕНТОВ? ЛЕО ЧИКАВА, РЕВАЗ ГОГОХИЯ, МИХАИЛ ДЖИБУТИ. Очень нужный и серьёзный труд с досадными недостатками.....	185
Правила представления и опубликования научных статей в журнале «экономика и бизнес».....	194

**ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის  
რეალობისაგან დაშორების ძირითადი მიზეზები  
და მათი აღმოფხვრის შესაძლებლობები**

**რეზაზ ბველსიანი**

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათ-  
ედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-  
გერმანული ინსტიტუტის დირექტორი**

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია შეიძლება გან-  
ისაზღვროს, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების  
ზოგადი ჩარჩო პირობები, მისი საფუძველი. როდესაც ასეთი  
კონცეფცია რაციონალურობის პრინციპს ემყარება, იგი წარ-  
მოადგენს ზოგად და მასშტაბურ მიზანთა კარგად გააზ-  
რებულსა და მყარ სისტემას. იგი ასევე მოიცავს წესრიგის  
პოლიტიკის პრინციპებს, მათთან თავსებადსა და მიზნის მი-  
მართ კონფორმულ საშუალებებს. ამ პოზიციიდან კი ეკონო-  
მიკა სხვა არაფერია, თუ არა ბევრად უფრო მასშტაბურ სა-  
ზოგადოებრივ მიზანდასახულობათა შემადგენელი ნაწილი.  
ეკონომიკური კონცეფცია აადვილებს რაციონალური ეკონო-  
მიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა მიღებას. ამ საფუძ-  
ვლის გარეშე მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკის საკითხ-  
ებზე რაციონალური გადაწყვეტილების მიღება უამრავი  
მისწრაფებისა და მოქმედების შესაძლებლობათა გათვალ-  
ისწინებასთან არის დაკავშირებული. ეს კი ძირითადი ღი-  
რებულებებისა და ზოგადი მიზნების საფუძვლიან გააზრე-  
ბასაც გულისხმობს. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია  
სწორედ მოქმედების შესაძლებლობათა წინასწარი შერჩევის  
საშუალებას გვაძლევს. სწორედ ის ადგენს ინტერვენციის  
წესს, როგორც საშუალებათა გამოყენების კრიტერიუმს [1,

გვ.202]. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გარკვეული გადაწყვეტილება მოქმედებათა მაქსიმალური რაოდენობის უშუალო შემოწმების გარეშე მივიღოთ. სწორედ კონცეფციის საფუძველზე დგინდება მათი (გადაწყვეტილებათა) თავსებადობა საზოგადოების უფრო მასშტაბურ მიზნებთან, რაც ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული მიზნების რეალიზებას ხელს უწყობს.

როდესაც მეთოდური ნორმა რაციონალურობაა, მაშინ კონცეფცია კრიტიკული რეფლექსიის შედეგია. სწორედ ეს გარემოებაა იმის საწინდარი, რომ იგი ლოგიკურ წინააღმდეგობებს არ მოიცავს. მართალია, კონცეფცია განსაზღვრავს ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების მიმართულებას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თითქოსდა იგი წინასწარ ჭკრეტდეს: მომავალში ეკონომიკური პოლიტიკის რასახის ცვლილებები მოხდება და როგორ განვითარდება მასთან დაკავშირებული ცალკეული პროცესები. ამიტომაც, ოპერაციონალიზების ასპექტით კონცეფციაში ჩამოყალიბებული მიზნები ეჭვს არ იწვევს. ამასთან ერთად, არც მართვის შესახებ მოძღვრების მიზანია ეკონომიკური პოლიტიკის კანონზომიერებათა რაოდენობრივად ზუსტად განსაზღვრა, თუმცა იგი ერთმანეთთან აკავშირებს მიზნებსა და საშუალებებს. ეკონომიკას არ ახასიათებს ასეთი კანონზომიერებანი. სწორედ გამუდმებული საზოგადოებრივი ცვლილებები განაპირობებს იმას, რომ მათი ლეგიტიმურობა დროში შეზღუდულია. რაც შეეხება კონცეფციას, მასში მოცემულია მიზნებსა და საშუალებებს შორის გრძელვადიან ურთიერთობათა სისტემა. ამიტომაც ერთი მხრივ, იგი გვაწვდის დებულებებს მოქმედების იმ არეალის თაობაზე, რომელშიც ესა თუ ის ინსტრუმენტი კონცეფციით ჩამოყალიბებული მიზნის მიღწევას ემსახურება, მეორე მხრივ კი, წესრიგის პოლიტიკის პრინციპებთან მის თავსებადობას განსაზღვრავს.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია დაკავშირებული



ღია წესრიგის პოლიტიკასთან, რაზეც სწორედ კონცეფციით ნებადართულ საშუალებებსა და პრინციპებს შორის დამოკიდებულება მიუთითებს. ასეთ დამოკიდებულებებში კოორდინაციის წინასწარ მოცემული პროცესებიც იგულისხმება. კონცეფცია სწორედ მაშინ არის მწყობრი და მყარი, როდესაც მასში მოცემული ინსტრუმენტები და სხვა პრინციპები, კონკრეტული გადაწყვეტილების ასპექტით, კოორდინირებული და პარმონიული მოქმედების პირობას აკამყოფილებს. ასე, რომ საბაზრო კოორდინაცია შესაბამისობაშია საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპთან. კერძო მოქმედებები, რომლებიც კონკურენციის საფუძველზე ხორციელდება, სრულ თანხმობაშია ეკონომიკური პოლიტიკის მართვის მოთხოვნასთან, რომელიც საინფორმაციო პოლიტიკისა და მონაცემთა ცვლილების საშუალებით ხორციელდება. საბაზრო მოთხოვნებთან შეუთავსებელი იქნებოდა კერძო ეკონომიკური მოქმედებების კოორდინირებულობის ჩანაცვლების მცდელობა სახელმწიფო მართვის პირდაპირი ძალადობრივი ფორმით. აქედან, უპირველეს ყოვლისა, მოქმედების თავისუფლების აზრით მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი გამომდინარეობს. საქმე ეხება იმას, თუ რაოდენ გამართულად ფუნქციონირებს კოორდინაციის პრინციპზე დამყარებული კონფორმული სისტემა.

კონცეფციაში მოცემულ წესრიგის პოლიტიკის ელემენტებზე განსაკუთრებით აისახება ის ზეგავლენა, რომელსაც ეკონომიკური პოლიტიკის ტენდენციებზე ახდენს საზოგადოების საბოლოო მიზნები და მათი ინტერპრეტაციები. ეკონომიკური წესრიგი, რომელიც საფუძველად უდევს კონცეფციას, თვითმიზანი არ არის. იგი საზოგადოებაში არსებული ძირითადი შეხედულებების გამოხატულებაა. სწორედ ამის საფუძველზე უნდა გავიაზროთ რეგულირებადი ბაზრის ორი ასპექტი, რომელთაგან ერთი კოორდინირებული სისტემის მართვას უკავშირდება, მეორე კი, იმის დადგენას გულისხმობს, თუ რამდენად არის შესაძლებელი ეკონომი-

კური პოლიტიკის მოვლენების მართვა. არსებობს ორი ალტერნატივა საბაზრო ეკონომიკისა და ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის სახით. მაგრამ გასარკვევია სწორედ ის თუ რა პოზიცია უჭირავს ამ ალტერნატივაში ეკონომიკური წესრიგის იმ ტიპს, რომელიც რეგულირებად საბაზრო ეკონომიკას ემყარება. გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განისაზღვრება ეკონომიკური ასპექტით ინდივიდუალური თავისუფლება და სამართლიანობა. როდესაც აქცენტი კეთდება მოპოვებული სოციალური სტატუსის შენარჩუნებასა და სამართლიანობის შესახებ სუბიექტურ აღქმაზე, მაშინ საბაზრო კოორდინაცია და მასზე დაფუძნებული კერძო საკუთრების ავტონომია გარკვეულ შეზღუდვასა და კორექტირებას საჭიროებს. მაგრამ თუ აქცენტი გადატანილია წარმატებაზე და ინდივიდის უნარზე – მიესადაგოს პროგრესის მომტან ცვლილებებს, მაშინ სუბიექტური ავტონომიის მაღალ დონესთან ერთად აუცილებელია მატერიალური სტიმულებიც არსებობდეს. მათ განაწილებას სრულიად განსხვავებული, მაგრამ ყველასთვის ასატანი და მისაღები შედეგები უნდა მოჰყვეს.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია ვერ იქნება მეცნიერულად დასაბუთებული თუნდაც იმიტომ, რომ საქმე ინდივიდებისა და ცალკეული ჯგუფების ეკონომიკურ ინტერესთა რეალიზაციასთან გვაქვს. პრობლემა იმაშია, რომ მეცნიერული დასაბუთება მიზნებსა და საშუალებებზეც ვრცელდება. ამისათვის კი არა მარტო შეფასებითი დებულებები, არამედ შეფასებათა შესახებ დებულებებიც აუცილებელი იქნებოდა. მიზნები მეცნიერულად ხელმისაწვდომია მხოლოდ:

- ოპერაციონალიზების,
- მათ ლოგიკურსა და ემპირიულ თვისებებს შორის კავშირისა და
- მიზანი - საშუალება - დამოკიდებულების ასპექტით.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციასთან დაკავშირებით მეცნიერული ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს

იმაზე, რომ:

- იგი მიზანი-საშუალება - სისტემის საფუძველზე აიხსნას;
- შემოწმდეს ხომ არ მოიცავს იგი წინააღმდეგობას;
- შემოწმდეს თუ რამდენად გამართულად ფუნქციონირებს კოორდინაციის პროცესები და არის თუ არა ისინი შესაბამისობაში სისტემით დაშვებულ საშუალებებთან (სისტემის კონფორმულობა). დასახული მიზნები რამდენად რეალიზებადია (მიზნების კონფორმულობა);
- შეფასდეს მათი განხორციელების შესაძლებლობა იდეათა ფორმირების პოლიტიკური პროცესის გათვალისწინებით.

აღნიშნულ ძალისხმევათა შედეგი იმის გამოვლენა უნდა იყოს, რომ მართვის თეორიის ასპექტით კონცეფციები პოლიტიკურად წინააღმდეგობისგან თავისუფალია და ყალბ წარმოდგენებს არ შეიცავს. ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც მეცნიერების ამოცანა ალბათ სწორედ ამის დადგენა და კონცეფციების იდეოლოგიური ელემენტების აღმოჩენა უნდა იყოს [2, გვ.296]. მაგრამ ასეთი მცდელობა განსხვავდება იმ მცდელობებისაგან, რომლებიც ეკონომიკური წესრიგის ტიპების ანდა მოდელების შემუშავებას მიზნად ისახავს. ამ ტიპის აბსტრაქციების შემთხვევაში წინააღმდეგობის არარსებობა მთავარი მოთხოვნაა. როდესაც საკმე ეხება ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების საფუძველს, მაშინ წინა აღმდეგობის გარეშე აბსტრაქციები მხედველობაში მისაღები არ არის. ისინი მოკლებული არიან ემპირიულ შინაარსს და კონკრეტული ეკონომიკური მიზნების ჩამოყალიბების დროს ინსტიტუციურ ასპექტებს არ ითვალისწინებენ. ექსტრემალური ეკონომიკური წესრიგის ტიპებში ეს ვითარება განსაკუთრებით თვალში მოსახვედრია. მაგალითად, აშკარაა ეკონომიკური პოლიტიკის რეკომენდაციების აბსტრაქციის ხარისხი, რომლებიც სრულყოფილ კონკურენციას, როგორც რეკომენდაციათა სისტემას

ისე ითვალისწინებს. რეალობაში პრაქტიკულ მიზნებთან მიმართებაში ასეთი რამ არ გამოდგება.

თუ გვინდა, რომ კონცეფციამ შეასრულოს თავისი ამოცანა და ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების მყარ საფუძვლად იქცეს, აუცილებელია გრძელვადიანი პოლიტიკური კონსენსუსის უზრუნველყოფა. იგი უნდა ითვალისწინებდეს, რომ ეკონომიკა არის სისტემის სტრუქტურული რგოლი და ამ მხრივ მისი მიზნები უფრო მასშტაბური საზოგადოებრივი მიზნების შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის განხორციელებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად საჭიროა:

- გარკვეული დრო;
- მისი შედეგები უნდა შეფასდეს მხოლოდ შედარებითი ანალიზით;
- გათვალისწინებული უნდა იქნეს ძირითადი და თანამხლები მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზემოქმედებები, რომლებმაც შესაძლებელია მიზანთა კონფლიქტები გამოიწვიოს. მათი მოგვარებისათვის აუცილებელია
- შემოწმდეს ხომ არ შეიცვალა ძირითადი ღირებულებების შესახებ წარმოდგენები და მიღწეულ კონსენსუსს ნაწილობრივ ან მთლიანად ხომ არ გამოეცალა საფუძველი.

აქედან გამომდინარე საჭიროა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციები მუდმივად მოწმდებოდეს და დროთა განმავლობაში მათში შესწორებები შედიოდეს. ამავე დროს, კონკრეტულ გარემოებათა ზეგავლენით, მიუხედავად ეკონომიკური პოლიტიკის გამტარების ძალისხმევისა, შესაძლებელია, რომ კონცეფცია და ფაქტობრივი პოლიტიკა ერთმანეთს დაშორდეს. ამით კონცეფცია, როგორც პრაქტიკული მიზნების ორიენტირი, მნიშვნელობას როდი დაკარგავს. თუ მასზე უარს ვიტყვით, მაშინ ჩვენს წინაშე შემდეგი კითხვა გაჩნდება: რით უნდა ჩავანაცვლოთ იგი, რომ თითქმის გაუაზრებელი ინტერვენციების საფრთხე თავიდან ავიცილოთ? მსოფლიო ეკონომიკურ აზროვნებაში სულაც არ იგ-

რძნობა ისეთი მოდელის დევიციტი, რომლებიც ადამიანთა თანაცხოვრების იდეალურ მდგომარეობას გვიხატავენ. საუკუნეთა მანძილზე ყოველსმომცველ საზოგადოებრივ ცვლილებებს ბიძგს სწორედ ასეთი უტოპიები აძლევდა.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის შექმნას იგივე მიზეზი აქვს, რაც საზოგადოდ ეკონომიკური პოლიტიკის ყველა პრობლემას. ესაა ფაქტობრივ მდგომარეობასა და სასურველ ეკონომიკურ განვითარებას შორის განსხვავება. აუცილებელია უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება წარმომადგენლობით დემოკრატიებში, რომ კონცეფციების განხორციელება შესაძლებელი გახდეს. ეს კი დამოკიდებულია, როგორც იმაზე თუ რამდენად მიმზიდველია მათ მიერ ჩამოყალიბებული მიზნები, ისე მათი მიღწევის საშუალებებზე. ისინი კი ტექნოლოგიის შესახებ მსჯელობების ანალიზმა უნდა ცხადყოს. სხვა მხრივ, რაკი საქმე ეხება მიზნებისა და საშუალებების ინდივიდუალურ შეფასებებს, შეუძლებელია ინტერესთა კონფლიქტები თავიდან ავიცილოთ. უმრავლესობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად აუცილებელია, რომ ისინი (მიზნები და მათი მიღწევის საშუალებები) საკმარის კომპრომისებსა და კომპენსაციებს გვთავაზობდნენ. გამორიცხული არ არის, რომ კონცეფციის ქომაგები შეფასებით მსჯელობებსა და მართვის შესახებ წარმოდგენებში საზოგადოებრივად ჩამოყალიბებული მიზნების, წესრიგის პოლიტიკის პრინციპებისა და შესაბამისი, მიზნისადმი კონფორმული საშუალებების საკუთარი კომბინაციით ხელმძღვანელობდნენ. რაც ძალზე წააგავს იდეალური კონცეფციის მოდელს. თუ ასეთი მოდელის მიხედვით შევაფასებთ მიზნებსა და საშუალებებს, მაშინ მეცნიერული შემოწმებისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ კონცეფცია, რომელსაც უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვების უნარი აქვს, უმნიშვნელო კომპრომისს გვთავაზობს.

ეკონომიკური პოლიტიკა მოწოდებულია ღლოგიკური და თანმიმდევრული დიაგნოზირების საფუძველზე აღმოფხვრას

კონკრეტული ნაკლოვანებები და აქედან გამომდინარე შედეგები შემდგომი მოქმედებებისას მაქსიმალურად გაითვალისწინოს. მან უნდა აჩვენოს ის, თუ როგორ უნდა მოხდეს სოციალურ ტექნიკაზე დაფუძნებული თანმიმდევრული რეფორმების განხორციელება. იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში არსებული პრობლემები რაციონალურად არის გააზრებული, მაშინ მათი დაძლევის ყოველი ეტაპი, ერთი მხრივ, ერთმანეთთან თანხმობაში უნდა იყოს. მეორე მხრივ, კი საზოგადოების მდგომარეობისა და განვითარების შესახებ გლობალურ შეფასებებს უნდა შეესაბამებოდეს. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია, როგორც ჩარჩო პროგრამა, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. შეფასებებსა და ტექნოლოგიის ცოდნაში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით მისი გადამოწმება პერიოდულად უნდა მოხდეს.

ისტორიული ასპექტით სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია ჩამოყალიბდა, როგორც რეაქცია:

- იმ მხარდსა და ორიენტაციას მოკლებულ ინტერვენციონიზმზე, რომელსაც ახორცილებდნენ განვითარებული სახელმწიფოები ორივე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში;

- ცენტრალიზებულად მართვად ეკონომიკასთან დამოკიდებულებაში დაგროვილ გამოცდილებაზე, რომელმაც სრულიად დაადასტურა მეცნიერულად ჩამოყალიბებული პროგნოზები;

- იმ სტრატეგიაზე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის პირველ წლებში ცდილობდა სილატაკის აღმოფხვრას ბიუროკრატიულ-ეკონომიკური მეთოდებით.

წესრიგის პოლიტიკის ასპექტით სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის კონკრეტული ტიპის ჩამოყალიბების მცდელობაა. ამ კონცეფციის მიზანია, რომ „საბაზრო თავისუფლების პრინციპი სოციალურ თანასწორობასთან დააკავშიროს“ [3, გვ.390].

ამით აღიარებულია ინდივიდუალური თავისუფლებისა და სამართლიანობის მიზნები.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის მომხრე ეკონომისტების მიერ შემუშავებული შეხედულებები არ არის საკმარისად ნათლად ფორმულირებული, ამიტომაც მათი მცდარი ინტერპრეტირების შესაძლებლობა არ არის გამორიცხული. მართლაც ის გარემოება, რომ ეკონომიკური პოლიტიკის დებულებები კონცეფციაში შევიდა ანუ პრაქტიკული პოლიტიკის მიზნად იქცა, არ არის მათი სიზუსტის საკმარისი გარანტია. კონცეფციას საკმაოდ კონკრეტული ხასიათი აქვს იმისათვის, რომ იგი რეალობას შევადაროთ და მათ შორის განსხვავება დავინახოთ. საკმარისია გავაანალიზოთ პირველი ორი ათწლეული მსოფლიო ეკონომიკის იმ პერიოდისა, როცა კონცეფცია ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების სტანდარტს წარმოადგენდა, რომ ჩვენთვის ცხადი გახდება თუ რაოდენ დაშორდა იგი რეალობას:

- კონკურენციის უზრუნველყოფის მიმართულებით გაუბედავი ნაბიჯებია გადაგმული. ასე გაგრძელდა 1960 წლამდე, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში არ შეიქმნა კონკურენციის დაცვის კანონმდებლობა. შემდგომ წლებში კანონების დეფიციტი ნაწილობრივ შეივსო. თუმცა ამ ცვლილებებმა შემდგომშიც კი ვერ სრულყო ის სამართლებრივი შესაძლებლობები, რაც აუცილებელია „კონკურენციის მაქსიმალური ინტენსივობის მისაღწევად მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე“;

- თავიდან ვერ იქნა აცილებული ისეთი ღონისძიებები, რომლებიც საბაზრო კოორდინაციას აფერხებს. პირიქით, სწორედ მათი საშუალებით განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებშიც საბაზრო კოორდინაციას გამოეთიშა ისეთი დარგი, როგორცაა სოფლის მეურნეობა. ორი ათეული წლის შემდეგაც კი ვერა და ვერ იქნა მიღწეული „სოციალურ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ზოგიერთი დარგის სრულად ჩართვა საბაზრო ეკონომიკაში“ [3, გვ.392]. აღსანიშნავია, რომ



მდგომარეობა დღემდე უცვლელი რჩება;

- რაც შეეხება „სავალუტო წესრიგს“, ფულის ღირებულების გაუარესება იმავე ორი ათეული წლის განმავლობაში გვაფიქრებინებს, რომ კონცეფციიდან გადახვევა მოხდა. ამ მოვლენის ერთ-ერთი მიზეზი იყო ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ., გერმანიაში, ფასების განსაზღვრის სახელმწიფო პოლიტიკა. იგი კონცეფციასთან სრულიად შეუთავსებელი აღმოჩნდა. სავალუტო კურსის თავისუფალი ცურვის რეჟიმი გამორიცხავს მასში კორექტურის შეტანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ცენტრალური ბანკი უძღურია გააკონტროლოს მონეტარული ექსპანსია. ამავე დროს, სავალუტო კურსის კორექტირების ნაცვლად გატარდა სისტემისადმი ნაკლებ კონფორმული ღონისძიებები, როგორცაა მაგ., უცხოური კაპიტალის მოძრაობის გაკონტროლება, საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა და სხვა.

- კონცეფციასა და რეალობას შორის გაჩენილი ღრმა ბზარი შესაძლებელია გლობალური კონტროლის შედეგი იყოს [4]. სოციალური საბაზრო ეკონომიკა, არსებითად უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს კონიუნქტურის პოლიტიკასა და მართვის შესახებ მოძღვრებას (ასევე „განხორციელების შესაძლებლობას“). სწორედ ასეთი იყო კონცეფციის ინიციატორთა ჩანაფიქრიც. გლობალური კონტროლი წესრიგის პოლიტიკის მიხედვით საბაზრო კოორდინაციის თავისებურ გაგებას ემყარება. სახელდობრ, იგი განისაზღვრება, როგორც მოქმედების, წესრიგის პოლიტიკაზე ორიენტირებული მოვლენა. ეს თვალსაზრისი არ ითვალისწინებს პოლიტიკის კანონზომიერებებს, როგორც ხელისშემშლელ ფაქტორს, რომელიც არ ვაძლევს მართვის გეგმის თანმიმდევრულად გამოყენების შესაძლებლობას. კონტროლის გარეშე, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გლობალურ კონტროლს დღემდე არ მოუტანია დამაჯერებელი შედეგი [5].

- კონცეფციის ინიციატორებს მისი სოციალურ-სახელმწიფოებრივი კომპონენტებიდან გამომდინარე მიაჩნ-



დათ, რომ ე. წ. დინამიკური რენტის გამოყენება „არათანმიმდევრულობას“ წარმოადგენდა. რიოპკე თვლიდა, რომ ეს იყო „კეთილდღეობის სახელმწიფოსკენ გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯი, რომელიც ადამიანს სრული გასახელმწიფოებრიობის საფრთხეს უქადის“ [6 გვ.66]. მაგრამ უმჯობესია, რომ ეს ამავე დროს იყო „სხვებზე ზრუნვის“ რეალიზებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ამას მოჰყვა სხვა ნაბიჯებიც, მაგრამ ამავე დროს მან სოციალური დაზღვევის გამტარებლთა ინსტიტუციური გამოფიტვა გამოიწვია. სოციალური სახელმწიფო თავისი შინაარსით ხელს უწყობს სუბსიდირების პრინციპის თანდათანობით განდევნას, რაც პოლიტიკური კონკურენციის შედეგია. კონცეფციის გადატვირთვასა და გამოფიტვას განაპირობებს მწვავე პრობლემა, რომელიც დემოკრატიის ერთ განსაზღვრულ ფორმას უკავშირდება. საუბარია კეთილდღეობის სახელმწიფოსა და დემოკრატიის იმ ფორმაზე, რომელიც მას (უმრავლესობის კეთილდღეობას) ემყარება. ეს პრობლემა საკითხის ეთიკური ასპექტის მიჩქმალვას იწვევს. ზოგჯერ კი მას ტაბუდ აქცევს. საქმე ეხება განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკურ უზღუდვებელყოფასა და მათ მიმართ ოპორტუნისტულ რეაქციას. რასაც ისიც აძლიერებს, რომ უმრავლესობის ინტერესთა ჯგუფები (ტნკ-ის ეკონომიკური ინტერესები) და პოლიტიკური აქტიორები ერთმანეთთან კავშირში არიან, როგორც პერსონალურად, ისე ფინანსურად [7].

განხილული მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია და პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა ერთმანეთს განვითარების გარკვეულ ეტაპზე შორდება. ეს დაკავშირებულია კონცეფციის რეალიზების ძირეულ პრობლემებთან. საქმე ეხება იმ პრობლემებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული პოლიტიკური პროცესის გამო წარმოიშვა. ამ მხრივ გასათვალისწინებელია შემდეგი მოსაზრება [8, გვ.78]:

„სოციალური საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციური ჩარჩო არ არის საკმარისად მტკიცე და მყარი, რომ მან გაუძლოს ან წინააღმდეგობა გაუწიოს, ერთი მხრივ, წესრიგის ქვედა დონის პოლიტიზების ტენდენციებს (იგულისხმება არაფორმალური სექტორის ინტერესები), მეორე მხრივ, კი მისგან გამომდინარე ოპორტუნისტული შესაძლებლობების რეალიზებას (იგულისხმება კორუფციული გარიგებები)“.

საზოგადოდ, ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის რეალიზებას წინ ელობება, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური დაბრკოლებები. თუ გვინდა კონცეფციასა და რეალობას შორის გაჩენილი ბზარის აღმოფხვრა, აუცილებელია ამ დაბრკოლებების იდენტიფიცირება და მათი თავიდან აცილება. ამისათვის კი საჭიროა:

- პრევენციის ტექნოლოგიის ცოდნის გაუმჯობესება, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა, ისე იდეათა ფორმირების პოლიტიკური ასპექტით;

- როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტარუმის, ისე პოლიტიკური მეთოდების გაუმჯობესება.

კონკრეტულად უნდა შემოწმდეს შესაძლებელია თუ არა:

- ეკონომიკური პოლიტიკის აქტიუობათა გარდაუვალი კოორდინაციის გაუმჯობესება, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის უამრავი გამტარებელი არსებობს;

- ინტერესთა ჯგუფების ზეგავლენის შეზღუდვა ეკონომიკური პოლიტიკის იდეების ფორმირების პოლიტიკურ პროცესზე;

- გადაწყვეტილების გამტარებელთა მართვის ცოდნის გაუმჯობესება ეკონომიკური პოლიტიკის დონისძიებათა შედეგების კონტროლის საფუძველზე. აადვილებს თუ არა ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობის იდენტიფიცირებას და მათთვის (საჭიროების შემთხვევაში) საჯარიმო სანქციების დაკისრების შესაძლებლობას [9, გვ.145-146].

ამავე დროს, აუცილებელია იმის გაცნობიერება თუ

რა არის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის რეალიზებისა და მისი შემდგომი განვითარების, ისე ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ შეხედულებათა ჩამოყალიბების მთავარი წანამძღვარი. ეს არის რაც შეიძლება ფართო კონსენსუსი იმ ძირითადი ღირებულებების შინაარსისა და მოქმედების მასშტაბის თაობაზე, რომლის რეალიზაცია საზოგადოებას სურს. პრაქტიკული მოქმედების სფეროში მათი გადმოტანა პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ხშირად პოლიტიკური კონკურენციის ზეწოლით საკითხი არაფრის მოქმელი დეკლარაციებითა და სიმბოლური მოქმედებებით ამოიწურება.

### **The Main Reasons behind Economic Policy Conception and Reality Gap and Possible Solutions**

**R. Gvelesiani**

The conception about the economic policy and the practical economic policy part from each other at a certain stage of their development. The reason behind is related to the basic problems of the conception realization. These are problems which have emerged within the policy of market economic order as a result of the public welfare oriented political process.

The realization of the conception about the economic policy is hindered by both economic and political barriers. Filling the gap between the conception and the reality needs that these barriers to be identified and eliminated. This requires: development of prevention technology knowledge in the aspects of both economic relations and politics of idea formation; improvement of the sets of economic policy instruments and the political methods.

Understanding of the main points underlying the precondition of putting into practice the conception about economic policy and the for-

**mation of the economic and public order point of views is essential. This is the broadest possible consensus about the contents of the main values and scales of the activities, which are approved by the society.**

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. TUCHTFELDT, E. (1982), Wirtschaftspolitik, in: Handwoerterbuch der Wirtschaftswissenschaft, Bd. 9, Stuttgart u. a.
2. STREIT, M. E. (2005), Theorie der Wirtschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart.
3. MULLER-ARMACK, A. (1956), Soziale Marktwirtschaft, in: Handwoerterbuch der Sozialwissenschaften, Bd. 9, Stuttgart, Tuebingen, Goettingen.
4. TUCHTFELDT, E. (1973), Soziale Marktwirtschaft und Globalisierung; in ders. (Hrsg.): Soziale Marktwirtschaft im Wandel, Freiburg, S.159-188.
5. STREIT, M. E. (1981), Demand Management and Catallaxy - Reflections on a Poor Policy Record. Ordo 32. S. 17-34.
6. MOLITOR, B. (1958), Soziale Marktwirtschaft. Hamburger Jahrbuch fuer Wirtschaft- und Gesellschaftspolitik 3.
7. STREIT, M. E. (2003), Menschliches Wissen – Dimensionen eines komplexen Phaenomens, in: ORDO 54, S. 113-122.
8. KLOTEN, N. (1986), Der Staat in der Sozialen Marktwirtschaft (Walter-Eucken-Institut, Vortraege und Aufsaeetze 108), Tuebingen.
9. რ.გველესიანი, ი.გოგორიშვილი, ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა, თბილისი 2012.

**დემოგრაფიის, როგორც მენეჯერების  
წარმოშობა და განვითარება**

**მერაბ ხმალაძე**

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,**

**თბილისის იე.ჯავახიშვილის სახ.**

**სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

დემოგრაფიამ გაიარა განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა, ჯერ როგორც ადამიანთა პრაქტიკულმა საქმიანობამ, შემდეგ კი მეცნიერების ერთ-ერთმა დარგმა. ასევე მრავალი საუკუნის განმავლობაში დემოგრაფია ვითარდებოდა სტატისტიკის ჩარჩოებში. ამასთან დაკავშირებით სრულიად ანტიმეცნიერულად წარმოგვიდგება ზოგიერთი რუსი დემოგრაფის მტკიცება იმის შესახებ, რომ დემოგრაფიული მეცნიერება არ „დაბადებულა“ სტატისტიკიდან, არამედ მისი ფორმირება მოხდა ხალხთომოსახლეობის შესახებ მეცნიერული ცოდნის განვითარების შედეგად [6, გვ.59]. დემოგრაფია, მოსახლეობის სტატისტიკის სახით, აღმოცენდა სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად და XVII საუკუნის ჩათვლით, განსაზღვრავდა სტატისტიკის შინაარსს. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან კაპიტალიზმის განვითარებამ ევროპაში და განსაკუთრებით ინგლისში საფუძველი ჩაუყარა სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის განვითარებას, რითაც სტატისტიკის პრაქტიკულ-სამეცნიერო ფუნქციები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მაგრამ ამის შემდეგაც თითქმის სამასი წლის მანძილზე დემოგრაფია არსებობდა და ვითარდებოდა სტატისტიკის ჩარჩოებში და მხოლოდ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოხდა მისი აღიარება დამოუკიდებელ მეცნიერებად, თუმცა, მისი

## მერაბ ხმალავი

---

როგორც მეცნიერების ფორმირება, იწყება XVII საუკუნის შუახანებში.

მოსახლეობაში მიდინარე დემოგრაფიულ პროცესებს სწავლობდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები – ექიმები, სასულიერო პირები, მათემატიკოსები, ასტრონომები, იურისტები, გეოგრაფები, ბიოლოგები, სახელმწიფო მოღვაწეები თუ უბრალოდ ჩინოვნიკები, უმაღლესი განათლებით თუ მის გარეშე. მაგრამ **დემოგრაფიის ისტორიაში ყველაზე ღრმა კვალი დატოვა ჯონ გრაუნტმა**, რომელიც სამართლიანად ითვლება მის მამამთავრად, ფუძემდებლად, პიონერად, რომელმაც თამამად შეაღო ახალი მეცნიერების კარი. მისი ნაშრომი იყო დემოგრაფიული პროცესების ანალიზის პირველი მცდელობა. მის მიერ მოხაზულ დემოგრაფიის შესასწავლ საკითხთა წრეს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. იმავდროულად გრაუნტი **ვილიამ პეტან** ერთად ითვლება ინგლისში აღმოცენებული სტატისტიკის მიმართულების, „პოლიტიკური არითმეტიკის“ ფუძემდებლად [5, გვ.27]. უფრო მეტი, ზოგიერთი დემოგრაფი (გ.ბორისოვი) თვლის, რომ „გრაუნტის თხელი წიგნი (სულ 90 გვერდი) ერთდროულად გახდა არა ერთი, არამედ სამი მეცნიერების – სტატისტიკის, სოციოლოგიისა და დემოგრაფიის ჩასახვის საფუძველი, რომლებიც შემდგომი სამი საუკუნის განმავლობაში არკვევდნენ ერთმანეთს შორის „ნათესავურ“ ურთიერთობას – თუ ვის, ვინ, რად ეკუთვნის. **მაგრამ, თავდაპირველად გრაუნტის წიგნის პირდაპირ შთამომავლად იქცა პოლიტიკური არითმეტიკა** – მეცნიერება, რომელიც ცდილობდა შეესწავლა საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი (უფრო ზუსტად სტატისტიკური) კანონზომიერებანი“ [1, გვ.9].

**ჯონ გრაუნტი (1620-1674)** – ლონდონელი, მაუდიო მოვაჭრე, საშუალო და უმაღლესი განათლების არმქონე, ლათინურს

და ფრანგულს სწავლობდა თავისუფალ დროს, მაღაზიის გახსნამდე. მან დიდ წარმატებას მიაღწია საზოგადოებრივ საქმიანობაშიც, გახდა რა ლონდონის მილიციის მაიორი (როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი თანამდებობა იყო), ლონდონის მუნიციპალიტეტის (ახლანდელი საკრებულოს) წევრი, 1660-იან წლებში ითვლებოდა დიდი გავლენის მქონე მდიდარ ვაჭრად. ლონდონის 1666 წლის ხანძრის შემდეგ ის დიდად დაზარალდა და თავისი უერთგულესი მეგობრის, ვ. პეტის მატერიალური დახმარების მიუხედავად, წელში ვეღარ გაიმართა. საზოგადოებაში სარგებლობდა უმწიკვლო ადამიანის რეპუტაციით.

1662 წლის 25 იანვარს ლონდონში გამოიცა ჯონ გრაუნტის წიგნი სათაურით: „ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებები .... გაკეთებული მოკვდაობის ბიულეტენების საფუძველზე ქ. ლონდონში.“ წიგნი შედგებოდა მხოლოდ 90 გვერდისაგან, ხოლო დანართებიანად – 117 გვერდისაგან. აღნიშნულ წიგნს დიდი წარმატება ხვდა, 1662-1676 წლებში ის გამოიცა ხუთჯერ. მისმა ავტორმა წიგნის გამოსვლისთანავე მოიპოვა დიდი აღიარება, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ გრაუნტი თვით მეფე **კარლოს II**-ის რეკომენდაციით, 1662 წელსვე არჩეულ იქნა ლონდონის სამეფო საზოგადოების (იგივე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). ინგლისის მეფე კარლოს II მთელი ცხოვრება ცდილობდა რაღაცით ეჯობნა საფრანგეთის მეფე **ლუდოვიკო XV**-ისათვის. მაგრამ კარლოს მეორემ აჯობა როგორც საფრანგეთის მეფეს, ასევე ევროპის ყველა მონარქს და მმართველს იმით, რომ მან პირველმა დააარსა მეცნიერებათა აკადემია და როგორც ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, ამისთვის მას სიამაყის სრული საფუძველი ჰქონდა [4, გვ.67]. მეცნიერებათა აკადემიები ევროპის ქვეყნებში შეიქმნა საკმაოდ მოგვიანებით, მაგალითად, შვედეთში – 1739 წელს.

## მერაბ ხმალაძე

რას წარმოადგენდა მოკვდაობის ბიულეტენები, რასაც „დააკვირდა“ გრაუნტი? – ეს იყო ოფიციალური ყოველკვირეული კრებულები, რაც შემოღებული იქნა და დგებოდა ლონდონში 1517-1849 წლებში. მისი აღმოცენება და არსებობა უკავშირდებოდა შავი ჭირის ეპიდემიებს. XVII საუკუნის შემდეგ ბიულეტენები ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისთვისაც. კერძოდ, მასზე არსებობდა ხელმოწერა 4 შილინგად. ეს ფაქტი მეტად ყურადსაღებია, რამდენადაც სტატისტიკური და მათ შორის დემოგრაფიული სტატისტიკის ინფორმაცია ზოგიერთ ქვეყანაში მკაცრ საიდუმლოებას წარმოადგენდა და მისი გამხელისათვის პიროვნება სასტიკად ისჯებოდა, თვით სიკვდილით დასჯის ჩათვლით. მაგალითად, შვეიცარიელი **პასტორი მიგრე**, რომელმაც 1766 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი მოსახლეობის სტატისტიკის შესახებ ბერნის ეკონომიკური საზოგადოების შრომათა კრებულში, მიცემული იქნა პასუხისგებაში, ხოლო პასტორ **ვაზერს** ციურისში XVIII საუკუნის 70-იან წლებში სტატისტიკური საქმიანობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. რუსეთში, ეკატერინე II დროს, მეცნიერებათა აკადემიამ მოითხოვა სტატისტიკური მონაცემები ოფიციალურად. ეს მოთხოვნა ხელისუფლების მიერ მიზნეული იქნა დანაშაულად, ხოლო სახელის – სტატისტიკა – გაგონებაც არ უნდოდათ. რუსულ ენაზე ეს სიტყვა პირველად გამოქვეყნდა ბეჭდვით სიტყვაში 1795 წელს ერთ-ერთი წიგნის სათაურში, რომელიც დაუყოვნებლივ იქნა კონფისკებულირათა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რაიმე არ გამოეწვია. რუსეთში მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში, 1804-1805 წლებში იქნა შეტანილი სტატისტიკა საუნივერსიტეტო და აკადემიურ დისციპლინად, იმავდროულად ხელმისაწვდომი გახდა სტატისტიკური საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია [6, გვ.42-43].

1840 წელს, ინგლისის მოსახლეობის ბუნებრივი



მოძრაობის სტატისტიკის წარმოება, საეკლესიო სტატისტიკიდან გადაეცა სახელმწიფო ორგანოს, გენერალურ რევისტრატორს, რის შედეგადაც 1849 წელს ბიულეტენების წარმოება და გამოცემა შეწყდა.

ბიულეტენების ფორმა და შინაარსი მათი არსებობის მანძილზე იცვლებოდა. კერძოდ, 1530-იანი წლებიდან ყოველკვირეული ბიულეტენები იძლეოდა გარდაცვალების საერთო რიცხვს – მათ შორის შავი ჭირით გარდაცვლილებისას. 1580-იანი წლებიდან ბიულეტენში ჩნდება მონაცემები დაბადებულთა და მონათლულთა რიცხვის შესახებ. XVII საუკუნის დასაწყისიდან ბიულეტენებში შედის მნიშვნელოვანი ცვლილება – შავი ჭირის გარდა ქვეყნდება მონაცემები მოკვდაობის დანარჩენი მიზეზების შესახებაც. ბიულეტენების შემდგომი დამატება იყო გარდაცვლილების და დაბადებულების (ასევე მონათლულების) განაწილება სქესის მიხედვით. მონაცემები დაქორწინებულთა რიცხვის და გარდაცვლილთა ასაკის შესახებ არსებობდა 1686 წლიდან, გრაუნტის გარდაცვალების შემდეგ.

გრაუნტი პირველი მისვლა, რომ ამს თუ იმ კანონზომიერების დადგენა უნდა მომხდარიყო არა ცაკლეულ, არამედ მრავალ, მასობრივ ფაქტებზე დაყრდნობით, რითაც ის მიუახლოვდა დიდ რიცხვთა კანონის გაგებას, თუმცა, მასზე წარმოდგენაც არ ჰქონდა და რომელიც დამუშავდა ალბათობის თეორიაში საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ. მაგრამ ეს მიგნება გრაუნტის საოცარ გამჭრიახობაზე მეტყველებს.

იმავედროულად, სტატისტიკისა და დემოგრაფიის ისტორიაში გრაუნტი პირველი იყო, რომელმაც სტატისტიკური აღრიცხვის არასრულყოფილების პირობებში დასვა არსებული სტატისტიკური ინფორმაციის საიმედოობის საკითხი, რასაც ის დიდ ყურადღებას უთმობდა. ამასთან ერთად, მიღებული შედეგების სიზუსტეს გრაუნტი რამდენიმე

## **მერაბ ხმალაკე**

---

ხერხით ამოწმებდა და მხოლოდ ამის შემდეგ აკეთებდა დასკვნებს. აღნიშნული პრინციპები დღესაც ფუნდამენტურია სტატისტიკასა და დემოგრაფიაში.

გრაუნტი აღნიშნავდა, რომ ისეთი დიდი შეცდომები არსად არ შეინიშნებოდა, როგორც მოსახლეობის რიცხოვნობის განსაზღვრისას. არანაკლებ აუცილებელია იმის ცოდნა, აღნიშნავდა ის, რამდენია მოსახლეობა სქესის, ოჯახური მდგომარეობის, ასაკის, რელიგიის და ა.შ. მიხედვით, რომელთა კარგი ცოდნა, აუცილებელია კარგი, დამაჯერებელი და იოლი მმართველობისათვის. ამ შემთხვევაში კი გრაუნტი ხაზს უსვამდა დემოგრაფიის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ჩატარებული კვლევის შედეგად გრაუნტმა დადგინა რიგი კანონზომიერება: 1. გოგონებთან შედარებით ბიჭები იბადებიან მეტი; 2. კაცები კვდებიან უფრო ახალგაზრდები, ვიდრე ქალები; 3. კაცების რიცხვი ჭარბობს ქალებისას; 4. მოკვდაობა დიდია სიცოცხლის პირველ წლებში; 5. მოკვდაობა დიდ ქალაქში მაღალია პროვინციასთან შედარებით; 6. შემოდგომა არაჯანმრთელი დროა – ხელს უწყობს ეპიდემიების გავრცელებას; 7. ლონდონში კვდება მეტი, ვიდრე იბადება, ამიტომ ქალაქი იზრდება პროვინციებიდან მიგრაციის ხარჯზე; 8. ლონდონის ზრდასთან ერთად მასში იზრდება მოკვდაობაც; 9. შობადობა პროვინციებში მაღალია ლონდონთან შედარებით; 10. რამდენადაც წელი ნაკლებად ხელსაყრელია ჯანმრთელობისათვის, იმდენად დაბალია შობადობა; 11. ბავშვების და ახალმოსულების მოკვდაობა ლონდონში მაღალია პროვინციებთან შედარებით; 12. შავი ჭირის ეპიდემიის შემდეგ ლონდონი მოსახლეობით ივსება ორი წლის განმავლობაში; 13. ყოველი ქორწინება საშუალოდ იძლევა 4 ბავშვს; 14. აბორტები და მკვდრად დაბადება შეადგენს მონათლულთა დაახლოებით 5%; 15. რიგ ავადმყოფობას მოკვდაობის მიზეზებში აქვს მყარი პროცენტი,

როდესაც გადამღები ავადმყოფობების პროცენტი იცვლება და ა.შ.

გრაუნტს ეკუთვნის რიგი არაპირდაპირი გამოთვლები, როგორცაა დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვის დახმარებით მოსახლეობის რიცხვის განსაზღვრამოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დადგენა მიახლოებით და სხვა.

გრაუნტის უდიდეს დამსახურებად ითვლება მოკვდაობის ცხრილების, როგორც მოკვდაობის შესწავლის საუკეთესო მეთოდის შემუშავება. მან განსაზღვრა მოკვდაობის თანმიმდევრობა ასაკის ზრდასთან ერთად, რამაც შემდგომში იქონია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა სიცოცხლის დაზღვევის განვითარების საქმეში. მართალია, მოკვდაობის ცხრილის აგების პირველი ცდა ეკუთვნის ძველ რომაელებს – **ემილია მაცერას** და სახელმწიფო მოღვაწეს (პრეფექტს), იურისტ **ულპიანეს**, მაგრამ ეჭვს გარეშე თვლიან, რომ თვითნასწავლმა გრაუნტმა მათ შესახებ არაფერი იცოდა და წარმოადგენს პირველ მეცნიერს, რომელმაც სათავე დაუდო **მოკვდაობის** თანამედროვე ცხრილების აგების პრაქტიკას.

**გრაუნტის წიგნი მიჩნეულია განსაკუთრებულ სამეცნიერო-ისტორიულ ფასეულობად, დიდ წვლილად მსოფლიოს კულტურის საგანძურში. სტატისტიკასთან შედარებით, გრაუნტმა გაცილებით ღრმა და ძლიერი გავლენა მოახდინა დემოგრაფიის განვითარებაზე.**

გრაუნტის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, 1675 წელს, წარმოიშვა პიკანტური ისტორია – დავა „დაკვირვებების“ ნამდვილი ავტორის შესახებ. იყო აზრი, რომ ნაშრომი დაწერა პეტიმ და მიაწერა გრაუნტის სახელი. მოგვიანებით პეტიმ, 1682 წელს „დაკვირვებები“ ჩართო თავისი შრომების სიაში, მაგრამ მოგვიანებით თვითონვე გამოასწორა ეს გაუგებრობა. 1927 წელს პეტის შთამომავალმა მარკიზმა **ლენსდანიმა** კიდევ ერთხელ დაიწყო იმის მტკიცება, რომ „დაკვირვებების“

ნამდვილი ავტორი იყო პეტი.

მეცნიერების ისტორიკოსები (ა. ანიკინი, მ.ვ. პტუხა და სხვები) მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პეტის არ სჭირდებოდა სხვისი სახელით თავისი ნაშრომის გამოქვეყნება. ნაშრომის ავტორი არის გრაუნტი, ხოლო პეტის, როგორც გრაუნტის მეგობარს და განათლებულ ადამიანს, შეეძლო წიგნისათვის გაეკეთებინა რედაქცია. როგორც პროფესორი ბ.ც. ურლანისი წერს, პეტისთვის უჩვეულო იყო ვინმესათვის, თუნდაც მეგობრისათვის თავისი კუთვნილი დიდების გაზიარება, ხოლო თავად ჯ. გრაუნტისათვის კი, რომელიც ყველგან უმწიკლო ავტორიტეტით სარგებლობდა, ყოველად მიუღებელი იყო სხვისი სახელის მისაკუთრება [2, გვ. 52].

დემოგრაფიის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ცნობილმა ინგლისელმა ასტრონომმა **ედმუნდ ჰალლეიმ** (1656-1742), ოქსფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა მეცნიერმა. დღეს ყველასთვის ცნობილია მისი აღმოჩენილი კომეტა, რომელიც ჰალლეის სახელს ატარებს. დემოგრაფიის წინაშე მისი დამსახურება ისაა, რომ გააგრძელა გრაუნტის მიერ დაწყებული მოკვდაობის პრობლემების კვლევა. მან, გერმანიის ქალაქ ბრესლაუს 1687-1691 წლების ბუნებრივი მოძრაობის მასალებზე დაყრდნობით, ააგო გრაუნტთან შედარებით სრულყოფილი მოკვდაობის ცხრილი, რომელიც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო სიცოცხლის დაზღვევის სრულყოფის საქმეში. ამასთან, მან ნათლად ჩამოაყალიბა დიდ რიცხვთა კანონის იდეა. ის თვლიდა, რომ 14-17 წლის ასაკში გარდაცვლილთა მცირე რიცხვი, რომელიც კანონზომიერებას არ იძლევა, გამოწვეულია იმით, რომ 4 წლის მონაცემები მცირეა. რომ ავიღოთ 20 წლის მონაცემები, ე.ი. დაკვირვების საკმაოდ რიცხვი, კანონზომიერება მოცემულ და ზოგიერთ სხვა ასაკშიც მკაფიოდ გამოჩნდებოდაო, აღნიშნავდა ჰალლეი.

XVII საუკუნის დასასრულს და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დემოგრაფიის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა ინგლისური პოლიტიკური ართიმეტიკის წარმომადგენელმა **გრეგორი კინგმა** (1648-1712). პროფესიით ის იყო გენეალოგიკრაფიორი,ჰერალდი. თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა საშუალებას აძლევდა მიეღო სტატისტიკური მონაცემები, რასაც ის აანალიზებდა. საინტერესოა კინგის მიერ გაკეთებული ინგლისის მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზი. ის თვლიდა, რომ ინგლისის მოსახლეობა 1700 წელს შეადგენდა 5,5 მლნს, ხოლო 2300 წლისათვის მას უნდა მიეღწია 11 მლნისათვის, თუმცა, ინგლისის მოსახლეობამ 11 მლნს მიაღწია უკვე 1850-იან წლებში.

ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოცემული პროგნოზი აბსურდია. მაგრამ მას შეიძლება შევხედოთ მეორე მხრიდანაც. XVII საუკუნეში, როდესაც კინგმა გააკეთა პროგნოზი, მოსახლეობის ბუნებრივი მატება ძალიან მცირე იყო. კინგის გაანგარიშებით, თუ 1700-2300 წლებში შენარჩუნებული იქნებოდა მაშინდელი ბუნებრივი მატება, ინგლისის მოსახლეობა 2300 წლისათვის მიაღწევდა 11 მლნს. მაგრამ მოცემული რიცხოვნობის მისაღწევად ინგლისის მოსახლეობას დასჭირდა არა 700 წელი (1600-2300 წლები), არამედ – 250 წელი (1600-1850 წლები). აღნიშნული კორექტივი კინგის ნაშრომში შეიტანა პროგრესმა, ცხოვრების დონის ზრდამ, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებამ, რამაც იმდენად შეამცირა მოკვდაობის დონე და გაზარდა მოსახლეობის ბუნებრივი მატება, რომ გამოიწვია პროგნოზულთან შედარებით მოსახლეობის მეტად სწრაფი ზრდა. ასე, რომ კინგის პროგნოზი არაპირდაპირ გვიხასიათებს კაცობრიობის პროგრესს. თუ ამ კუთხით შევხედავთ, კინგის პროგნოზი საკმაოდ ფასეული მოგვეჩვენება [3, გვ.14-15].

კინგმა შეისწავლა ინგლისის მოსახლეობის

## მერაბ ხმალაკე

---

ბუნებრივი მოძრაობა, სქესობრივ-ასაკობრივი და ოჯახური შემადგენლობა. ოჯახურ შემადგენლობაში ის განიხილავდა: ცოლ-ქმარს, ქვრივ კაცებს, ქვრივ ქალებს, ბავშვებს, მოსამსახურეებს, ოჯახში მაცხოვრებელ სხვა ადამიანებს. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დასახასიათებლად კინგი სარგებლობდა შემდეგი მაჩვენებლებით: რამდენი მცხოვრები მოდის ერთ დაბადებულზე, ერთ გარდაცვლილზე, ერთ ქორწინებაზე. დღეისათვის ეს მაჩვენებლები გამოვითვლება 1000 მცხოვრებზე რამდენი დაბადებული, გარდაცვლილი ან ქორწინება მოდის.

კინგს ეკუთვნის იმ დროისათვის და ალბათ, დღემდე უნიკალური გაანგარიშება XVII საუკუნის ბოლოსათვის, 1688 წლის მონაცემებით. კერძოდ, 26 სოციალური ჯგუფისათვის მან გაიანგარიშა ოჯახის საშუალო სიდიდე (ოჯახის ნამდვილი წევრების გარდა ყველა ერთად მცხოვრების ჩათვლით), წლიური შემოსავალი, ხარჯები და მათ შორის სხვაობა – დაგროვება. აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი იყო ლორდების ოჯახი, რომელიც შედგებოდა საშუალოდ 40 წევრისაგან, ხოლო ყველაზე მცირე – ჯარისკაცის ოჯახი – შედგებოდა საშუალოდ 2 წევრისაგან, მეზღვაურის ოჯახი შედგებოდა საშუალოდ 3 წევრისაგან.

თუ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე დემოგრაფიის განვითარებაში პრიორიტეტი ეკუთვნოდათ ინგლისელ მეცნიერებს, XVIII საუკუნის შუა პერიოდიდან დემოგრაფიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ფრანგმა მეცნიერებმა, რომელთაგან უნდა გამოვყოთ: **მოხო ზოგიერთის მოსაზრებით – მოხო, ემანუელ დიუვილარი (1755-1832) და პიერ ლაპლასი (1749-1827).**

მოხომ 1778 წელს გამოსცა წიგნი – „გამოკვლევები და მოსაზრებები საფრანგეთის მოსახლეობაზე.“ ამ ნაშრომში

## **საქართველოს ისტორია და საქართველოს კულტურა**

ის ანალიზებს საფრანგეთის მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას, დიდ ყურადღებას უთმობს დემოგრაფიული პროცესების ანალიზს გენდერული (სქესის მიხედვით) ჭრილით. საყოველთაოდ ცნობილია სქესის მიხედვით ანალიზის მისეული შეფასება: მთავარი განსხვავება, აღნიშნავდა მოხო, რომელიც არსებობს კაცობრიობაში, არის სქესი. ის აყალიბებს საწყისს, უცვლელს ყველა დროისათვის, აძლევს ადამიანს სხეულის ცნობილ აგებულებას, მანერებს, ძალას, ავადმყოფობებს, ფორმას, ხასიათს, სულიერ თვისებებს, გულს, გემოვნებას, ზნეობას, უფლებებს, პრივილეგიებს, ვალდებულებებს, რომლებიც არსებითად განასხვავებს მამაკაცებსა და ქალებს.

მოხოს პირველს ეკუთვნის იდეა შობადობის სპეციალური კოეფიციენტების გამოთვლის შესახებ. იგი მიუთითებს შობადობის დონის გაზომვის სამ მეთოდზე: 1) რამდენ ქალზე მოდის ერთი დაბადებული (1-13-ზე); 2) რამდენ გათხოვილ ქალზე მოდის ერთი დაბადებული (1-4,5-ზე); 3) ქორწინებათა რიცხვი შეფარდებული დაბადებულთა რიცხვთან (ე.ი. რამდენი ქორწინება იძლეოდა 1 დაბადებულს). აღიარებულია, რომ მოხოს აღნიშნული ნაშრომი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დემოგრაფიაში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილ ფრანგ დემოგრაფთა პლეადას მიეკუთვნება **ემანუილ დიუვილარი** (1755-1832), კარგი მათემატიკოსი. დაკავებული იყო სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული გამოთვლებით. მუშაობდა საფინანსო სამმართველოში, იყო სადაზღვევო სამუშაოთა ბიუროს დირექტორი, რომელიც შემდეგ გადაკეთდა პოლიტიკური არითმეტიკის ბიუროდ. 1805 წლიდან მუშაობდა მოსახლეობის სტატისტიკაში. სამეცნიერო დამსახურებისათვის 1796 წელს

## **მერაბ ხმალაკე**

---

დიუვილარი არჩეული იქნა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. გამოაქვეყნა სამი ნაშრომი, რომლებიც მოიცავდნენ დემოგრაფიის საკითხებსაც. მან პირველმა გააკეთა გამოთვლები ქ. ჟენევის მოსახლეობის მოკვდაობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, რომელიც ჭირდებოდა სიცოცხლის დაზღვევისათვის; გამოთვალა მოკვდაობის ცხრილები ქ. ჟენევაში მცხოვრები მამაკაცების და ქალებისათვის; შეისწავლა ყვავილის გავლენა მოსახლეობის მოკვდაობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, დაადგინა, რომ ყვავილით მოკვდაობის თავიდან აცილება მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას გაზრდიდა არა ნაკლებ სამი წლით.

მან ბევრი რამ გააკეთა თეორიული თუ პრაქტიკული კუთხით, რათა განესაზღვრა, როგორი იქნებოდა მოკვდაობის საერთო დონე და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მოკვდაობის ამა თუ იმ მიზეზის თავიდან აცილების შემთხვევაში.

**დიუვილარი არის რა სიცოცხლის დაზღვევის ერთ-ერთი შემოქმედი, იმავდროულად გვევლინება დიდ თეორეტიკოს - დემოგრაფად.**

**პიერ ლაპლასი (1749-1827)** გამოჩენილი ფრანგი მათემატიკოსი და ასტრონომი. 1786 წელს გამოსცა მცირე მოცულობის ნაშრომი – „დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების შემთხვევები 1771-1784 წლებში პარიზში და 1781 და 1782 წლებში საფრანგეთის მთელს ტერიტორიაზე.“ ამ ნაშრომში ის წერს მოსახლეობის შესწავლის დიდ მნიშვნელობაზე. განსაკუთრებით დიდია ლაპლასის გამოთვლების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა საფრანგეთის მოსახლეობის რიცხოვნობის არაპირდაპირი განსაზღვრისათვის მოსახლეობის საყოველთაო აღწერების



არარსებობის პირობებში.

ლაპლასის უდიდესი დამსახურებაა შერჩევითი გამოკვლევის მეთოდის დამუშავება და მისი პირველად გამოყენება ფართო მასშტაბით. საქმე კი შემდეგში მდგომარეობდა: საფრანგეთის 1801 წლის მოსახლეობის აღწერა ჩავარდა, მოსახლეობის რიცხოვნობის მეტ-ნაკლებად სანდოდ განსაზღვრა ვერ მოხერხდა. მოსახლეობის რიცხოვნობის დასადგენად ლაპლასმა მთავრობას შესთავაზა შერჩევითი გამოკვლევის ჩატარება, რაზედაც ის მაშინვე დათანხმდა და გასცა შესაბამისი განკარგულება.

ლაპლასის მეთოდი მდგომარეობდა შემდეგში: საფრანგეთის 30 დეპარტამენტში შეირჩა ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებშიც 1802 წლის 22 სექტემბერს ჩატარდა მოსახლეობის ზუსტი აღწერა. მათი მოსახლეობა განისაზღვრა 2 037 615 მცხოვრებით. ამავე ტერიტორიებზე დაბადებულთა სიებში სამი წლის განმავლობაში, 1799 წლის 22 სექტემბრიდან 1802 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით, აღირიცხა 215 599 დაბადებული, ე.ი. საშუალოდ წელიწადში 71 866. შესაბამისად, ლაპლასმა გამოთვალა, რომ ერთ დაბადებულზე მოდიოდა 28 მცხოვრები. აღნიშნული წარმოადგენდა შობადობის დონეს შერჩეულ ტერიტორიებზე, რისი ზუსტად განსაზღვრისთვისაც ლაპლასმა ჩაატარა შერჩევითი გამოკვლევა. მან ასევე ზუსტად განსაზღვრა, რომ იმ დროისთვის მთლიანად საფრანგეთში წელიწადში იბადებოდა 1 მლნ ბავშვი. ლაპლასმა შობადობის დონე გაამრავლა დაბადებულთა რიცხვზე და მიიღო საფრანგეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 1802 წლისათვის – 28 მლნ (28\*1 000 000=28 000 000). ამასთან გამოთვალა 1161 შანსით 1-ის წინააღმდეგ, რომ შეცდომა არ აღემატებოდა ნახევარ მლნს.

თანამედროვე მსოფლიოში ყველა ქვეყნის სტატისტიკური სამსახურების მიერ მოპოვებული ინფორმაციის უდიდესი

## **მერაბ ხმალამე**

---

ნაწილი მოდის შერჩევით გამოკვლევებზე, რაც დროისა და ფინანსური სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომიის პირობებში იძლევა საკმაოდ ზუსტ ინფორმაციას და მას მსოფლიო მეცნიერება და პრაქტიკა უნდა უმაღლოდეს ლაპლასს. **მხოლოდ ამ მეთოდის აღმოჩენა და პრაქტიკაში დანერგვა იქნებოდა საკმარისი ლაპლასის დიდებისათვის, რომ არაფერი ვთქვათ მის სხვა უდიდეს მიღწევებზე – ის იყო ალბათობის თეორიის ფუძემდებელი, დიდ რიცხვთა კანონის ერთ-ერთი შემოქმედი, დემოგრაფიაში დიდ რიცხვთა კანონის და საერთოდ ალბათობის თეორიის პირველი გამომყენებელი.**

**XIX საუკუნეში დემოგრაფიის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია ორმა გარემოებამ. პირველია ის, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში: აშშ და ევროპაში დაიწყო და შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერების პრაქტიკა, რომელიც რეგულარულად, 10 წელიწადში ერთხელ იძლეოდა მონაცემებს ქვეყნის მთელი მოსახლეობის რიცხოვნობის, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, ქორწინება-განქორწინების, მიგრაციის, ოჯახური შემადგენლობის და სხვა საკითხების შესახებ. ამასთანავე, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეიქმნა სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურები, დემოგრაფიული პროცესების აღრიცხვა ეკლესიიდან გადაეცა სახელმწიფოს. ეს ნიშნავდა, რომ დემოგრაფიული პროცესების აღრიცხვა გახდა გაცილებით სრულყოფილი. დემოგრაფიული პროცესების კვლევა ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით XVII–XVIII საუკუნესთან შედარებით, XIX საუკუნეში ავიდა გაცილებით მაღალ დონეზე.**

უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი ქვეყანა, რომელმაც ჩამოაყალიბა სრულყოფილი სახელმწიფო სტატისტიკა და

## **საქართველოს იურიდიული და საზოგადოებრივი მეცნიერებების ინსტიტუტი**

ასეთად რჩება დღესაც, იყო შვედეთი. შვედეთმა საკითხი გადაწყვიტა დანარჩენ ქვეყნებზე მთელი საუკუნით ადრე. ჯერ კიდევ 1686 წელს საეკლესიო კანონით სასულიერო წოდებას დაევალა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ფაქტების რეგისტრაცია. მაგრამ რაც მთავარია, 1747 წელს შვედეთის პარლამენტში შეიქმნა კომისია, რომელმაც დაამუშავა ფორმულარების (ანკეტების) პროექტი, რომლითაც უნდა მიეღოთ მონაცემები მოსახლეობის როგორც ბუნებრივი და მიგრაციული მოძრაობის, ასევე რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ. პროექტი მეფემ დაამტკიცა 1748 წლის 3 თებერვალს. **ფაქტობრივად ეს ნიშნავდა სახელმწიფო მოსახლეობის სტატისტიკის შექმნას.** იმისათვის, რომ შვედეთის მტრებს ვერ მიეღოთ მონაცემები, ინფორმაცია იყო მკაცრად ჩაკეტილი, როგორც სახელმწიფო საიდუმლოება. განსაკუთრებით არ უნდა გაეგოთ მტრებს შვედეთის მოსახლეობის მცირერიცხოვნობის შესახებ.

XIX საუკუნის განმავლობაში დემოგრაფია ატარებდა აღწერილობით ხასიათს, ვითარდებოდა სტატისტიკის ფარგლებში და ფაქტობრივად წარმოადგენდა დემოგრაფიულ სტატისტიკას.

XIX საუკუნის დემოგრაფიის ისტორიის განხილვა შეუძლებელია დემოგრაფიის **ნათლის ჟან კლოდ აშილ გიიარის** (1799-1876) გარეშე. 2009 წელს შესრულდა მისი დაბადებიდან 210 და გარდაცვალებიდან 133 წელი. გიიარი იყო სტატისტიკოსი და ბუნებათმცოდნე, პარიზის სტატისტიკური და ბოტანიკური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. სტატისტიკოსთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე 1853 წელს ქ. ბრიუსელში, გამოვიდა მოსხენებით, რომელშიც ხაზი გაუსვა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის ავადმყოფობების და მოკვდაობის ერთიანი, შესადარი ნომენკლატურის შემოღებას. მისი ეს იდეა დღეს განხორციელებულია ყველა ქვეყანაში.

## **მერაბ ხმალაკე**

---

დემოგრაფიის ისტორიაში გიიარი შევიდა როგორც ტერმინ „დემოგრაფიის“ შემოქმედი – 1855 წელს. ამ წელს გამოიცა მისი წიგნი „ადამიანის სტატისტიკის ელემენტები, ანუ შედარებითი დემოგრაფია.“ აღნიშნული ტერმინი თანდათანობით გავრცელდა ჯერ საფრანგეთში. 1874 წელს გამოიცა გიიარის სიძის **ლუი ადოლფ ბერტილონის** (1821-1883) წიგნი „საფრანგეთის თვალსაჩინო დემოგრაფია.“

ლუი ბერტილონი, ფრანგი დემოგრაფი, მედიცინის დოქტორი 1853 წლიდან, 1876-1883 წელს ხელმძღვანელობდა პარიზის სტატისტიკურ ბიუროს, დიდი ძალისხმევა მოახმარა ტერმინ დემოგრაფიის დამკვიდრებას. **1882 წელს, ჰიგიენის და დემოგრაფიის საერთაშორისო კონგრესზე** ტერმინი დემოგრაფია ოფიციალურად იქნა აღიარებული, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში ფართოდ გავრცელდა ევროპაში.

აშილ გიიარმა საფრანგეთში შექმნა დემოგრაფების დინასტია, რამდენადაც მისი შვილიშვილი **ჟაკ ბერტილონი** (1851-1922), ლუი ბერტილონის შვილი, ცნობილი ფრანგ დემოგრაფთა პლეადას მიეკუთვნება. ჟაკ ბერტილონი 1883 წლიდან, მამის გარდაცვალების შემდეგ, 1913 წლამდე ხელმძღვანელობდა პარიზის სტატისტიკურ ბიუროს, 1896 წელს, საფრანგეთის მოსახლეობის რიცხოვნობის გაზრდის მიზნით, დააფუძნა ნაციონალური კავშირი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, 1935 წელს გადაკეთდა დეპოპულაციის (მოსახლეობის შემცირების) წინააღმდეგ ბრძოლის ნაციონალურ საზოგადოებად. მისი მოღვაწეობის შედეგი იყო დემოგრაფიული პრობლემებისადმი საზოგადოების მხრიდან ყურადღების გააქტიურება. ჟაკ ბერტილონმა საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის დავალებით შემოუშავა ავადმყოფობების და მოკვდაობის მიზეზების ნომენკლატურის პროექტი, რითაც **პრაქტიკულად განახორციელა პაპის, აშილ გიიარის მეცნიერული იდეა,**

გამოთქმული მოცემულ საკითხზე 1853 წლის სტატისტიკოსთა პირველი საერთაშორისო კონგრესის პირველ სესიაზე.

**XX საუკუნე დემოგრაფიის განვითარებაში წარმოადგენს ახალ ეპოქას.** პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მოსახლეობის აღწერების და მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აღრიცხვის შეუდარებლად მაღალი დონე, როგორც პროგრამულ მეთოდოლოგიური, ასევე ორგანიზაციული და საიმედოობის თვალსაზრისით. XX საუკუნის დასაწყისიდან პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ატარებს მოსახლეობის აღწერებს. გაეროს რეკომენდაციით, 1950 წლიდან ტარდება მსოფლიოს მოსახლეობის აღწერები, ე.ი. ქვეყნები ცდილობენ აღწერები ჩაატარონ 0-ზე დამთავრებულ ან მასთან მიმდებარე წლებში (8,9,0,1,2), რაც უზრუნველყოფს როგორც ცალკეული ქვეყნების მონაცემების შესადარისობას, ასევე მსოფლიოს დემოგრაფიული ვითარების დაფიქსირებას.

XX საუკუნის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს დემოგრაფიული კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლების შემდგომი პროგრესი. დემოგრაფიული პროცესების კვლევა მიმდინარეობს უკვე არა მხოლოდ აღწერილობით, ემპირიულ ბაზაზე, არამედ საფუძვლად ედება თეორიული კონსტრუქციები, როგორცაა: „დემოგრაფიული ოპტიმიზმი“, „დემოგრაფიული რეგოლუცია“, „დემოგრაფიული გადასვლა“, „მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების კანონი“, „შობადობის შემცირების კანონი“, „თაობათა ცვლის შენელების კანონი“ და სხვა.

XIX და წინა საუკუნეებთან შედარებით, სრულყოფილი ხდება დემოგრაფიული პროცესების ანალიზის მეთოდები. ჯერ კიდევ 1884 წელს **რ. ბიოკმა** წამოაყენა მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტის იდეა, რომელიც 1920-იან წლებში განავითარა და სრულყოფილი სახით წარმოადგინა **რ. კუჩინსკიმ**. XX საუკუნის პირველ მეოთხედში

## **მერაბ ხმალამძე**

ამერიკელი მეცნიერის **ა. ლოტკას** მიერ დამუშავებული იქნა მათემატიკური „სტაბილური მოსახლეობის მოდელი.“ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში დაიწყო შობადობის შემცირება, რომელიც უფრო გაღრმავდა XX საუკუნეში, რამაც შობადობის შესწავლის საკითხი გასულ საუკუნეებთან შედარებით, წინა პლანზე წამოსწია. დაისვა შობადობის შემცირების მიზეზების შესწავლის საკითხი. ამის საფუძველზე დაიწყო დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური, თუ სხვა ფაქტორების შესწავლა შერჩევითი გამოკვლევებით, კერძოდ კი, სოციოლოგიური მეთოდის გამოყენებით. მაგრამ, ფაქტორები დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედებს არა უშუალოდ არამედ ჯერ ხდება მათი გააზრება ადამიანების მიერ, მათ დემოგრაფიულ პროცესებზე (შემთხვევებზე) უყალიბდებათ გარკვეული შეხედულება, **დემოგრაფიული განწყობა**, რომელიც რეალიზდება შესაბამისი პირობების დადგომისას. დემოგრაფიული განწყობა, როგორც ფაქტორებსა და შედეგებს შორის არსებული მნიშვნელოვანი მაკავშირებელი, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა დემოგრაფიულ კვლევაში სოციოლოგიური მეთოდის გამოყენების მიზეზი. **აღნიშნულმა ფაქტმა კიდევ უფრო მაღალ, სიღრმისეულ დონეზე აიყვანა დემოგრაფიული ანალიზი და გახდა დემოგრაფიის „სეპარატისტული“ პოზიციებიდან დამოუკიდებელ მეცნიერებად საბოლოოდ აღიარების მთავარი წინაპირობა XX საუკუნის მეორე ნახევარში.** თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არანაკლები როლი ეკუთნოდა იმ ფაქტს, რომ ისტორიული განვითარების შედეგად დემოგრაფია უკვე ვეღარ თავსდებოდა სტატისტიკის ჩარჩოებში.

დემოგრაფიის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა საერთაშორისო თანამშრომლობამ, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1920-30-იან წლებში. 1927, 1931 და 1937 წლებში ჩატარდა საერთაშორისო კონგრესები მოსახლეობის შესახებ.

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

აღნიშნული კონგრესები, გარკვეული პერიოდულობით, დღემდე ტარდება და განიხილება დემოგრაფიის მიმდინარე და სამომავლო აქტუალური პრობლემები თანამედროვე მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებასთან კავშირში.

დიდა დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში **გაეროს** წვლილი. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1973-1978 წლებში გაერომ გამოსცა მრავალტომიანი ნაშრომი – **„დემოგრაფიული ტენდენციების დეტერმინანტები და შედეგები. დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების ურთიერთკავშირის კვლევის შედეგების ახალი მოკლე გადმოცემა.“** ამ კრებულში შევიდა სხვადასხვა ქვეყანაში 1950-1970 წლებში გამოცემული რამდენიმე ასეული ნაშრომი, რაც ასახავდა დემოგრაფიის მიღწეულ დონეს იმ დროისათვის. 1970-იან წლებში გაერომ ჩაატარა **შობადობის მსოფლიო გამოკვლევა.**

XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში საყოველთაოდ გავრცელებულმა კომპიუტერიზაციამ განუსაზღვრელი საშუალებები შეუქმნა დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებას დემოგრაფიული პროცესების მოდელირების თვალსაზრისით.

დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში XX საუკუნეში თავისი წვლილი შეიტანეს მეცნიერებმა: ამერიკელებმა – **ა. ლოტკამ, რ. პირლიმ, უ. უილკოქსიმ; ფრანგებმა – ა. ლანდრიმ, ა. სოვიმ, ჟ. ბურჟუა პიშამ, რ. პრესამ; იტალიელებმა – კ. ჯინიმ, ლ. ლივიმ; პოლონელებმა – ე. როსეტმა, ე. ფილროზემ; უნგრელებმა – გ. საბადიმ, ე. ვალკოვიჩიმ** და სხვებმა. ქართული დემოგრაფიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს – **პ.გუგუშვილმა, ე.ჯაოშვილმა, ლ.ჩიქავამ, ა.თოთაძემ და სხვებმა.**

The demography developed for a long time within the statistics. John Graunt is recognized as founder of statistics science. His book at this subject published in 1662. Gregory King and William Peti great contribution to the development of demography. The term “Demography” made by Achille Giiar (1855 y.) XX century is new era for demography, because mathematical and sociological methods are using with statistical method.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ვ. ბორისოვი. დემოგრაფია. თარგმანი რუსულიდან ეკ. მეცნ. კანდიდატის ანზორ სახვაძის მიერ. თბ., 2001;
2. ანზორ სახვაძე. დემოგრაფიული მეცნიერების სათავეებთან (ჯონ გრაუნტის გარდაცვალების 330 წლისთავის გამო). ჟურნალი „დემოგრაფია“, 1(6), 2004;
3. მერაბ ხმალადე. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2008;
4. Д.К. Шелестов. Демография: история и современность. М., «Финансы и статистика», 1983;
5. М. Птуха. Отчерки по истории статистики XVII-XVIII веков. М., 1945;
6. А.В. Аникин. Юность науки. М., 1979.



**ეკონომიკის პროპელეტიკა:  
კურსის აგების სიხევეები და პრინციპები**

**მილორდ სიჭინავა**  
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,**  
**პროფესორი**

საერთოდ ეკონომიკური თეორიისა და, სახელდობრ, სწორედ მისი უდავო თანამედროვე მემკვიდრის – ეკონომიკის [8, გვ. 35-40] სახელწოდებით (ან კიდევ ამ სახელწოდებათა სხვადასხვა ვარიაციით) გამოქვეყნებულ თითქმის ყველა ბოლოდროინდელ გამოცემაში, კაცობრიობის იმ არეალში, სადაც მანამდე ისწავლებოდა პოლიტიკური ეკონომია თავისი ცნობილი იდეოლოგიზებული საზრისით, აშკარად შეინიშნება კურსის აგების ერთგვარი მისადაგება იმ სისტემისა და ლოგიკისადმი, რომლითაც გადმოიცემოდა ტრადიციულად ეს დისციპლინა. ამიტომ ყველა მათგანი გარკვეულწილად შეიცავს ერთგვარ ზოგად შესავალს, ერთგვარ შესამზადებელ ზოგად-მეთოდოლოგიურ წანამძღვარს კურსის შემდგომი მთავარი ნაწილის უფრო საფუძვლიანად დასაუფლებლად. მსგავსი ფუნქციის მატარებელი, მეტ-ნაკლებად განსხვავებული სტრუქტურისა და საზრისის მქონე ერთგვარი პროპედევტიკული (შესავალ-შესამზადებელი) ნაწილი, როგორც წესი, წინ უძღვის ასევე ეკონომიკის კურსის თითქმის ყველა დანარჩენ უცხოურ გამოცემასაც.

ასე, რომ ეკონომიკის კურსის სწორედ ამგვარი დანაწევრება მის ზოგად-შესამზადებელ და კონკრეტულ (მთავარ) ნაწილად ამა თუ იმ სახითა და მასშტაბით თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში არაა ახალი. მიუხედავად ამი-

სა,რამდენადაც ეს ჩვენთვისაა ცნობილი,დღემდე ჯერ კიდევ რეალურად არავის უცდია ამ ნაწილების საფუძვლიანი მეცნიერული განცალკევება ერთმანეთისგან და, შესაბამისად, ნაშრომის შექმნა **ეკონომიკის ზოგადი კურსის**, ანუ იგივე **ეკონომიკის პროპედევტიკის**, როგორც **დამოუკიდებელი დისციპლინის** შესახებ (არადა, ასეთი სახის განცალკევება დღეისათვის ერთობ აქტუალურია და საჭირო) [8], თუმცა არსებობს მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე [8; 2].

კურსის აგება არაა მარტივი. და ამ სირთულეს საფუძვლად უდევს უპირატესად, როგორც ჩანს, თავად საკუთრივ ეკონომიკური თეორიისა და, სახელდობრ, სწორედ ეკონომიკის კურსის აგების რიგი ნაკლოვანება და სიძნელეები. **პირველი**. მიუხედავად გამოკვლევათა ზღვა-სიმრავლისა, დღემდე არ არსებობს საერთოდ ზოგად-თეორიულ ეკონომიკურ გამოკვლევათა კურსის აგების არა თუ ერთიანი სტრუქტურა, არამედ მისი, გნებავთ, ერთიანი სახელწოდებაც. სხვადასხვა ქვეყანაში იგი ისწავლება რიგი განსხვავებული სახელწოდებით, როგორიცაა: პოლიტიკური ეკონომია, ნაციონალური ეკონომია, ეკონომიკური თეორია, თეორიული ეკონომიკა, ზოგადი ეკონომიკური თეორია, ეკონომიკის, მიკრო და მაკრო ეკონომიკის, ეკონომიკის პრინციპები, ეკონომიკის საფუძვლები და სხვ . **მეორე**. დღემდე არ არსებობს საგნის კვლევისა და გადმოცემის ერთიანი სისტემა და, შესაბამისად, ერთიანი სახელმძღვანელოც , მაშინ, **როდესაც ეკონომიკა** საერთოდ, როგორც **მატერიალური სინამდვილის ნაწილი**, როგორც **იგივე წარმოება, იგივე მეურნეობა საერთოდ**, – ესაა სწორედ გარკვეული ბუნებრივ-ისტორიული, ერთიანი, ლოგიკურად აწყობილი სხეული, გარკვეული ობიექტურად თვითგანვითარებადი სისტემა, რომელიც ათასწლეულთა მანძილზე ყალიბდებოდა, ფუნქციონირებდა და ვითარდებო-

და თავისი იმანენტური შინაგანი იმპულსებისა და კანონების მოქმედების შედეგად მისი შესაბამისი მეტ-ნაკლებად ადეკვატური ეკონომიკური აზროვნებითა და ცნობიერებით, რაც, სამწუხაროდ, როგორც ფაქტები მოწმობენ, დღემდე ვერ იქცა ერთიან მეცნიერულ შეხედულებად. **მესამე.** დღემდე არა თუ დაძლეული არაა მთელი რიგი უმთავრესი იდეურ-შემეცნებითი უთანხმოებანი და პოსტულატები საგნის გაგების არაერთ თეორიაში, არამედ ზოგჯერ ისინი არც კია დასმული თუნდაც აღნიშნული მეცნიერების კურსის ყველაზე ცნობილ გადმოცემებშიც. მათთვის, უბრალოდ, გვერდია ავლილი . ეკონომიკურ მოვლენათა განვითარება კი, როგორც ეს საყოველთაოდაა ცნობილი, ობიექტური, კანონზომიერი, ისტორიული პროცესია და, თუკი რომელიმე თეორიული შეხედულება ზუსტად ასახავს ამ პროცესს, ან კიდევ სწორედ მის გარკვეულ მხარეს (სფეროს, მონაკვეთს, პერიოდს და ა.შ.) მეცნიერულად, მისი იგნორირება არაა გამართლებული, ვინაიდან თავად ცხოვრება დროთა განმავლობაში მაინც დაადასტურებს ამ შეხედულების სისწორეს და შესძენს კიდევაც მას თავის დამსახურებულ აღიარებას უდავოდ . ამიტომ საერთოდ ყველგან, სადაც კი დასახული აქვთ მიზნად სრული ჭეშმარიტების ძიება მეცნიერულ გამოკვლევებსა და მათი შედეგების სწავლება-გამოყენების პროცესში, იდეურ-თეორიულ უთანხმოებათა და დაპირისპირებათა კრიტიკა უნდა იღებდეს სავსებით სამართლიან, ერთობ სარწმუნო და უადრესად მკაცრ მეცნიერულ ხასიათს, რასაც, სამწუხაროდ, ასე საფუძვლიანად ეკონომიკის კურსის თითქმის არც ერთ თანამედროვე გადმოცემაში არ ვხვდებით. **მეოთხე.** საერთოდ ეკონომიკური თეორიისა და, სახელდობრ, სწორედ ეკონომიკის კურსის არც ერთ თანამედროვე გამოცემაში არ არის გამოკვლეული საკუთრივ კაცობრიობის ეკონომიკური ცხოვრების პროცესი მთლიანად და გარკვეული და გადმოცე-

მული თავად მისი უზოგადესი კანონზომიერებები და ტენდენციები, მაშინ, როდესაც, ჯერ ერთი, განვითარების აღნიშნული პროცესი ერთიანია, უწყვეტი და ლოგიკურად თანმიმდევრული (მით უფრო საქართველოსთვის, რომელსაც მისმა მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა განვითარებამ არგუნა სწორედ კანონზომიერად გაეგლო კაცობრიობის განვითარების ყველა ლოგიკურ-ისტორიული ეტაპი, მოყოლებული მისი უმარტივესი, პრიმიტიული ფორმიდან, ვიდრე მის უადრესად მაღალ განვითარებულ თანამედროვე წესამდე, როგორცაა თანამედროვე შერეული საბაზრო ეკონომიკა, რაზედაც გადასვლას, როგორც ჩანს, იგი ბოლო დროს მყარად შეუდგა [7]), და, მეორეც, კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების ყველა კანონზომიერი ისტორიული ეტაპი სინამდვილე და რეალობაა განვითარების თანამედროვე ეპოქისთვისაც. ამის დასტური ისაა, რომ დღემდე არსებობს დედამიწაზე რეალურად როგორც ადამიანთა პირველყოფილი ცხოვრების წესი, ისე მათი სხვა ფორმის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაც ამა თუ იმ შენიღბული თუ შეუნიღბავი სახესხვაობითა და ამა თუ იმ მასშტაბით. ამიტომ, **მესუთე**, ცხადია, კურსის ვერც ერთი თანამედროვე ვერსია მისი შესწავლის მსურველს ვერ აძლევს შესაძლებლობას გაერკვეს ამომწურავად არა თუ მარტო ცივილიზაციის შედარებით ადრეულ საფეხურებზე მდგომი ხალხების (მაგ., პირველყოფილი თემების, ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნების და სხვ.), არამედ ასევე, გნებავთ, თუნდაც სწორედ თავად საკუთრივ თანამედროვე ცივილიზებული ერების განვითარების სრულიად სპეციფიკურ (იმანენტურ) კანონზომიერებებსა და ტენდენციებსაც; მეტიც, გაიაზროს და გამოიყენოს ყველა ის დღემდე მოღწეული ეკონომიკური ნაშრომი და მათში გამოყენებული ცნებები და დებულებები, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მეცნიერული ღირებულება და სხვ. **მეექვსე**. ეკონომიკის კურსის თითქმის

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

არც ერთ თანამედროვე გადმოცემაში არ არის წარმოდგენილი ძირითადი ეკონომიკური ცნებების ლოგიკურად თანმიმდევრული განხილვა და ახსნა-განმარტებანი. ეს შესაძლოა ხშირ შემთხვევაში გამოწვეული იყოს და გამართლებული იმითაც, რომ რიგ ქვეყანაში დიდი ხანია დანერგილია საწყისი ეკონომიკური განათლების მიღების საყოველთაო სასკოლო სისტემა, რაც საქართველოში მსგავსი მასშტაბით ჯერ კიდევ განხორციელებული არაა. და თუნდაც, გნებავთ, ასეთი განათლების არსებობისას აუცილებელია მაინც, **მეშვიდე** კურსის გადმოცემისთვის მისი **ზოგად-შესამზადებელი**, ანუ იგივე **პროპედევტიკული** ნაწილის რაც შეიძლება ვრცელი და ამომწურავი **წამძვარება** დასაწყისშივე მისი ასევე რაც შეიძლება მოკლე და ლაკონური ფილოსოფიური წანამძვრით, ან კიდევ სწორედ კურსის აღნიშნული ნაწილის მეცნიერულად მაქსიმალურად დასაბუთებული **განმსოლოება** მისი შემდგომი ძირითადი (დანარჩენი) ნაწი ლისაგან ცალკე **დამოუკიდებელი დისციპლინის** ფუნქციით, რაც კურსის შემდგომი გაგების გასაღებია, ვინაიდან იგი, უდავოდ, გააადვილებს გარ კვეულწილად უფრო კონკრეტულ და ურთულეს საკითხებზე გადასვლას სწორედ ამგვარი კვლევა-გააზრებისა და ახსნა-ჩაღრმავებების წყალობით და სხვ.

ეკონომიკის ზოგადი კურსის, ანუ იგივე ეკონომიკის პროპედევტიკის კურსის აგებას უნდა დაედოს საფუძვლად აუცილებლად რიგი უმთავრესი პრინციპი. **პირველი**. კურსის კვლევის არეალის მკვეთრი გამიჯვნა სხვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კვლევის არეალისგან – მასში მხოლოდ და მხოლოდ იმ საკითხების განხილვა, რაც წარმოგვიდგენს სინამდვილეში ეკონომიკას ზოგადად, მთლიანობაში და განვითარების პროცესში და ამით შეძლებს კიდევაც გახედვს, ფაქტობრივად, არა მარტო საკუთრივ სწორედ ეკონომიკის კურსის თანამედროვე გადმოცემათა, არამედ ასევე სხვა ეკონომიკურ

დის ციპლინათა შესწავლის მეთოდოლოგიური ბაზისიც. **მეორე.** კურსის ყოველი ცალკეული სავარაუდო ფუნქციური შემადგენელი ნაწილის რაც შეიძლება გამოკვეთილი ლოგიკურ-თანმიმდევრული განმხილვა ერთმანეთისგან და თანაც ამ ნაწილების შემდგომი დანაწევრებაც მსგავსივე პრინციპით მათი კანონზომიერი სტრუქტურული ერთეულების ბუნებრივ-ობიექტური ურთიერთ განპირობებულობის შესაბამისად. **მესამე.** განხილვის გამჭვირვალობა. არავი თარი გვერდის ავლა ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თანამედროვე ეპოქისათვის თუნდაც ყოვლად მიუღებელი, მაგრამ მეცნიერულად ჯერ კიდევ დაუძლეველი იდეოლოგიურ-თეორიული პრობლემებისთვის. **მეოთხე.** ისტორი ულობა და ლოგიკურობა. ცნებათა (ეკონომიკურ კატეგორიათა) განხილვა იმ მოვლენათა აღმოცენებისა და განვითარების ისტორიული და ლოგიკური თანმიმდევრობის შესაბამისად, რომელთა ასახვასაც ისინი წარმოადგენენ. მეხუთე. მთლიანობა და სისტემურობა. საგნის ასახვა მთლიანობაში. ტერმინის (ცნების) არავითარი „შემოპარება უკანა კარიდან“, ანუ მისი მოშველიება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი უკვე განხილულია მეცნიერულად წინა თემებში და მოქცეულია მთლიანად მეცნიერული თეორიული სისტემის ფარგლებში თავისი ჭეშმარიტი ფუნქციური ადგილის შესაბამისად და სხვ.

ასე და ამგვარად, სავსებით ბუნებრივია, ალბათ, უდავოდ, გაცილებით უფრო ადვილი და დასაძლევია გახდება მსურველისათვის საგნის შესწავლის ერთგვარი სიძნელე, რასაც ზოგჯერ თავად მოვლენის სირთულესთანაც აკავშირებენ. ეკონომიკური მოვლენები, რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ ის აზრი, რომ თითქოსდა ეკონომიკური მეცნიერების სირთულე მკითხველისაგან, ერთი ცნობილი გამოთქმის მიხედვით, „აქლემის ამტანიანობას და წმინდანის მოთმინებას მოითხ-

ოვს“ გარკვეულწილად სწორედ მისი ასეთი, რიგ შემთხვევაში, პირწმინდად ხელოვნურად შექმნილი და დღემდე შემორჩენილი, არც თუ ისე იშვიათად უკიდურესად ალბოგიკური და არათანმიმდევრული ფრაგმენტულ-ნაკლებმეცნიერული კვლევა-გააზრებითა და გადმოცემითაცაა გამოწვეული.

**Propaedeutics of Economics: The difficulties and principles of the creation of the course**

**M. Sichinava**

This article develops further the research of the problems to which the author’s previous paper - “Propaedeutics of Economics” - was dedicated (“Economics and Business”, N 3, 2011, 35 – 40). It consists of the critical analysis of difficulties that arise when creating Propaedeutics of Economics as an independent discipline. According to the author’s viewpoint the principles of the creation of this discipline are as follows: the strongest differentiation of the field of research and determination of its structure, transparence, historicity, integrity and systematicity of the research ect.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია და ეკონომიკსი: ერთია ნობა და განსხვავება. თბ., 2005;
2. ასათიანი რ. ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა. თბ., 2013;
3. გველეხიანი მ. ეკონომიკური თეორია: საგანი, პრობლემები, ამოცანები. თბ., 1999;

4. ლეიაშვილი პ. ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე. თბ., 2002;

5. პაპავა ვლ. არატრადიციული ეკონომიკის. დამხმარე სახელმძღვანელო. თბ., 2011;

6. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ. ეკონომიკისი. 4 ტ-ად. ტ. 1. კ. ღურჭკაიას თარგმ. თბ., 1999;

7. სიჭინავა მ. საქართველო და ანტიკური მითოსი: სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების საფეხურები. დის. ეკონ. მეცნ. დოქტ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999;

8. სიჭინავა მ. ეკონომიკისის პროპედევტიკა. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 3, 2011, გვ. 35-40.



**კონკურენტული უპირატესობის  
პრობლემის კვლევისადმი  
სისტემური მიღგობა**

**გიორგი ღალანია**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

კონკურენტული უპირატესობის ცნება მუდმივად განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფენომენი სტრატეგიულ მენეჯმენტში. არსებობს კონკურენტული უპირატესობის რამდენიმე ფართოდ გავრცელებული განმარტება, მაგ. შუმპეტერის ცნობილი განმარტება: კომპანიის უნარი განახორციელოს სხვადასხვა კონკურენტული ქმედება, რათა მოიპოვოს და შეინარჩუნოს უპირატესობა [1].

ეს დეფინიცია დღესაც რჩება აქტუალურად და სხვადასხვა ავტორის მიერ მიჩნეულია განსაზღვრებად, რომელიც ყველაზე უფრო სრულად ასახავს კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესს. სწორედ ამ განმარტებიდან გამომდინარეობს კომპანიის მუდმივი ქმედებების აუცილებლობა, რათა მოხდეს უპირატესობის შენარჩუნება. თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური გახდა მდგრადი კონკურენტული უპირატესობის ცნება. აუცილებელია მუდმივად აჩვენო სხვებზე უკეთესი შედეგები, ვინაიდან საკუთარი წარსული მაჩვენებლების გაუმჯობესება, ვედარ ჩაითვლება წარმატების საწინდრად.

ბევრი ავტორი კონკურენტულ უპირატესობას განსაზღვრავს რესურსების საფუძველზე. ვინაიდან არ არსებობს ორი კომპანია, რომლებსაც აქვთ აბსოლუტურად იდენტური

## **გიორგი ჯალანია**

რესურსები, სწორედ რესურსები განაპირობებს ეკონომიკური რენტის შექმნის შესაძლებლობას. რესურსების შეზღუდულობა, იმიტირების შეუძლებლობა, მათი ფასეულობა წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის ფორმირების საფუძველს [2].

არსებობს კონკურენტული უპირატესობის ძალიან პრაგმატული განმარტება: კომპანიის მდგომარეობა, როდესაც მას შეუძლია მიიღოს უფრო მაღალი ეკონომიკური რენტა, ვიდრე საშუალო კონკურენტმა. ასეთი პრაგმატული განმარტებები მკვლევარებს აძლევს საშუალებას უფრო დეტალურად გამოიკვლიონ კონკურენტული უპირატესობის სხვადასხვა ასპექტის, განახორციელონ რაოდენობრივი შეფასებები. ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია კონკურენტული უპირატესობის სხვადასხვა ასპექტების გამოკვეთა, ამ მხრივ ძალიან საინტერესოა შემდეგი მოსაზრება: კონკურენტული უპირატესობა შეიძლება დაეფუძნოს და იყოს მდგრადი დროის განმავლობაში, თუ ხდება ორგანიზაციულ ინტერესთა დამთხვევა კომპანიაში. ორგანიზაციული ინტერესების დამთხვევა განიხილება თუ რამდენად არიან ორგანიზაციის წევრები მოტივირებული, რომ იქცეოდნენ ისე როგორც ამას მოითხოვს ორგანიზაციის ინტერესები [3].

კონკურენტული უპირატესობის პორტერისეული განმარტება, ასევე რჩება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ განმარტებად, თუმცა ამ შემთხვევაში აქცენტი რესურსებიდან გადატანილია დარგის სტრუქტურასა და იქ მოქმედი ძალების შეფასებაზე [4]. განმარტებების ასეთი სიუხვე მიანიშნებს ამ საკითხის კვლევის მნიშვნელობაზე. ყოველი ახალი კვლევა ავლენს კონკურენტული უპირატესობის ახალ დაფარულ წყაროს ან მისი რეალიზაციის ახალ ფორმას, ან კონკურენტული უპირატესობის მთლიანად ახლებურად გააზრების შესაძლებლობას იძლევა. ცხადია, მიუხედავად

ამ სფეროში მიმდინარე ინტენსიური კვლევებისა, არსებობს რამდენიმე მეთოდოლოგიური პრობლემა. ასეთ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება კონკურენტული უპირატესობის დადგენის პრაქტიკული ასპექტები. სწორედ აქ ვაწყდებით უამრავ სირთულეს. კერძოდ, რას ეხება კონკურენტული უპირატესობის განმარტება ბიზნეს-ერთეულს, კომპანიას, კორპორაციას, დარგს თუ რაიმე სხვას? რამდენად იდენტურია კონკურენტული უპირატესობა და კომპანიის წარმატება? არსებობს თუ არა კონკურენტული ჩამორჩენა (კონკურენტული უპირატესობის საპირისპირო მდგომარეობა)? რა ხდება, როცა კომპანიას არა აქვს კონკურენტული უპირატესობა, თუმცა, მისი საბაზრო მაჩვენებლები საკმაოდ წარმატებულია? ამ პრობლემების კვლევამ ბევრ ავტორში გააჩინა გარკვეული ნიჰილიზმი კონკურენტული უპირატესობის ცნების მიმართ. მაგალითად, ბევრი მკვლევარი განიხილავს შემდეგ მდგომარეობას: კვლევებმა ვერ დაადასტურეს კონკურენტული უპირატესობისა და კომპანიის წარმატების ურთიერთკავშირი, თუმცა ამავე კვლევებმა ვერ უარყვეს ასეთი კავშირის არსებობა. აქედან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა, რომ კონკურენტული უპირატესობა წარმოადგენს გარკვეულ ცნებას, “ენის თამაშს”, შესაძლებლობას აღნიშნო გარკვეული მდგომარეობა, კერძოდ კი კომპანიის მიერ წარმატებული შედეგების მიღწევა, თუმცა ზუსტ ლოგიკურ დასაბუთებას ამ მოვლენას ვერ ვაძლევთ. ცხადია, ყველა მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება. აქვე უნდა განვიხილოთ კონკურენტული უპირატესობის რესურსული მიდგომისა და დარგობრივი ანალიზის შერწყმის შესაძლებლობა - რამდენად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რესურსი დარგისაგან მოწყვეტით არსებობს. ეს ძალიან საინტერესო მიდგომა განხილული იქნება შემდგომში.

ძალზე მნიშვნელოვანია და ცალკე უნდა განვიხილოთ

კონკურენტული უპირატესობის წყაროს საკითხი. აქ, ცხადია, უზარმაზარი დისტანცია იქნა გავლილი რიკარდოსეულ (რესურსებზე დაფუძნებულ) კონკურენტული უპირატესობის წყაროდან, შუშპეტერისეულ განმარტებამდე. რიკარდოს მიერ აღწერილი უპირატესობა წარმოადგენს სტატიკურ მდგომარეობას, მაშინ როდესაც შუშპეტერის განმარტების მიხედვით, აუცილებელია მუდმივი ინოვაცია, არსებული პროცესების განახლება, რაც უზრუნველყოფს კონკურენტულ უპირატესობას [5].

კონკურენტული უპირატესობის ცნების არსებობა ლოგიკურად მოითხოვს არსებობდეს კონკურენტული ჩამორჩენის ცნება. კონკურენტული ჩამორჩენა არ წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის ცნების ანტითეზას, ანუ თუ კონკურენტულ უპირატესობას განვმარტავთ, როგორც გარკვეული უნიკალური მახასიათებლების მქონე რესურსების ქონას, კონკურენტული ჩამორჩენა არ წარმოადგენს ამ რესურსების არ ფლობას. კონკურენტული ჩამორჩენა უნდა განვმარტოთ, როგორც კომპანიის შეუძლებლობა დააკმაყოფილოს წარმატების მინიმალური მოთხოვნები, “დარჯის სტრატეგიული ფაქტორები” [6]. ცხადია, ამ შემთხვევაში კონკურენტული უპირატესობა განიხილება პორტერის მიერ ჩამოყალიბებულ დარჯის განმსაზღვრელი ფაქტორების ჭრილით.

რა პრაქტიკული შედეგები მოსდევს კონკურენტული ჩამორჩენის არსებობას? ნიშნავს თუ არა ეს, რომ კომპანია წარუმატებელია ბიზნეს საქმიანობაში და რას წარმოადგენს ზოგადად წარუმატებლობა? ასევე უნდა განვიხილოთ ნეიტრალური მდგომარეობა, როდესაც კომპანიას არა აქვს კონკურენტული უპირატესობა, მაგრამ არა აქვს ასევე კონკურენტული ჩამორჩენა. დარჯში მოქმედი კომპანიებიდან, როდესაც არც ერთს არ გააჩნია კონკურენტული უპირატე-

სობა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ კომპანიებს არა აქვთ კონკურენტული ჩამორჩენა, სხვა თანაბარი პირობების არსებობისას. თუნდაც ერთი კონკურენტული უპირატესობის მქონე კომპანიის არსებობისას, სხვა კომპანიებს აქვთ ჩამორჩენა. ამ დებულებიდან გამომდინარე, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ კონკურენტული ჩამორჩენა არ განაპირობებს ფატალურ შედეგებს, ბანკროტობას, ბიზნესის დახურვას. ამავდროულად კონკურენტული ჩამორჩენის პირობებში კომპანია წარუმატებელია, კონკურენტული უპირატესობის მქონე კომპანიასთან შედარებით. რაში შეიძლება გამოვხატოთ წარმატება-წარუმატებლობისა და კონკურენტული უპირატესობისა და კონკურენტული ჩამორჩენის ურთიერთკავშირი? ცხადია, აუცილებელია გაზომვადი კრიტერიუმებით ოპერირება და პირველ რიგში ნებისმიერი ბიზნესისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ორი მაჩვენებლით ოპერირება - გაყიდვების და მოგების მაჩვენებლები.

ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ვივარაუდოთ შემდეგი დამოკიდებულება:

	<b>გაყიდვების მაჩვენებელი</b>	<b>მოგების მაჩვენებელი</b>
კონკურენტული ჩამორჩენა	საშუალოზე დაბალი	საშუალოზე დაბალი
არც ჩამორჩენა, არც უპირატესობა	საშუალო	საშუალო
კონკურენტული უპირატესობა	საშუალოზე მაღალი	საშუალოზე მაღალი

ასეთი აღწერა შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული დაშვებების არსებობის პირობებში: ა) ზუსტად არის განსაზღვრული დარგის და ბაზრის საზღვრები;

ბ) ხელმისაწვდომია დარგის ყველა კომპანიის ინფორმაცია; გ) შესაძლებელია ზუსტად განისაზღვროს გაყიდვებისა და მოგების მაჩვენებლები.

რა სირთულეებს ვაწყდებით აღნიშნული მეთოდის პრაქტიკული რეალიზაციისას? - პირველ რიგში, სხვადასხვა კომპანიისათვის არ ხდება დარგისა და ბაზრების თანმთხვევა. ზოგიერთი კომპანია მოიაზრებს ბაზარს განსხვავებულ გეოგრაფიულ ან სამომხმარებლო ჭრილით, ვიდრე სხვა კომპანიები. გაყიდვების განსხვავებული ინტენსივობა ასევე წარმოადგენს განმასხვავებელ ფაქტორს, კერძოდ ერთი გარკვეული ჯგუფის კომპანიებისათვის კონკრეტული სასაქონლო ჯგუფებით ვაჭრობა წარმოადგენს ძირითად ბიზნეს საქმიანობას, როცა სხვა კომპანიებისათვის ეს შეიძლება იყოს დამატებითი ან დამხმარე საქმიანობა, გაყიდვებისა და მოგების გაანგარიშების განსხვავებული მეთოდები. მსხვილი კორპორაციებისათვის ძალზე რთული იქნება საერთო დანახარჯებიდან იმ მუდმივი დანახარჯების გამოყოფა, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კონკრეტულ სასაქონლო ჯგუფს. რასაკვირველია, შესაძლებელია პროპორციულობის პრინციპის გამოყენება, ანუ დანახარჯების წილის განსაზღვრა გაყიდვების წილის მიხედვით. ეს მიდგომა შეიცავს რაციონალურ მოსაზრებას, თუმცა, ნაკლებად ასახავს რეალობას. ამდენი სირთულის არსებობა აძლიერებს აღნიშნული საკითხით დაინტერესებას, ვინაიდან ცხადია, რომ ამ ფუნდამენტურ კითხვებზე პასუხები, განაპირობებს ძალიან მნიშვნელოვნად კომპანიების წარმატებასა და წარუმატებლობას. შევეცადოთ უფრო მეტი სიცხადე შევიტანოთ აღნიშნულ საკითხში. პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ კონკურენტული უპირატესობისა და კომპანიის წარმატების ურთიერთკავშირი. წარმატება ამ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ, როგორც საშუალო დარგობრივზე უფრო მაღალი გაყიდვები

ან მოგება. ამისათვის უნდა ავაგოთ ლოგიკური დაშვებების სისტემა. ვთქვათ X კომპანია წარმატებულია, ნიშნავს თუ არა ეს აუცილებლად, რომ მას აქვს კონკურენტული უპირატესობა. ასევე განვიხილოთ Y კომპანია, რომელსაც აქვს კონკურენტული უპირატესობა, ნიშნავს თუ არა ეს რომ კომპანია ავტომატურად წარმატებულია.

პირველ შემთხვევაში შედეგი - წარმატება გამოწვეული უნდა იყოს როგორც შიგა, ასევე გარე (კონკურენტები) ფაქტორების ურთიერთქმედებით. საწყისი თანაბარი პირობების შემთხვევაში დავუშვათ, რომ არც ერთ კომპანიას არ გააჩნია კონკურენტული უპირატესობა, შესაძლებელია თუ არა, რომ ერთმა კომპანიამ აჩვენოს სხვებზე უკეთესი შედეგები? თეორიულად ეს შემთხვევა დასაშვებია, ამავდროულად უნდა განვმარტოთ, რომ ეს შესაძლებელია შემთხვევითი ფაქტორ(ებ)ის ხარჯზე. ამდენად, ერთ გარკვეულ დროით მონაკვეთში შემთხვევითი ფაქტორით შესაძლებელია აგხსნათ წარმატების დადგომა, როგორც შედეგი. წარმატების განმეორების, ანუ მდგრადობის შემთხვევაში შემთხვევითი ფაქტორით ახსნა აღარ ემორჩილება ლოგიკას, ვინაიდან განმეორებადი შემთხვევითი ფაქტორ(ები) უკვე აღარ წარმოადგენს შემთხვევით ფაქტორს. ამდენად, მდგრადი წარმატების შემთხვევაში შესაძლებელია დავასკვნათ, რომ წარმატება წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის დამადასტურებელ ნიშანს. განვიხილოთ მეორე შემთხვევა და შევეცადოთ, აქაც გვეჩინდეს იგივე ლოგიკური კონსტრუქცია. შესაბამისად ვიღებთ შემდეგ დასკვნას: კონკურენტული უპირატესობის შემთხვევაში შესაძლებელია შემთხვევითმა ფაქტორმა არ უზრუნველყოს კომპანიის წარმატება დროის ხანმოკლე პერიოდში, თუმცა, შედარებით უფრო ხანგრძლივ პერიოდზე შეუძლებელია დავუშვათ კონკურენტული უპირატესობისა და წარმატების არ დამთხვევის ვითარება. აქვე

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენტული უპირატესობის ცნებაში არ განიხილება პოტენციური შესაძლებლობა, განიხილება კონკურენტული უპირატესობის რეალიზებული ფორმა. მაგალითად, არა მომსახურების უფრო მაღალი დონის შეთავაზების შესაძლებლობა, არამედ, რეალურად შეთავაზებული უფრო მაღალი მომსახურების დონე.

ძალიან საინტერესოა განვიხილოთ ისეთი ვითარება, როდესაც არც ერთ კომპანიას არა აქვს კონკურენტული უპირატესობა და ჩვენი განმარტების მიხედვით არც ერთი ასევე არაა კონკურენტული ჩამორჩენის მატარებელი. ლოგიკური დაშვებებიდან გამომდინარე ასეთ ვითარებაში კომპანიებმა უნდა აჩვენონ თანაბარი შედეგები. საკმარისია ერთმა კომპანიამ მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა და სხვა კომპანიები გახდებიან კონკურენტული ჩამორჩენის მქონენი. ხომ არ ეწინააღმდეგება ეს დაშვება ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ კონკურენტული ჩამორჩენა არ წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის ანტიოქსას? კონკურენტული ჩამორჩენა შესაძლებელია გამოვლინდეს უამრავი ფორმით, რომელთაგან ერთ-ერთი ვარიანტია არსებული პოტენციალის სუსტად რეალიზაცია, რაც არ გამორიცხავს გარკვეული უნიკალური რესურსების ფლობას. ეს ჩამორჩენა გამოვლინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც რომელიმე კონკურენტი მიაღწევს კონკურენტულ უპირატესობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონკურენტული ჩამორჩენა არ არსებობს კონკურენტული უპირატესობის გარეშე, თუ არც ერთ კონკურენტს არ გააჩნია კონკურენტული უპირატესობა, მაშინ არც ერთ კომპანიას არ გააჩნია კონკურენტული ჩამორჩენა.

ასევე უნდა განვიხილოთ პოტენციურად არსებული კონკურენტული უპირატესობის რეალურ კონკურენტულ უპირატესობად გარდაქმნის შესაძლებლობები და კონკურენ-



ტული უპირატესობისა და საბაზრო პოზიციების ურთიერთქმედების საკითხები. კარგად გაწვრთნილი, პროფესიული თანამშრომლები შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, როგორც კონკურენტული უპირატესობის წყარო. განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც თანამშრომელთა მოტივაცია დაბალია, ანუ პოტენციურად შესაძლებელია ამ კონკურენტული უპირატესობის გამოყენება, მაგრამ დაბალი მოტივაციის გამო ეს უპირატესობა გამოუყენებელი რჩება. ამ შემთხვევაში პირადი და ორგანიზაციული მიზნების თანმიხვევა შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც კონკურენტული უპირატესობის ფორმირების წყარო.

ასევე ძალიან საინტერესოა, საბაზრო პოზიციისა და კონკურენტული უპირატესობის ურთიერთკავშირის საკითხი. თეორიულად კონკურენტული უპირატესობა განაპირობებს საბაზრო პოზიციებს, თუმცა, საბაზრო პოზიციებმაც შესაძლებელია განაპირობოს კონკურენტული უპირატესობა. დავუშვათ, არსებობს გაყიდვების ლიდერი კომპანია, რომელმაც ამ მდგომარეობას მიადწია კონკურენტული უპირატესობის საფუძველზე წარსულში. გაყიდვების ლიდერად ფორმირების მომენტიდან კი ეს კომპანია ხვდება ისეთ ვითარებაში, როდესაც წვდომა საცალო გაყიდვების ობიექტებზე, საცალო ობიექტში უკეთეს ადგილზე პროდუქციის განთავსების შესაძლებლობა თვითონ გადაიქცევა კონკურენტული უპირატესობის წყაროდ. კონკურენტმა კომპანიებმა საცალო გაყიდვების ობიექტებს უნდა შესთავაზონ გაცილებით უფრო მომგებიანი ფასები, რათა მათი პროდუქცია, თუნდაც თანაბარ პირობებში იყოს განთავსებული, ბაზრის ლიდერთან შედარებით. ამდენად, კონკურენტებმა იგივე პოზიციის მოსაპოვებლად მკვეთრად უნდა შეამცირონ საკუთარი შემოსავლები. ადრე ჩამოყალიბებული განმარტების მიხედვით, გაყიდვების ლიდერი კომპანია კვლავ იქნება კონკურენტული უპირატე-

სობის მქონე, რადგან ის მიიღებს საშუალოზე უფრო მაღალ ეკონომიკურ რენტას. ეს ლოგიკური დაშვებები შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, როგორც კონკურენტული უპირატესობის ტრადიციული წყაროების: აქტივები, შესაძლებლობები და საბაზრო პოზიციები, გაერთიანება ინტერესთა თანამთხვევასთან კომპანიაში, რაც წარმოადგენს თანამედროვე პირობებში კონკურენტული უპირატესობის ფორმირების და მისი რეალურ საბაზრო გარემოში გამოყენების შესაძლებლობას. საბაზრო პოზიციები და კონკურენტული უპირატესობა წარმოადგენს ერთი და იმავე მოვლენის ორ მხარეს, როგორც კონკურენტული უპირატესობა შეიძლება გადაიქცეს უკეთეს საბაზრო პოზიციად, ასევე საბაზრო პოზიცია წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის წყაროს.

დასასრულ კვლავაც ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ კონკურენტული უპირატესობის კვლევა კვლავ რჩება სტრატეგიულ მენეჯმენტში განხორციელებული კვლევების ძირითად მიმართულებად. კონკურენტული უპირატესობის დეფინიცია, მიუხედავად ჩატარებული კვლევებისა, რჩება ურთულეს პრაქტიკულ პრობლემად. მიმდინარე კვლევები ავლენს კონკურენტული უპირატესობის ფორმირების სულ უფრო და უფრო ახალ წყაროებს. ეს დებულება სრულიად არ ეწინააღმდეგება კონკურენტული უპირატესობის ფორმირების რესურსულ მიდგომას. პირიქით, ერთი მხრივ, ხდება ახალი ტიპის “რესურსების” აღმოჩენა, მეორე მხრივ დგინდება არსებული რესურსების რეალიზაციის უპირატესი პირობები. კონკურენტული უპირატესობის სფეროში მიმდინარე კვლევებმა დაადასტურეს კონკურენტული უპირატესობის ზოგადად განმარტების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საბაზრო ძალების, რესურსების არსის ახლებურად გააზრებას, რათა ჩამოყალიბდეს კონკურენტული უპირატესობის კონკრეტულ

დარგში განმსაზღვრელი ფაქტორები. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ წამოაყენა კონკურენტული უპირატესობის გლობალური ასპექტით კვლევის აუცილებლობა. ის კომპანიებიც კი, რომლებიც არ აპირებენ საგარეო ბაზრებზე გასვლას, აწყდებიან გლობალური კომპანიების მხრიდან მზარდ კონკურენციას, რამდენადაც ეს კომპანიები სწრაფად და გამოცდილი მეთოდებით ახდენენ ახალი ბაზრების ათვისებას. კონკურენტული უპირატესობის გლობალური ასპექტი უნდა გახდეს მიმდინარე კვლევების ძირითადი მიმართულება. სწორედ გლობალურ გარემოშია შესაძლებელი კონკურენტული უპირატესობის მიღწევა ყველა იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რასაც იძლევა გლობალური გარემო.

### **Systematic Approach to Research the Competitive Advantage**

**G. Gaganidze**

In the Scientific article Author analyzed the competitiveness of Georgia and relations with different strategies. Competitiveness analyzed through different dimensions and methods. Author reviewed the ways for the formation of special clusters with the high competitiveness and different strategies to create such clusters.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Schumpeter J.A. 1934, The Theory of economic development: An inquiry into profits, capital, credit interest, and the business cycle. Cambridge, MA:Harvard University Press;

Schumpeter J.A.1950, Capitalizm, socialism and democracy. New York:Harper &Brothers;

2. Besanko,D., Dranove, D., &Shanley, M. 1999, Economics of strategy.New York: Wiley;

3. Gottschlag,O., Zollo, M.2007, The Academy of Management Review, Vol.32. No.2, PP 418-437;

4. M. Porter, Competitive Strategy, 1980;

5. Teece, D.J.,Pisano, G.P.,& Shuen, A. 1997. Dynamic capabilities and strategic management. Strategic Management Journal, 18:509-533;

6. Amit R., Schoemaker P. 1993. Strategic assets and organizational rent. Startegic management Journal 14(1):33-46.

## ГОСУДАРСТВЕННО-ЧАСТНОЕ ПАРТНЕРСТВО: РЕАЛЬНОСТЬ И ПЕРСПЕКТИВЫ

*Толордава Жанна*  
*академический доктор экономики,*  
*лектор ТГУ им. И.Джавахишвили*

В современных кризисных условиях мировой экономики, когда роль государства в экономике во всем мире существенно возрастает, необходима разработка новых посткризисных принципов модели смешанной экономики. И это касается не только сотрудничества государства и бизнеса, но и вопросов более тесной интеграции общественных и частных интересов.

Главной сложностью государственного регулирования остается определение степени государственного вмешательства в экономику. Разграничение государственных и частных интересов необходимо и всем понятно, что это прежде всего касается того, чтобы государство своими действиями искусственно не ограничивало конкуренцию или не вторгалось бы в сферу ценообразования. Интерес представляет высказывание Дж. М. Кейнса в «Общей теории занятости, процента и денег», в частности: «Государство должно будет оказывать свое руководящее влияние на склонность к потреблению частично путем соответствующей системы налогов, частично фиксированием нормы процента и, возможно, другими способами» [1].

Следует отметить, что вопрос о степени государственного вмешательства так и остается нерешенным и по-прежнему является предметом многочисленных дискуссий. В этой связи стоит

вспомнить времена Великой депрессии 30-х гг. XX века, когда именно этот период показал необходимость участия государства в экономике. И тем не менее, и здесь не были решены проблемы определения границ государственного вмешательства в экономику, а также степень интеграции общественного и частного секторов.

Экономика ряда развитых, а в последнее время и развивающихся стран широко применяет новую форму взаимодействия государства и частного бизнеса. Эта особая форма партнерства, обозначаемая обычно термином Public Private Partnership (PPP), основывается на передаче функциональных полномочий частному сектору и одновременное сохранение и усиление государственного регулирования.

Целью этой формы взаимодействия является развитие наиболее значимых объектов инфраструктуры и обеспечения качественными услугами хозяйствующих субъектов и общества. Поэтому во главу угла ставится правильная расстановка приоритетов развития, то есть в концентрации активности на направлениях, которые приносят наибольшую отдачу сегодня и вполне могут обходиться без государственного вмешательства.

Впервые в 1992 году правительство Д. Мейджора (Великобритания) объявило о «частной финансовой инициативе» (Private Finance Initiative – PFI), которая представляла собой модернизированную концепцию управления государственной собственностью. Суть PFI состояла в том, чтобы в рамках договоров и соглашений о государственно-частном партнерстве передать частному сектору функции финансирования (строительства, реконструкции, эксплуатации, управления и т. д.) объектов социально – культурной и производственной инфраструктуры, находящихся в государственной собственности.

Такое изменение системы государственного управления в Великобритании повлекло за собой положительные итоги во взаи-

моотношениях государственного аппарата и частного бизнеса.

Это и послужило основой для интереса к указанной форме партнерства и возникновения термина «государственно-частное партнерство» (Public Private Partnership).

Так, руководящие органы Европейского союза, начиная с 1992 года, активно занялись проведением данной политики, для чего создавались директивы, в которых прописывались соответствующие правила и процедуры. Одновременно начали формироваться институты по управлению и регулированию государственно-частного партнерства в форме: агентств (Великобритания, Нидерланды, Ирландия), акционерных компаний и государственных корпораций (Италия), ассоциаций (Франция).

Необходимо отметить, что государственно-частное партнерство – это инструмент экономической и государственной политики развитых стран мира, который сформировался в результате длительного взаимодействия государства и частных корпораций. Такая форма сотрудничества есть способ привлечения частного капитала к финансированию и управлению той собственностью, которая формально остается в руках государства. Государство же, предоставляет всевозможные льготы и гарантии и оставляет за собой свои основные функции – контроль, регулирование, соблюдение общественных интересов. Очевидно, что при таком подходе - выгода здесь обоюдная и для бизнеса, и для государства, и естественно, для граждан, так как в этом случае улучшается качество товаров и услуг и решаются социально – экономические проблемы за счет высвобожденных средств государства.

Подобный подход тем более актуален, что становление модели смешанной экономики в форме государственно-частного партнерства требует не только участия государственных и частных партнеров, но и институтов гражданского общества.

Так, в западных странах было достигнуто несколько пари-

тетное взаимодействие государства и бизнеса в виде его регламентирования и институционализации взаимодействия в виде социальных и политических норм.

Количество соглашений в сфере государственно-частного партнерства по европейским странам за 2011 г. составило: в Великобритании – 39%, во Франции – 17%, в Германии – 13%, в Испании – 12%, в прочих странах – 19% [2].

По данным анализа применения государственно-частного партнерства в различных странах, проведенными рядом экономистов, установлено, что партнерство успешно применяется в транспорте (автодороги, железные дороги, аэропорты, порты) и социальной инфраструктуре (здравоохранение, образование, туризм), ЖКХ (водоснабжение, электроснабжение, газоснабжение) и в других сферах (тюрьмы, оборона, объекты военной сферы) [3].

По использованию этого вида партнерства в странах «Большой семерки» (США, Великобритания, Япония, Италия, Франция, Германия, Канада) на 1-ом месте стоит здравоохранение (185 из 615 проектов), на 2-ом - образование (138 проектов) и на 3-ем месте – автодороги.

Опыт России в области взаимодействия общественного и частного секторов в направлении интеграции, известен созданием формата ГЧП (государственно-частного партнерства), предполагающем равноправное участие сторон. Авторы исследований в этой области считают, что «ГЧП необходимы, прежде всего, в тех случаях, когда направления развития не приводят к получению индивидуумами или их группами краткосрочных преимуществ и обязательным условием должна стать максимизация индивидуальной полезности потребителей продукции ГЧП» [4].

Одновременно при выборе направлений для создания и внедрения формата ГЧП необходимо учитывать невозможность решения социально - экономических проблем исключительно ре-



---

сурсным потенциалом частного сектора. И вследствие этого государство обязано использовать возможности частного бизнеса для повышения конкурентоспособности страны и реализации общегосударственных программ.

Интересен опыт России в области государственного влияния на определенные отрасли. Это, прежде всего, опыт Газпрома, где государство получило контрольный пакет акций компании. Затем началась свободная продажа ее акции, которые стали свободно продавать на бирже как резидентам, так и нерезидентам. В результате Газпром оказался среди десяти крупнейших по капитализации компаний в мире. Дальнейшая его деятельность по заключению договоров с основными потребителями газа, странами Центральной и Восточной Европы, была достигнута при содействии государства в виде переговоров, которые велись на межправительственном уровне. Таким образом, серьезная политическая поддержка Газпрома со стороны органов власти, дала положительные результаты.

В мировой практике существуют такие формы партнерства, как взаимодействие на основе контракта, аренды (лизинга), соглашения по поводу распространения продукции, инвестиционные контракты, долевое участие частного капитала в государственных предприятиях (совместные предприятия), акционирование, концессии.

*Государственные контракты* как административный договор, составленный между государством и частной фирмой для осуществления особо полезных и необходимых видов деятельности: контракты на выполнение работ по финансированию, проектированию, строительству, на оказание общественных услуг, на управление, на поставку государственных нужд, для оказания технической помощи и т.д. Особенностью такой формы является то, что государство не передает права собственности частному предпринимателю. Вся деятельность по контракту (строительство, за-

купка материалов) осуществляется на средства государства, а частный сектор выступает подрядчиком и не имеет права произвольно распоряжаться полученными средствами. Интерес же частного партнера состоит в получаемой доле в доходе и прибыли. Однако следует заметить, что это весьма привлекательный бизнес, т. к. кроме устойчивых доходов, предоставляются всевозможные льготы и некий престиж.

*Аренда государственной собственности* (здания, оборудования и т. д.), а также форма *лизинга*. Смысл арендных отношений заключается в передаче частному сектору государственное и муниципальное имущество во временное пользование и за определенную плату. Главной особенностью является получение государством прибыли в виде арендных платежей. В случае лизинга лизингополучатель, т.е. частный сектор имеет право выкупить арендованное государственное или муниципальное имущество или отказаться от него до истечения срока лизинга с уплатой неустойки.

*Соглашения о разделе продукции*. При такой форме частный партнер государства имеет право только на ее часть, которые оговариваются в специальном соглашении. Подобная форма партнерства особенно распространена в сфере нефтяного бизнеса. Это соглашение между государством и частной компанией, по которому последняя расплачивается с государством частью добытой продукции (после возмещения всех затрат).

*Совместные государственно-частные предприятия*. Они создаются в основном путем акционирования или на основе долевого участия сторон без выпуска акций. Также в зависимости от такой доли распределяются риски между участниками.

*Концессии* (концессионное соглашение) – форма отношений между государством и частным бизнесом, заключается в том, что государство остается полноправным собственником имущества, а частного партнера уполномочивает выполнять в течение опреде-

---

ленного срока определенные функции, оговоренные в соглашении, наделяя его при этом соответствующими полномочиями. За пользование государственной или муниципальной собственностью концессионер вносит плату. На выработанную продукцию он получает право собственности.

Различают концессии нескольких типов:

**ВОТ:** строительство – управление – передача (Build, Operate, Transfer). Эта форма предполагает создание объекта за счет концессионера, который после завершения строительства получает право эксплуатации сооруженного объекта в течение срока, достаточного для окупаемости вложенных средств. После этого объект передается государству.

**ВООТ:** строительство – владение – управление – передача (Built, Own, Operate, Transfer). В этом случае частный партнер получает право пользования и право владения объектом в течение срока действия соглашения. После этого объект передается публичной власти.

**ВОО:** строительство – владение – управление (Built, Own, Operate). При такой схеме созданный партнером объект по истечении срока действия не передается публичной власти, а остается в распоряжении инвестора.

**ДВООТ:** проектирование – строительство – владение – управление – передача (Design, Build, Own, Operate, Transfer). Особенность соглашений этого типа состоит в ответственности частного партнера не только за строительство инфраструктурного объекта, но и за его проектирование.

Все перечисленные формы доказали свою состоятельность в деле обеспечения эффективного государственно-частного партнерства. Следует остановиться на заинтересованности обеих сторон партнерства. Очевидно, что представители бизнеса заинтересованы в максимизации прибыли от реализации проектов, т.к. обладая

хозяйственной свободой в проектах, предоставляемой государством, частный сектор стремится к увеличению производительности труда и нововведениям. В случае неудачного исхода проекта он получает достаточные гарантии возврата вложенных средств в реализацию проекта, так как государство несет определенные риски (согласно договоренностям сторон). А кроме того, частный сектор получает в долговременное управление активы государства на льготных условиях платы.

Заинтересованность же государства состоит в том, что оно может переложить часть расходов по содержанию и инвестированию имущества на частный сектор. Так же, за счет арендных и концессионных платежей, государственные структуры получают дополнительный источник доходов в бюджет. Одновременно объединение усилий государства и частного предпринимательства в рамках конкретных проектов формирует их дополнительные конкурентные преимущества.

Государственно-частное партнерство является одним из механизмов смешанной экономики, который может стать основой создания высокотехнологических корпоративных структур, призванных обеспечить ориентацию бизнеса и государства на решение задач, связанных с выводом реального сектора экономики из финансового кризиса.

В Грузии по известным причинам не накоплен большой опыт в этой области, хотя уже существует ряд консорциумов, которые функционируют в основном в области образования, здравоохранения (стоматология), сельского хозяйства и в сфере охраны окружающей среды. Поэтому тот опыт, который существует в мировой практике, восполнит дефицит отечественного опыта и окажет неоценимую услугу в деле становления цивилизованных взаимоотношений государства и бизнеса.

Необходимо отметить, что такая форма взаимодействия го-

სუდარსტვა ი ბიზნესა პოვლიტ გოსუდარსტვუ აქტივნო ვკლადივარე ნენგი ი ინფრასტრუქტურუ, ჩო ი კონეჩნო იტოგე ბუდეტ სპოსობსტვოვარე ვიხოდუ სტრანუ იზ ფინანსოვო გოკრიზისა.

სახელმწიფოებრივ-კერძო პარტნიორობა: რეალობა და პერსპექტივები

ქ. თოლორდავა

სტატიაში განხილულია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ურთიერთქმედების ახალი ფორმა, რომელსაც ფართოდ იყენებს განვითარებული და ბოლო პერიოდში განვითარებადი ქვეყნებიც. პარტნიორობის ეს განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ცნობილია ტერმინით Public Private Partnership (PPP), გულისხმობს კერძო სექტორისადმი ფუნქციონალური უფლებამოსილების გადაცემას და სახელმწიფო რეგულირების შენარჩუნებასა და გამკაცრებას.

ამ ფორმის თანამშრომლობა სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სტრუქტურების დაფინანსებასა და მართვაში კერძო კაპიტალის მოზიდვას უწყობს ხელს. სახელმწიფო, თავის მხრივ, კერძო ბიზნესს ანიჭებს ყოველგვარ შეღავათსა და გარანტიებს და ამასთან ერთად იტოვებს თავის ძირითად ფუნქციებს - კონტროლი, რეგულირება, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა. ცხადია, ასეთი მიდგომა ურთიერთომგებინანია როგორც ბიზნესისა და სახელმწიფოსათვის, ასევე მოსახლეობისათვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში უმჯობესდება საქონლისა და მომსახურების ხარისხი და სახელმწიფოს გამოთავი-სუფლებული სახსრების ხარჯზე გვარდება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. საბოლოოდ, სახელმწიფოსა და

ბიზნესის პარტნიორობა ხელს შეუწყობს ქვეყნის გამოსვლას ფინანსური კრიზისიდან.

### **Использованная литература**

1. Smith A. An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations. Vol.11. London, 1930;
2. EIB- сборник Международной ассоциации кредиторов, 2011  
<http://images.rambler.ru/>
3. Н. Манько, Государство, Бизнес и Наука. Основы взаимодействия. Москва. 2012;
4. დ. მალხაზიშვილი. დამოუკიდებელი მარეგულირებები.  
<http://transparency.ge/en/node/3660> 2013.

## Пути создания благоприятной инновационной среды для корпораций

**Соболева Татьяна Александровна,  
к.э.н., доцент кафедры менеджмента,  
ГВУЗ «Киевский национальный экономический  
университет имени Вадима Гетьмана»;**

Реалии успешного ведения бизнеса демонстрируют зависимость выживания компаний от способности налаживать постоянный поток инновационных разработок и идей [3,8], превращая, таким образом, инновации в важный инструмент влияния на экономическую эффективность деятельности корпорации. Современные тренды, формирующиеся под воздействием процессов глобализации и постиндустриализации, также требуют от традиционной среды корпорации трансформации к статусу креативной, что предусматривает изменение организационной культуры в сторону корпоративной с активной инновационной составляющей.

Проблемное поле задачи, сформулированной в заглавии статьи, лежит на пересечении нескольких отдельно сформировавшихся направлений теории управления: концепции и технологий общего менеджмента организации [2, 5, 9], корпоративного управления, инновационного менеджмента [1, 6, 7] с особым вниманием на вопросах формирования инновационной корпоративной культуры [4, 10-12]. Вопросы управления инновационной деятельностью освещены в многочисленных научных публикациях отечественных и зарубежных авторов. Изложенная в научных источниках надлежащая практика организации инновационной деятельности так или

иначе ределяет ориентиры для улучшения ее осуществления. Но, системный взгляд на проблему совершенствования управления инновационной деятельностью на уровне отдельной организации, на наш взгляд, требует обобщений существующих результатов и дальнейших исследований в этой сфере.

Исследование вопросов совершенствования управления инновационной деятельностью в организациях, в частности, создания благоприятной для инноваций корпоративной среды, обуславливает необходимость решения следующих задач: определение необходимости благоприятной для инновационной деятельности корпоративной среды; формирование комплексного подхода по ее созданию; характеристика управленческих инструментов и технологий реализации путей формирования благоприятных условий для осуществления инновационной деятельности.

Эффективное управление инновационной деятельностью корпорации обеспечивает формирование конкурентных преимуществ компании, реальным источником которых выступает возможность менеджмента консолидировать управленческие технологии и факторы производства в компетенции, позволяющие организации быстро адаптироваться к новым возможностям. В данном контексте, определяющим условием эффективности инновационных процессов в организации является способность инновационного менеджмента формировать соответствующие условия для разработки и реализации инноваций, создавая, таким образом, благоприятную инновационную среду. Реализовывать эту задачу необходимо с помощью управленческих, организационных и мотивационных инструментов, характеристика которых и является одной из задач написания данной статьи.

Мероприятия по созданию благоприятной инновационной среды, на наш взгляд, должны быть сконцентрированы в двух направлениях: 1) повышении эффективности реализации функций




---

инновационного менеджмента в процессе создания организационных условий для осуществления инновационной деятельности, 2) усилении инновационной корпоративной культуры. Реализация указанных направлений должна осуществляться комплексно (см. схему). Таким образом, создание благоприятной для инноваций корпоративной среды, в первую очередь, обеспечивается эффективной реализацией управленческих функций инновационного менеджмента. Среди задач, стоящих перед руководством компании, важное место занимают определение миссии компании, формирование инновационной политики, направленной на реализацию стратегии развития корпорации, разработка и реализация инновационной стратегии, планов и инновационных программ, формирование портфеля инновационных проектов, определение и обеспечение источников ресурсного обеспечения инновационной деятельности, формирование соответствующей инновационным преобразованиям организационной структуры управления. Реализация указанных задач инновационного менеджмента требует соответствующего состояния всех подсистем организации: технико-технологической, организационной, мотивационной системы, коммуникационных каналов, уровня образования и активности работников, инфраструктуры, а также корпоративной культуры.

Ресурсное обеспечение инновационной деятельности реализуется организационными инструментами. Одной из задач их применения выступает создание условий для творчества в корпорации. Одним из важнейших факторов, влияющих на успешность организации в развитии креативности, является доступ к информации и эффективность процесса обмена идеями. Поэтому, не менее важной задачей является налаживание эффективных коммуникационных связей в корпорации, направленных на распространение, популяризацию инновационного мышления и идей. Этот механизм может быть реализован через личные контакты, совещания, конференции, аудиовизуальные средства, стенды, газеты и т.д. Рабочие

помещения также должны создавать атмосферу, благоприятную для творчества. Поэтому, большое значение при проектировании интерьера имеют пропорции, размеры помещения, освещенность, удобная мебель и производственное оборудование, правильно подобранная цветовая гамма.

### Создание благоприятной для инноваций корпоративной среды



Источник: разработано автором

Для эффективного осуществления инновационной деятельности все подсистемы организации должны быть обеспечены налаженным потоком необходимой информации о состоянии внешней и внутренней среды. Причем, такая управленческая информация должна быть достаточной для принятия стратегических решений по инновационному развитию организации, координации деятель-

---

ности различных подразделений, а также оперативного регулирования текущей деятельности. Часто, причиной неудачного внедрения инноваций является недостаточная интеграция научных исследований и маркетинга организации, особенно на первых стадиях инновационного процесса. Поэтому особое внимание менеджмента должно быть направлено на увеличение кооперации и налаживание коммуникаций в этих сферах деятельности.

Важной составляющей является работа с персоналом, поскольку именно сотрудники выступают источником инновационных идей, они ускоряют реализацию инновационных процессов или демонстрируют сопротивление внедрению инноваций. Поэтому, необходимо стимулировать инициативу в выдвижении новых идей; предоставлять время и возможность для самостоятельной творческой деятельности коллектива [2]. Отдельного внимания требуют процессы обучения, повышения квалификации персонала, участие в различных конференциях, симпозиумах, круглых столах, связанных с внедрением как технологических, так и организационных инноваций.

Организационные условия, созданные в корпорациях для усиления инновационной активности, будут иметь смысл лишь при желании и заинтересованности персонала заниматься инновационной деятельностью. Поэтому, важной составляющей инновационной среды в корпорации выступает комплексная мотивационная система. Одним из ее элементов выступает вознаграждение, которое может быть как в денежной (материальной), так и в нематериальной форме. При этом важная роль в стимулировании принадлежит денежной форме вознаграждения, основными видами которой являются: заработная плата, премии, бонусы, разного рода доплаты и надбавки, дивиденды по акциям, участие в прибылях и доходах. Вместе с тем следует отметить, что сотрудники, особенно творческих специальностей, работают не только ради получения денежного вознаграждения. Существенное значение для большин-

ства из них имеет также нематериальное стимулирование, такое как поощрение, признание заслуг, возможность самореализации. Таким образом, руководство компании должно предлагать сотрудникам не только внешнее вознаграждение, но и создавать условия для получения ими внутреннего вознаграждения от выполняемой работы.

Второй важной составляющей создания благоприятной для инноваций корпоративной среды выступает формирование инновационной культуры, которая является катализатором всех инновационных процессов в компании.

Инновационная культура и инновационная деятельность корпорации находятся под постоянным взаимовлиянием. Так, инновационная культура находит свое отражение в готовности, а также интенсивности реализации всех инноваций в корпорации. Одновременно, подходы к организации инновационных процессов влияют на формирование инновационной культуры. Именно по этой причине, основным условием формирования инновационной корпоративной среды является применение системного комплексного подхода, который должен включать как непосредственно корректировку и культивирование инновационных ценностей в корпорации, так и создание соответствующих условий, позволяющих и стимулирующих реализацию инноваций.

Указанные две задачи взаимосвязаны, поскольку благоприятные для инновационной деятельности условия являются фактором подтверждения и закрепления корпоративных инновационных ценностей, а воспринятые персоналом инновационные ценности повышают активизацию инновационной деятельности. Но, каждый из этих направлений требует целенаправленных усилий для их реализации и должны рассматриваться отдельно. В то же время, указанные направления формирования инновационной среды дополняют друг друга и требуют их одновременной реализации.

Важной задачей при формировании благоприятной для ин-

новаций культуры выступает создание и визуализация системы инновационных корпоративных ценностей. Ценности корпоративной культуры могут рассматриваться как взгляды на явления, события, которые воспринимаются как важные принципы, подходы к выполнению работы и принятию управленческих решений, доминирующие в корпорации и разделяемые большинством сотрудников. Визуализация инновационных корпоративных ценностей должна осуществляться через их четкое формулирование и включение в миссию компании, а также в принципы деятельности. Неотъемлемой составляющей имиджа современной корпорации является включение в ценности стандартов корпоративной социальной ответственности, как отражение гражданской позиции компании и учета в стратегической деятельности императива социального развития.

Важным источником формирования инновационных ценностей являются основатели компании, а также совет директоров [5]. Именно на этом уровне определяются миссия компании, стратегия ее развития, приоритеты и особенности функционирования.

Большое значение для официального провозглашения инновационных принципов и ценностей является их включение в корпоративные документы: Корпоративный Кодекс, Этический Кодекс, Кодекс корпоративной культуры.

Важным индикатором отношения в корпорации к инновациям является процедура проведения и выбор тех или иных ритуалов и праздников. В корпорации полезно ввести систему мероприятий, часть из которых обязательно должны пропагандировать инновации. Так, проведение ежегодной церемонии награждения победителей в номинациях: «Изобретатель года», «Рационализатор года», «Инноватор года» одновременно демонстрирует приоритетность инновационной деятельности в корпорации и повышает мотивацию к ее осуществлению.

При формировании благоприятной корпоративной иннова-

ционной культуры необходимо согласовывать системы корпоративных и личных ценностей персонала [10], учитывать культурные и ментальные особенности работников международных и интернациональных компаний. То есть, необходимо учитывать особенности субкультур в корпорации [12].

Для закрепления инновационных ценностей в корпорации инновационный менеджмент должен, с одной стороны, реализовывать сильную лидерскую позицию по поддержке инноваций. С другой стороны, осуществлять нейтрализацию сопротивления инновациям внутри организации через распространение информации о необходимости инновационных изменений, объяснение их содержания и задач, привлечения персонала к их реализации через эффективную систему мотивации, благосклонное восприятие неудачных попыток реализации инновационных проектов, открытость новым идеям.

Определению необходимых мероприятий по улучшению условий осуществления инновационной деятельности в корпорации предшествуют диагностические процедуры по определению присутствия инновационных ценностей в культуре корпорации, а также благоприятности существующих условий для осуществления инновационной деятельности.

Процесс корректировки инновационной корпоративной среды состоит из двух основных этапов:

1. Диагностики инновационной среды, в том числе ценностей инновационной культуры. Данный этап предполагает выяснение объективной картины относительно текущего состояния организационных условий и инновационной культуры, а также их составляющих, требующих изменений.

2. Определение необходимых мер по корректировке инновационной среды в корпорации. Их реализация предусматривает проведение консультирования руководителей всех уровней, технического и обслуживающего персонала. Также необходимым яв-

---

ляется реализация акций и кампаний, направленных на поддержку разработанных мероприятий.

Удобным способом диагностики текущего состояния инновационного климата является анкетирование, поскольку позволяет охватить, и соответственно, учесть мнение как можно большего количества сотрудников. Дополняется оценка состояния инновационной среды собеседованием с ключевыми экспертами по инновационному развитию компании и наиболее вовлеченными в реализацию инновационных процессов специалистами. Результаты диагностики состояния инновационной среды выступают основой для разработки направлений по ее корректировке, а также определения конкретных инструментов их реализации.

Таким образом, для создания инновационной среды в корпорациях необходимо формировать благоприятные для инновационной деятельности организационные условия, а также провозглашать и распространять ценностные установки, признающие необходимость осуществления инноваций, поддерживающие инициативный и творческий подход к выполнению работы. Для эффективной реализации этого процесса необходимо одновременно как формировать инновационные ценности, так и демонстрировать их приоритетность и важность через принятие соответствующих управленческих решений при создании стимулирующих инновационную деятельность условий. Для этого нужно:

- формировать инновационное мышление у менеджеров корпорации, четко провозгласить инновационные ценности в корпоративной культуре через их включение в корпоративные документы и визуализацию в миссии, принципах деятельности, мифах, ритуалах и т.д.;

- адаптировать организационные условия к требованиям, необходимым для осуществления инновационной деятельности. Обеспечить ресурсами вовлеченные в инновационную деятельность подразделения. Наладить прилив творческих и энергичных

руководителей и специалистов. Обеспечить обучение, повышение квалификации в сфере управления и осуществления инновационной деятельности;

- создать эффективную систему информационного обеспечения. Наладить сотрудничество между подразделениями, в том числе через создание временных рабочих групп, программ обучения и ротацию кадров;

- разработать эффективную комплексную систему мотивации, позволяющую реализовывать творческий потенциал сотрудников и удовлетворять их потребности различных уровней, обеспечивая реализацию баланса интересов компании и ее сотрудников.

Указанные направления формирования корпоративной инновационной среды не могут претендовать на исчерпывающий перечень, учитывая комплексное влияние на этот процесс многих факторов. Требуют также дальнейшего исследования вопросы влияния на корпоративную среду внешних факторов, таких как национальные менталитет и культура, таких внутренних факторов, как организационная структура, стиль лидерства и специфика инновационной деятельности компании.

### **Ways of Creating Favorable for Innovation Corporate Environment**

**T. Sobolieva**

The article describes the ways of the innovation environment development inside a corporation. It highlights necessity of the managerial, organizational and motivation tools realization for favorable en-



environment building. The other way is innovative values cultivation in corporation for the formation of corporate innovation culture.

### **Использованная литература**

1. Гунин В.Н. Управление инновациями: 17-модульная программа для менеджеров «Управление развитием организации». Модуль 7 / В.Н. Гунин, В.П. Баранчеев, В.А. Устинов, С.Ю. Ляпина. – М.: ИНФРА-М, 2000. – 272 с;
2. Дафт Р. Менеджмент. 8-е изд. / Пер. с англ. Под ред. С.К. Мордовина. – СПб.: Питер, 2009. – 800 с;
3. Чесборо Г. Открытые бизнес-модели. IP-менеджмент / Пер. с англ. В.Н.Егорова. – М. : Поколение, 2008. – 352 с;
4. Корпоративна культура : навчальний посібник / під заг. ред. Г.Л.Хаста. – Київ : Центр навчальної літератури. – 2003.403 с;
5. Основы менеджмента: Пер. с англ. / М. Мескон, М. Альберт, Ф. Хедоури ; пер. Э. В. Шустер [и др.] ; ред. Л. И. Евенко ; Академия народного хозяйства при Правительстве Российской Федерации (М.), Высшая школа международного бизнеса. - [2-е изд.]. - М. : Дело, 2004. - 799 с;
6. Работающая инновация. Как управлять ею, измерять ее и извлекать из нее выгоду / Тони Давила, Марк Дж. Эпштейн, Роберт Шелтон ; пер. с англ. О. И. Зори ; под науч. ред. Т. Ф. Козицкой. - Днепропетровск : Баланс Бизнес Букс, 2007. - 288 с. - Парал. тит. англ. - Библиогр.: с. 261-280. - ISBN 978-966-415-009-2;
7. Инновации как формула роста: новое будущее ведущих компаний / Роберт Б.Такер ; [пер. с англ. А. Анкудинова] - М. : Олимп-Бизнес, 2006. - 240с;
8. Chesbrough H. Managing Open Innovation / IEEE Engineering Management Review, Vol 3, No. 2Second Quarter 2004, PP. 52 – 56;

9. Peter Senge et al. The Dance of Change : The Challenges to Sustaining Momentum in Learning Organizations / Peter Senge, Art Kleiner, Charlotte Roberts, Richard Ross, George Roth, Bryan Smith: CURRENCY BOOK.– 1999. – 596 p;
10. Schein E. H. **Organizational Culture and Leadership**. San Francisco, Jossey-Bass, 1985;
11. Scheinberg S. What is an innovation culture? / S.Scheinberg // Формування інноваційної культури в українських університетах : практ. посіб. / За ред. Н.Я. Качмар-Кос. – Львів : Видавництво Львівської політехніки, 2012. – 124 с;4Martin J. **Cultures in Organizations: Three Perspectives**. Oxf.: Oxford University Press, 1992.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების  
ბალანსის დებარდინანტები სამხრეთ  
კავკასიის ქვეყნებში**

**ლელა ჯამაგიძე**  
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის**  
**სახელმწიფო უნივერსიტეტის**  
**ასისტენტ-პროფესორი**

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) ნაკადები ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული, ამიტომ დღეს უაღრესად აქტუალურია პუი-ს ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული დეტერმინანტების კვლევები, რაც ახსნის კონკრეტულ ქვეყნებში პუი-ს მოზიდვის პროცესს და, ასევე, მსოფლიო პუი-ს გეოგრაფიულ სტრუქტურას.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ეკონომიკური განვითარების მსგავსი ისტორია და მახასიათებლები აქვთ, თუმცა დამოუკიდებელი განვითარების პერიოდის მანძილზე იქ ბევრი ურთიერთგანსხვავებული ეკონომიკური პროცესი განვითარდა. მაგალითად, აზერბაიჯანის ეკონომიკა უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი იყო [7, გვ. 3], რომელსაც ჩამორჩებოდნენ მეზობელი ქვეყნები – სომხეთი და საქართველო. სომხეთი ყველაზე მეტად დაზარადა გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენით, ხოლო აზერბაიჯანმა მოახერხა არა მარტო ეკონომიკური შოკის დაძლევა, არამედ დიდი ინვესტიციებიც გაიტანა საზღვარგარეთ. საქართველომ წარმატებით განახორციელა

მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმები, ასევე, იზრუნა ბიზნესის გარემოს გაუმჯობესებაზე ფისკალური და ადმინისტრაციული რეფორმების გატარებით, მაგრამ 2008 წლის რუსეთთან ომმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა გაზარდა ბიზნესგარემოს არაპროგნოზირებადობა და უარყოფითი გავლენა მოახდინა პუი-ზე.

სამხრეთ კავკასიის რეგიონს აქვს კარგი ადგილმდებარეობა, როგორც დასავლეთთან, ასევე, აღმოსავლეთთან ვაჭრობისთვის. რეგიონი მდიდარია ენერგეტიკული და წყლის რესურსებით. ეს ფაქტორები მიმზიდველია უცხოური ინვესტიციებისთვის, მაგრამ, ამ ქვეყნებს, ასევე, აქვთ პრობლემები. 2008 წლამდე ეკონომიკური ზრდის არსებული ტემპების მიუხედავად, მწარმოებლურობა, გამოთვლილი 1 ადამიანზე გამომშვების მაჩვენებლით, 77%-ით ჩამორჩებოდა საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს [12, გვ. 32]. ექსპერტები მიუთითებენ, რომ ამ რეგიონში აუცილებელია პუი-ს როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისებრივი გაუმჯობესება, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ 2002-2008 წლებში პუი-ს უმეტესობა მომპოვებელი დარგებისკენ მიემართებოდა, უკავშირდებოდა პრივატიზაციას და არა კაპიტალდაბანდებებს ახალ პროექტებში.

ლიტერატურაში მიღებულია პუი-ს დეტერმინანტების დაყოფა მიწოდების მხრივ და მოთხოვნის მხრივ დეტერმინანტებად [3, გვ. 33]. საკუთრებასა და ინტერნალიზაციასთან დაკავშირებული დეტერმინანტები მიწოდების მხრივი დეტერმინანტებია და მასი შედის მასშტაბის ეკონომია, ოლიგოპოლიური სტრუქტურა, საქონლის სასიცოცხლო ციკლი, ინტერნალიზაცია. ადგილმდებარეობის უპირატესობები მოთხოვნის მხრივი დეტერმინანტია, რადგან მიგვითითებს, რას ფლობს მიმღები ქვეყანა იმისათვის, რომ მეტი პუი მოიზიდოს უცხოეთიდან. ადგილმდებარეობის

განმსაზღვრელი შეიძლება იყოს ეკონომიკური და ინსტიტუციური დეტერმინანტები.

სტატიაში ყურადღებას ვამახვილებთ პუი-ს ადგილმდებარეობის ეკონომიკურ და ინსტიტუციურ დეტერმინანტებზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში.

პუი-ს შესახებ ყოველ თეორიაში, რომლებიც 1960-იანი წლების შემდგომ შემუშავდა, ხაზგასმულია ადგილმდებარეობის არჩევანის სხვადასხვა ფაქტორი. ამ თეორიებში ჩამოყალიბებულია ის დეტერმინანტები, რომელთა საფუძველზე შეიძლება აიხსნას პუი-ს ნაკადების მოძრაობა. მოქმედების დონის მიხედვით ისინი იყოფა მიკრო და მაკრო დონის დეტერმინანტებად. მიკრო დონეზე იგულისხმება კომპანიასთან დაკავშირებული საკუთრების, დანახარჯების შემცირების და მასშტაბის ეკონომიის ფაქტორები, ხოლო მაკრო დონე ეხება ბაზრისთვის სპეციფიკურ ფაქტორებს, როგორცაა შეღწევის ბარიერები, რესურსების ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური სტაბილურობა, ქვეყნის რისკი და ბაზრის ზომა და ა. შ.

პუი-ს თავდაპირველი პირველი ახსნა მოცემული იყო ჰეკშერ-ოლინის თეორიაში [8, გვ. 166]. იგი შემდგომ შეავსეს მაკდუგალმა და კემპმა, რომელთა მიხედვით, პუი მოტივირებულია მაღალი უკუგების არსებობით უცხოეთში, სადაც არის სამუშაო ძალის დაბალი დანახარჯები და დაბალი სავალუტო რისკი [2, გვ. 3]. ჰაიმერისა და კინდელბერგერის მიხედვით, საქონლისა და ფაქტორების ბაზრები უნდა იყოს არასრულყოფილი, იმისათვის, რომ იქ პუი-ს შესაძლებლობები შეიქმნას [5, გვ. 83]; კნიკერბოკერი მიიხედავდა, რომ პუი-ს ნაკადები ამსახველია იმ მეტოქეობისა, რომელიც არსებობს კომპანიებს შორის გლობალურ ოლიგოპოლიურ ბაზრებზე, როგორც რეაქცია გარკვეულ ბაზარზე კონკურენტის შესვლის მიმართ. ეს ნიშნავს, რომ კომპანიები ბაძავენ კონკურენტის ინტერნაციონალიზაციას, რათა მათ არ

მოიპოვონ სტრატეგიული უპირატესობა [9, გვ. 171]; ვერნონი პუი-ს უკავშირებდა პროდუქტის სასიცოცხლო ციკლს [5, გვ. 85], ხოლო ინტერნალიზაციის კოუზისეული თეორია, რომელიც ბაკლიმ და კესონმა განავითარეს, ამტკიცებს, რომ ტნკ-ები ახორციელებენ ინტერნალიზაციას პუი-ს მეშვეობით, როცა ტრანსაქციური ხარჯები უფრო მაღალია, ვიდრე ინტერნალიზაციის ხარჯები [5, გვ. 93]; დანიგის OLI პარადიგმა უფრო გამთლიანებულ მიდგომას იძლევა, როცა ფირმას ერთდროულად აქვს საკუთრების (ტექნოლოგია, გამორჩეული საწარმოო პროცესი, პატენტები, მმართველობითი ცოდნა), ადგილმდებარეობის (საგადასახადო რეჟიმი, დაბალი წარმოებისა და სტრანსპორტო ხარჯები, ბაზრის ზომა, დაცულ ბაზრებთან წვდომა და დაბალი რისკი) უპირატესობები, ხოლო საბაზრო არასრულყოფილების დაძლევა (მაგალითად, რესურსების საერთაშორისო განაწილების დაუბალანსებლობა) მცირდება ინტერნალიზაციის გზით [5, გვ. 95].

ვაჭრობის ახალი თეორია, რომელიც ეკუთვნით კრუგმანს, ჰელპმანს, მარკუსენს, ახდენს საკუთრების (ანუ ცოდნის) და ადგილმდებარეობის (ანუ ბაზრის ზომისა და ტრანსაქციური დანახარჯების) კომბინირებას ტექნოლოგიასა და ქვეყნის შინაგან მახასიათებლებთან (ფაქტორებით უზრუნველყოფა) [11, გვ. 20-21]. ამდენად, ეს თეორია OLI პარადიგმის ცვლადებისა და ტექნოლოგიისა და ქვეყნის ბუნებრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებას ცდილობს.

რაც შეეხება ბუნებრივ რესურსებს, როგორც ადგილმდებარეობის დეტერმინანტს, დეიშმანის კვლევა ადასტურებს, რომ ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა პუი-ს მნიშვნელოვანი დეტერმინანტია [4, გვ. 5]. ავტორი განიხილავს ცენტრალური აზიის ნავთობითა და გაზით მდიდარ ქვეყნებს, რომლებიც ამ რესურსების გარეშე მიმზიდველი არ იქნებოდნენ პუი-სთვის. ლედიაევა ანალოგიურ

დასკვნამდე მიდის და ადასტურებს, რომ რუსეთის ნავთობისა და გაზის რესურსებით მდიდარი რეგიონები ახერხებენ ყველაზე დიდი მოცულობის პუი-ს მოზიდვას. [10, გვ. 11]

ბაზრის ზომა და ზრდის ტემპი დადებით გავლენას ახდენს პუი-ზე. უმრავლეს შემთხვევაში ეს პოზიტიური დამოკიდებულება მართლდება ემპირიულად, მაგრამ არის ქვეყნები, სადაც ზუსტი შედეგი ვერ იქნა მიღებული. საფიქრებელია, რომ ამ ქვეყნებში პუი-ს მეტი ნაკადი იქნებოდა მოზიდული, თუ მეტი ინსტიტუციური რეფორმა განხორციელდებოდა. ამდენად, აუცილებელია ინსტიტუციური ფაქტორების ჩართვა ანალიზში, რომელთა წრე საკმაოდ მრავალფეროვანია.

ინსტიტუციური თეორიის მიხედვით, ფირმები მოქმედებენ განუსაზღვრელ გარემოში, რომელიც ხშირად წინააღმდეგობრივია და კომპანიის გადაწყვეტილებები დამოკიდებული ხდება ინსტიტუციურ ძალებზე, როგორცაა რეგულაციები და სტიმულები. ამ შემთხვევაში საერთაშორისო ბაზრებზე ინსტიტუციური ფაქტორები განსაზღვრავს თამაშის წესებს. ამდენად, პუი არის ე.წ. „თამაში», რომელშიც მონაწილეობენ ტნკ-ები და მიმღები ქვეყნების მთავრობები. შესაბამისად, მთავრობის პოლიტიკა განსაზღვრავს არჩევანს ექსპორტს, ლიცენზირებას და პუი-ს შორის. როდრიკი სხვა ავტორებთან ერთად ამტკიცებს, რომ პუი-ს ინსტიტუციური დეტერმინანტების როლი უპირატესია სხვა დეტერმინანტებთან შედარებით [15, გვ. 18]. იენსენი ერთმანეთს უპირისპირებს დემოკრატიულ და არადემოკრატიულ ინსტიტუტებს და აჩვენებს, რომ მრავალეროვნული ფირმები უპირატესობას ანიჭებენ დემოკრატიულ ქვეყნებს, რადგან იქ პოლიტიკური რისკი დაბალია [8, გვ. 587].

მსოფლიო ბანკის 2013 წლის კვლევა – “მსოფლიო საინვესტიციო და პოლიტიკური რისკი,” ავლენს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ამა თუ იმ რისკფაქტორის მოქმედებას

მომავალი სამი წლის განმავლობაში უცხოელი პირდაპირი ინვესტორები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. ყველაზე დიდ შეზღუდვად პუი-სთვის ისინი მიიჩნევენ მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას (გამოკითხულთა 21%), პოლიტიკურ რისკებს (19%), ნაკლებად კვალიფიციურ სამუშაო ძალას (18%), ქვეყანაში ინვესტიციების დაფინანსების შესაძლებლობების ნაკლებობას (13%) და სუსტ სახელმწიფო ინსტიტუტებს/კორუფციას (10%). ბაზრის შეზღუდულ ზომას და ინფრასტრუქტურის პრობლემებს ასახელებს, შესაბამისად, 5% და 7% [17, გვ. 7].

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ქსამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პუი-ს ადგილმდებარეობის დეტერმინანტების შესწავლის თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად სრულყოფილ სურათს მოგვცემს ეკონომიკური და ინსტიტუციური დეტერმინანტების გაანალიზება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიაში ყურადღებას ვამახვილებთ პუი-ს მაკრო დონის დეტერმინანტებზე. განხილული თეორიების საფუძველზე გამოვეყოფთ ადგილმდებარეობის განმსაზღვრელ მაკრო გარემოში მოქმედ ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ბაზრის ზომა, ეკონომიკის ზრდის ტემპი, ეკონომიკის გახსნილობა, ბუნებრივი რესურსებით ქვეყნების უზრუნველყოფა, ზოგადი მაკროეკონომიკური სტაბილურობა. ეს ფაქტორები პუი-ს კლასიკური დეტერმინანტებია, ხოლო ინსტიტუციური დეტერმინანტების როლის გაძლიერება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში გარდამავალ ეკონომიკებსა და ინსტიტუციურ რეფორმებს უკავშირდება. შესაბამისად, ამ დეტერმინანტების ინტეგრირებით შევაფასებთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, როგორც პუი-ს განთავსების ადგილის მნიშვნელობას. ინსტიტუციური ცვლილებების დანერგვის ტენდენციის შედარებით პუი-ს რაოდენობრივი მონაცემების ცვლილების ტენდენციასთან შევძლებთ შევაფასოთ ინსტიტუციური დეტერმინანტების როლი პუი-ს მოზიდვაში სამხრეთ კავკასიის



სამ ქვეყანაში.

ბაზრის ზომას განვსაზღვრავთ ქვეყნის მშპ-ის სიდიდით და 1 სულზე მისი მოცულობით. ეკონომიკური ზრდის ტემპი მოცემულია რეალური მშპ-ის წლიური პროცენტული ცვლილებით. ეკონომიკის ღიაობას, როგორც არაინსტიტუციური დეტერმინანტს, ვაფასებთ ქვეყნის საექსპორტო კოეფიციენტითა და მიმდინარე ანგარიშის წილით მშპ-ში. მეორე მხრივ, ეკონომიკის ღიაობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ინსტიტუციური დეტერმინანტი, რისთვისაც ვიხელმძღვანელოთ Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსისა და Fraser Institute-ის მსოფლიო თავისუფლების მაჩვენებლებით.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ბაზრის ზომის, ეკონომიკური ზრდის ტემპის, ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ მონაცემები აღებული გვაქვს საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებისა და შესაბამისი ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციიდან. ინსტიტუტების განვითარების დონის შეფასებისთვის ვიხელმძღვანელოთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ინდიკატორებითა და მსოფლიო ბანკის პროექტის «მმართველობის მსოფლიო ინდიკატორების» (WGI) მონაცემებით.

**პუი-ს ადგილმდებარეობის ეკონომიკური დეტერმინანტები.** პუი-ს ადგილმდებარეობის ტრადიციული დეტერმინანტები (ბაზრის ზომა, ეკონომიკური ზრდა, ბუნებრივი რესურსები,) მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საინვესტიციო პროექტის მოსალოდნელ მომგებიანობას.

**ბაზრის ზომა.** მიმღები ქვეყნის ბაზრის ზომა მიგვითითებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ პირობებსა და იქ არსებულ პოტენციურ მოთხოვნაზე, ამიტომ, პუი-ს გადაწყვეტილებაში ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს, განსაკუთრებით ბაზრის მაძიებელი პუი-სთვის. იმ ქვეყნებს,

## ლელა ჯამაგია

რომელთაც დიდი ბაზარი აქვთ, პუი-ს მარაგი, ასევე, დიდი უნდა ჰქონდეთ.

ქვეყნის ბაზრის ზომის შეფასების ყველაზე მიღებული მაჩვენებელი არის მშპ, რადგან ის გამოხატავს წლის განმავლობაში მთლიანად ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებას. ასევე, ბაზრის ზომის დახასიათებისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს მოსახლეობის 1 სულზე მშპ-ის მოცულობა და კერძო და სახელმწიფო მოხმარების მაჩვენებლები. თუ ერთმანეთს შევადარებთ სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას მათი ბაზრების ზომის ნიშნით, ვნახავთ, რომ ამ ნიშნით აზერბაიჯანს შეუძლია ყველაზე ხელსაყრელი ადგილმდებარეობა შესთავაზოს ბაზრის მაძიებელ პუი-ს.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ბაზრის ზომის  
მაჩვენებლები  
და პუი-ს მარაგი 2012 წ. [18, გვ. 220]

ცხრილი 1

ქვეყანა	მოსახ- ლეობა მლნ	მშპ მლრდ \$	მშპ მოსახ- ლეობის 1 სულზე \$	შემოსული პუი-ს მარაგი (მლნ დოლარი)
საქართველო	4.5	15 380	3508	10 615
სომხეთი	2,9	9 950	3337	5 063
აზერბაიჯანი	9,2	67,2	7227	11 118

აზერბაიჯანი ორივე მეზობელზე წინაა 1 სულზე მშპ-ის მოცულობით. მან სიღარიბის დონე მნიშვნელოვნად გააუმჯობესა - 2001-2012 წლებში სიღარიბის მაჩვენებელი 49%-დან 6%-მდე შემცირდა. როგორც ცხრილი 1-ის მონაცემები მოწმობს, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი საქართველოს მოსახლეობით თითქმის 2-ჯერ, მშპ-ის მოცულობით - 4-ჯერ, ხოლო 1 სულზე შემოსავლით 2-ჯერ

და კიდევ უფრო მეტად, აღემატება, შემოსული პუი-ს მარაგის ასეთივე დიდი სხვაობით ვერ უსწრებს საქართველოს. ეს უმთავრესად, აიხსნება ქვეყანაში არსებული სხვა პრობლემებით, დაბალგანვითარებული ინსტიტუტებით და კორუფციით, რაშიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საქართველოს მეტი წარმატება აქვს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 2007-2013წ. [18, გვ. 220]; [26]

ცხრილი 2

ქვეყნები	შემოსული პუი-ს ნაკადი (მლნ დოლარი) და წილი მშპ-ში (%)											
	2007		2008		2009		2010		2011		2012	
საქართველო	1750	18.5	1564	12.4	659	6.1	814	7.5	1048	7.5	866	5.3
სომხეთი	699	7.6	935	8.0	778	9.0	570	6.2	525	6.5	489	4.9
აზერბაიჯანი	4749	13.9	14	8.2	473	6.5	563	6.3	1467	6.8	2005	7.9

მოსახლეობის 1 სულზე მშპ-ის მოცულობით სომხეთი ახლოსაა საქართველოს მაჩვენებელთან, მაგრამ მოზიდული პუი-ს მარაგით 2-ჯერ ჩამორჩება მას. საქართველოსგან განსხვავებით, სომხეთი შედარებით იზოლირებული ქვეყანაა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ეკონომიკური ორიენტაცია ლიბერალურია. მის ეკონომიკაში უცხოური გზავნილები გაცილებით დიდ როლს ასრულებს, ვიდრე პუი-ს ნაკადები. არასაკმარისი უცხოური მოთხოვნის გამო, შიგა მოთხოვნის სტიმულირება ხდება სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო ვალის ზრდის ხარჯზე, რაც არახელსაყრელად მოქმედებს პუი-ს მოზიდვაზე. 2008 წლამდე, ასევე, სესხებისა და ტრანსფერების ხარჯზე ხდებოდა შიგა მოთხოვნის ზრდა საქართველოში და მხოლოდ აზერბაიჯანმა ისარგებლა ექსპორტიდან მიღებული წმინდა შემოსავლებით.

**ღია ეკონომიკა.** მოცემული სამი ქვეყნიდან საქართველოს და სომხეთს მეტ-ნაკლებად მზავსი ვაჭრობის

## ლელა ჯამაგია

სტრუქტურა აქვთ - მცირე ექსპორტითა და იმპორტზე დიდი დამოკიდებულებით. აზერბაიჯანს, როგორც ბუნებრივი აირისა და ნავთობის რესურსების მფლობელს, დიდი ექსპორტი აქვს (მშპ-ს 54% 2012წ).

2005-2012 წლებში ვაჭრობის მოცულობა აზერბაიჯანში 5-ჯერ, საქართველოში 3-ჯერ, ხოლო სომხეთში – 1,5-ჯერ გაიზარდა. საქართველოს ექსპორტის წილი მშპ-ში 2005-2012 წლამდე მცირედით – 34%-დან 38%-მდე გაიზარდა; სომხეთში ეს მაჩვენებელი შემცირებულია 29-დან 25%-მდე.

პუი-ს ეკონომიკური რისკვაქტორების ჯგუფში შედის ისეთი მაჩვენებელი, როგორცაა მიმდინარე ანგარიშის წილი მშპ-ში.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმდინარე ანგარიში (პროცენტულად მშპ-ს მიმართ) [28].

ცხრილი 3

ქვეყნები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საქართველო	-6,9	-11,06	-15,17	-19,75	-22,07	-10,5	-10,2	-12,7	-11,5
სომხეთი	-0,55	-0,1	-1,83	-6,4	-11,85	-15,83	-14,83	-11,05	-10,6
აზერბაიჯანი	-29,83	1,26	17,67	27,29	33,68	23	28,4	25,7	21,4


მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე აქვთ ექსპორტის შემოსავლებზე დამოკიდებულ ეკონომიკებს, დაბალი საშინაო მოთხოვნით. როგორც მე-3 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, აზერბაიჯანი ასეთი ქვეყანაა. დეფიციტი მიგვანიშნებს დაბალ დანაზოგებსა და განკარგვად შემოსავალში სამომხმარებლო ხარჯების მაღალ წილზე, რაც დამახასიათებელია სომხეთისა და საქართველოსთვის.

**ეკონომიკური ზრდა.** ცხრილი 2-ის მონაცემები მოწმობს, რომ 2007-2012 წლებში პუი-ს ნაკადები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არასტაბილური იყო. (ზრდა და დაცემა ცვლის ერთმანეთს). საქართველოში მისი მიმართულება დაახლოებით

ისევე იცვლება, როგორც მშპ-ს ზრდის ტემპი. ცხადია, რომ მშპ-ის რეალური ზრდის უმცირესი დონე (შეესაბამება 2009 წ.) ამავე წელს ემთხვევა შემოსული პუი-ს ყველაზე მცირე სიდიდეს. სომხეთსა და აზერბაიჯანში ეს ასე არაა. სომხეთში პუი-ს კლებადი ნაკადი აღინიშნება ყოველწლიურად, ხოლო აზერბაიჯანში არის ზრდა (იხ. ნახ. 1).

ეკონომიკური ზრდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში [23], [24], [25].

ნახ. 1.



გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგად მშპ შემცირდა სამივე ქვეყანაში. განსაკუთრებით დაზარალდა სომხეთი, სადაც 2009 წელს მოხდა ვარდნა 14%-ით. აზერბაიჯანში კრიზისის გავლენა მშპ-სა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ასეთი მკვეთრი არ ყოფილა, რაც ექსპორტიდან უცხოური ვალუტის მყარ შემოდინებას უკავშირდება.

მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე მოქმედი სამივე ქვეყნისთვის საერთო ფაქტორი იყო გლობალური

ეკონომიკური კრიზისი [16, გვ. 11]. საქართველოსთვის, ასევე, - 2008 წლის ომი [13, გვ. 6]. საქართველომ და სომხეთმა გაზარდეს უცხოური სესხების მოცულობა, რადგან უცხოური კაპიტალის მთავარი წყარო, პუი, შემცირდა კრიზისის გამო. სომხეთის სახელმწიფო ვალი მეტისმეტად გაიზარდა. საბიუჯეტო დეფიციტს შემცირების მიუხედავად, მისი მაკროეკონომიკური მდგომარეობა სადღეისოდ ფასდება, როგორც არამდგრადი.

ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, ზერბაიჯანსა და საქართველოში მეტი სტაბილურობაა მოსალოდნელი მომავალ პერიოდში. საერთაშორისო ორგანიზაციების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი საქართველოში მომავალი სამი წლის განმავლობაში 6-7%-ია, სტაბილურად აღმაველ ტენდენციას ვარაუდობენ მომავალი სამი წლის განმავლობაში აზერბაიჯანშიც. სომხეთის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი მათზე დაბალია (4%-მდე) [20].

**ბუნებრივი რესურსები.** აზერბაიჯანი ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი ქვეყანაა. იქაა მსოფლიო ნავთობის მარაგის 0,5% და ბუნებრივი აირის 0,7%. 2007 წელს გარდატეხის წელი იყო აზერბაიჯანის ენერგეტიკული სექტორისთვის, როცა ამოქმედდა შაჰ-დენიზის გაზსადენი, რამაც ქვეყანა ბუნებრივი აირის წმინდა ექსპორტიორად აქცია.

1994 წელს გაფორმდა ხელშეკრულება აზერბაიჯანსა და 13 დასავლური კომპანიის მიერ ჩამოყალიბებულ სანავთობო კონსორციუმს შორის, რითაც გაიხსნა აზერბაიჯანის საბადოები დანარჩენი მსოფლიოსთვის. მომპოვებელ დარგებში დიდი როლდენობით პუი შევიდა. უცხოური ვალუტის შედინება განსაკუთრებით გაიზარდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტების დასრულების შემდეგ. არსებობს პროგნოზები 2014 წლისთვის ნავთობის მოპოვების შემცირების შესახებ, ამიტომ აზერბაიჯანი ცდილობს თავისი

სტრატეგია მიმართოს სამრეწველო და მომსახურების სექტორში ექსპორტის განვითარებისა და ენერგეტიკულ საქონელზე დამოკიდებულების შემცირებისკენ.

სომხეთი და საქართველო უხვად ფლობენ წყლის რესურსებს, მაგრამ ის არასაკმარისადაა ათვისებული. ამდენად, არსებობს ინვესტირების ზრდის შესაძლებლობები საირიგაციო სისტემებსა და სასმელი წყლის მიწოდებაში. EBRD-ის შეფასებით, მაღალია საქართველოს ჰიდრო-ენერგეტიკული პოტენციალი და არსებობს შესაძლებლობები, რომ ჰიდროენერგია საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო საქონელი გახდეს.

**პუი-ს ადგილმდებარეობის ინსტიტუციური დეტერმინანტები.** ინსტიტუციური დეტერმინანტები გავლენას ახდენს პუი-ზე, რადგან მასზე დამოკიდებულია ტრანსაქციური და წარმოების დანახარჯები. ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონე ქვეყანაში ზრდის განუხაზღვრელობას და, შესაბამისად, დანახარჯებსაც [14, გვ. 94]. აქ განვიხილავთ ინსტიტუტების განვითარების (მმართველობის) ხარისხს და კორუფციის დონეს, როგორც პოლიტიკური რისკის უმნიშვნელოვანეს განმსაზღვრელებს, ასევე, ფინანსურ რესურსებზე წვდომას და ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების დონეს, რასაც პუი-ს ადგილმდებარეობის განსაზღვრაში უდიდეს როლს ანიჭებს ინსტიტუციური თეორიის საფუძველზე განხორციელებული კვლევების უმრავლესობა.

**მმართველობის ხარისხი.** მმართველობის მსოფლიო ინდიკატორები (WGI) იძლევა მმართველობის ხარისხის შესახებ ბიზნეს სექტორის, ექსპერტების, მოქალაქეების მოსაზრებების კვლევის შედეგებს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. მაჩვენებლები იცვლება -2,5 (სუსტი მმართველობა)-დან 2,5-მდე (ძლიერი მმართველობა).

## ლელა ჩამაგვიკე

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები მმართველობის მსოფლიო ინდიკატორებში [19]

ცხრილი 4

ქვეყანა	მმართველობის მსოფლიო ინდიკატორები			
	2009	2010	2011	2012
საქართველო	-0,22	-0,18	-0,21	-0,02
სომხეთი	-0,88	-0,85	-0,68	-0,57
აზერბაიჯანი	-1,21	-1,26	-1,27	-1,26

კარგი მმართველობა უკავშირდება ნაკლებ განუსაზღვრელობას და პუი-ს უკუგების მაღალ მოსალოდნელ დონეს. სუსტი ინსტიტუტები პირდაპირი ინვესტორებისთვის დამატებითი ხარჯების მომტანია. განსაკუთრებით ამ სახის საფრთხეს წარმოადგენს კორუფცია. იმის გამო, რომ პუი-ს ახასიათებს მაღალი დაუბრუნებელი ხარჯები, მასზე განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს განუსაზღვრელობა, მაგალითად, პოლიტიკის მოულოდნელი ცვლილებები, საკუთრების უფლებების განუხორციელებლობა და სხვა.

ცხრილში (4) მოცემული მაჩვენებლების მიხედვით ვასკენითრომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის საქართველო ყველაზე პროგრესულია მმართველობის ხარისხის მიხედვით, ხოლო აზერბაიჯანი თავის ორ მეზობელზე დიდად წარუმატებელია. საგულისხმოა, რომ წლიდან წლამდე საქართველოსა და სომხეთში თვალსაჩინოა პროგრესი, ხოლო აზერბაიჯანში მაჩვენებლების გაუმჯობესება თითქმის არ აღინიშნება. შესაბამისად, საქართველოს როგორც პუი-ს განთავსების ადგილის მიმზიდველობა, უფრო მაღალია.

**კორუფცია.** თავისი ინსტიტუციური პროგრესით საქართველო რეგიონში ძლიერ საინტერესო ქვეყანაა. ეს, უწინარესად, შეეხება კორუფციის შემცირებას, რაც პუი-ს მოზიდვის სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნიდა. საქართველომ 2004 წლის შემდგომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია



კორუფციის სხვადასხვა ფორმასთან ბრძოლაში. ორგანიზაცია - «საერთაშორისო გამჭვირვალობის» შეფასებით, «წერილმანი კორუფცია ფაქტობრივად გაუჩინარდა საქართველოს მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრებიდან» [21]. გაუმჯობესდა ქვეყნის ანტიკორუფციული კანონმდებლობა და გაიზარდა მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობა მთელ რიგ სფეროებში. კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით 2013 წელს ის იკავებდა 55-ე ადგილს მსოფლიოს 174 ქვეყანას შორის. სომხეთისა და აზერბაიჯანის პოზიციები არის, შესაბამისად, 94-ე და 127-ე ადგილი. საგულისხმოა კავკასიის რესურსების კვლევითი ცენტრის შედეგები, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანში ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად კორუფციას მიიჩნევენ მოსახლეობის 5% და 7%, შესაბამისად, ხოლო საქართველოში - 0% [22].

**ეკონომიკური თავისუფლება.** ეკონომიკური თავისუფლება გავლენას ახდენს ქვეყნებში ინვესტიციების მოცულობაზე, ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების დონეზე. ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლების მიხედვით თითქმის ყველა კვლევა, ადასტურებს, რომ ქვეყნის პოლიტიკა, რომელიც ემსახურება მეტი ეკონომიკური თავისუფლების მიღწევას, აისახება მეტ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდაში.

Fraser Institute-ის მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლების მიხედვით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ასეთი სურათია: 152 ქვეყანას შორის საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლების მაჩვენებლით საქართველო ერთ-ერთი მოწინავეა არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მსოფლიოშიც, დიდად წინაა მეზობელ ქვეყნებზე და იკავებს მე-8 ადგილს, ხოლო სომხეთი და აზერბაიჯანი, შესაბამისად, იკავებენ 62-ე და 110-ე ადგილებს. ასევე, წინაა საქართველო რეგულირების კომპონენტის მიხედვით (27-ე ადგილი). ამასთან, რეგულირებისგან მეტად თავისუფალია

## ლელა ჯამაგია


ბიზნესი, ვიდრე სამუშაო ძალისა და კაპიტალის ბაზრები.

საკუთრების უფლებების კომპონენტის მიხედვით, აზერბაიჯანი მეზობელ ქვეყნებთან შედარებით უკეთეს შედეგს ავლენს (55-ე ადგილი). საკუთრების უფლების დაცულობის თვალსაზრისით, აზერბაიჯანმა ბოლო წლებში პროგრესს მიაღწია, რის შესახებ აღნიშნულია, ასევე, Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ანგარიშში.

Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, სომხეთი და საქართველო საშუალო მსოფლიო მაჩვენებელზე (60) მაღლა დგანან და დაახლოებით ერთნაირი ეკონომიკური თავისუფლების დონე აქვთ. აზერბაიჯანი ამ დონეზე დაბლაა, თუმცა, ყოველწლიურად აუმჯობესებს თავის მაჩვენებელს. 2014 წელს ზერბაიჯანი პირველად გადადის “საშუალოდ თავისუფალი” ქვეყნების რიცხვში. (იხ. ნახ. 2).

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი სამხრეთ  
კავკასიის ქვეყნებში [27].

ნახ. 2.



2014 წელს სომხეთის მაჩვენებელი მცირედით გაუარესდა უმთავრესად საინვესტიციო თავისუფლების, ბიზნესის თავისუფლებისა და ფისკალური თავისუფლების

მაჩვენებლების ხარჯზე.

**ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.**

ფინანსებთან ხელმისაწვდომობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნესის წარმართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს. Global Competitiveness Report იძლევა ფინანსური ბაზრების განვითარების შესახებ მაჩვენებლებს, რაც ქვეყნების შედარების საშუალებას გავძლევს. აქ იგულისხმება ისეთი ელემენტები, როგორცაა სესხების ხელმისაწვდომობა ადგილობრივ ბაზრებზე, ვენჩურული კაპიტალის არსებობა, ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის რეგულაციები და სხვა. მონაცემებიდან ჩანს, რომ ზოგადად რეგიონში არასახარბიელო მაჩვენებლებია, მაგრამ აზერბაიჯანს აქვს თავის ორ მეზობელზე უკეთესად განვითარებული ფინანსური ბაზარი. (იხ. ცხრილი 5).

ფინანსური ბაზრების განვითარების დონე [6, გვ. 101, 107, 183]

ცხრილი 5

ქვეყნები	ფინანსური ბაზრის განვითარება	ფინანსური მომსახურების არსებობა	სესხების ხელმისაწვდომობა	დაფინანსება ადგილობრივი საფონდო ბაზრიდან	ვენჩურული კაპიტალის არსებობა	ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის რეგულირება
საქართველო	99	107	79	122	97	110
სომხეთი	95	102	85	102	109	122
აზერბაიჯანი	94	98	69	77	54	88

ქართულ ფინანსურ სექტორში დომინირებს საბანკო სექტორი, რომელიც თავისი პრიმიტიული მოდელით გამოირჩევა და საბანკო საქმიანობის მხოლოდ ვიწრო სპექტრს (დეპოზიტები, სესხები, საანგარიშსწორებო და საკასო მომსახურება) მოიცავს. [1, გვ. 4]. სომხეთის ფინანსური სექტორში ასევე, უმთავრესად წარმოდგენილია ბანკები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის შეფასებით, სომხეთის ფინანსური ბაზრები არასაკმარისადაა განვითარებული, როგორც ტექნოლოგიურად, ასევე, გამჭვირვალობისა და სხვა ინსტიტუციური მახასიათებლების მიხედვით.

აზერბაიჯანში პრობლემატურია კაპიტალის ხელმისაწვდომობა და ბიზნესის ნდობა საბანკო სისტემის მიმართ. ასევე, კერძო სფეროში ინვესტორების უფლებების დაცვა სამომავლო ამოცანას წარმოადგენს.

განხილული დეტერმინანტების საფუძველზე შეგვიძლია გარკვეული დასკვნების გამოტანა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, როგორც პუი-ს განთავსების ადგილის შესახებ. განხილული ხუთი ეკონომიკურ დეტერმინანტის მიხედვით,

აზერბაიჯანი მეტი უპირატესობებით ხასიათდება მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. მას აქვს უფრო დიდი ბაზარი, მაღალი საექსპორტო კოტა და დაბალი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წილი მშპ-ს მიმართ, ბუნებრივი რესურსების მეტი სიუხვე და ეკონომიკური ზრდის კარგი პერსპექტივა. საქართველო, სომხეთთან შედარებით, უპირატესობას ავლენს ბაზრის ზომის, ეკონომიკის ღიაობისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

ინსტიტუციური დეტერმინანტების მიხედვით, ეს ქვეყნები დიდ სხვადასხობას ავლენენ. ამ მიმართულებით საქართველოს დიდი უპირატესობა აქვს მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. მმართველობის ხარისხის, კორუფციის კონტროლისა და ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტის

მიხედვით საქართველო, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, წარმატებულია. ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება სამომავლო ამოცანას წარმოადგენს სამივე ქვეყანაში.

ნათელია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პუი-ს დაბრკოლებები, რომლებიც გამოწვეულია ბაზრებისა და ბუნებრივი უპირატესობების სიმცირით, შეიძლება შესუსტდეს ადგილმდებარეობის ინსტიტუციური დეტერმინანტების გაუმჯობესებით.

### **The Location Determinants of FDI in the South Caucasus Countries**

**L. Jamagidze**

In the present work we discuss the economic and institutional determinants of FDI in the countries of South Caucasus during the last decade. The theoretical basis of our study is the new trade theory and institutional theory. We are focused on the macro level determinants of FDI. We distinguish such macro level location factors as market size, growth rates, openness of the economy, availability of natural resources, general macroeconomic stability. These factors represent classical FDI determinants. The intensification of institutional determinants in South Caucasus is related to their economic transition and the ongoing institutional reforms. South Caucasus countries as FDI location are evaluated by the degree of governance, economic freedom, corruption and access to finance.

South Caucasus gives a varied picture as FDI location. By the five economic determinants Azerbaijan holds clear advantages over its neighbors. It has larger market size, higher export to GDP ratio and low current account deficit, more natural resource endowments and better

economic growth prospects. Georgia as FDI location is advantageous over Armenia by its market size, economic openness and economic growth rates. As for the institutional determinants, Georgia explicitly outperforms the other two. Georgia is advanced by the degree of governance, corruption control and economic freedom components. Accessibility of financial resources is the field of future concern in the three countries.

FDI constraints related to the limited market size and low resource endowment can be removed by means of improved institutional determinants of FDI location.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ხიშტოვანი გ. (2012), კაპიტალის ბაზარი საქართველოში და მისი მტრები, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;
2. Assunção S. Forte R. Teixeira A. A. C. (2011). Location Determinants Of FDI: A Literature Review, FEP Working Paper;
3. Azam M. Economic Determinants of Foreign Direct Investment in Armenia, Kyrgyz Republic and Turkmenistan: Theory and Evidence, Eurasian Journal of Business and Economics 2010, 3 (6), 27-40;
4. Deichmann, J.I.; Eshghi, A.; Haughton, D.M.; Sayek, S.; Teebagy, N.C. (2003), “Foreign Direct Investment In The Eurasian Transition States”, Eastern European Economics, 41(1), 5-34;
5. Dunning, J.H.; Lundan, S.M (2008), “Theories of foreign direct investment”, in John H.Dunning e Sarianna M. Lundan (org.), Multi-national Enterprises and the Global Economy, Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited, pp 79-115;
6. Global Competitiveness Report 2011-2012, World Economic Forum, 2012;

7. Hölscher Jens. Azerbaijan In Transition. IAI Working Papers 12 | 20 July 2012;
8. Jensen N. (2003). Democratic Governance and Multinational Corporations: Political Regimes and Inflows of foreign Direct Investments. International Organization 57. Summer 2003, pp. 587-616;
9. Kuşlivan S. A Review Of Theories Of Multinational Enterprises. D.E.Ü.İ.İ.B.F. Dergisi Cilt:13, Sayı:I, Yıl:1998, Ss.163-180;
10. Ledyaeva, S. (2007), “Spatial Econometric Analysis of Foreign Direct Investment Determinants In Russian Regions”, ISBN 978-952-219-005-5 ISSN 1795-7885 no 51. [http://epublications.uef.fi/pub/urn\\_isbn\\_978-952-219-005-5/urn\\_isbn\\_978-952-219-005-5.pdf](http://epublications.uef.fi/pub/urn_isbn_978-952-219-005-5/urn_isbn_978-952-219-005-5.pdf)
11. Markusen, J.R. (2002), Multinational Firms and the Theory of International Trade. Massachusetts Institute of Technology;
12. OECD Competitiveness Outlook. Competitiveness and Private Sector Development: Eastern Europe and South Caucasus. 2011;
13. Papava V. (2013). Reforming of the Post-Soviet Georgia’s Economy in 1991-2011, GFSIS Center for Applied Economic Studies Research Paper;
14. Peng, M. (2009), “Institutions, Cultures And Ethics”, in Peng, M. (org.), Global Strategic Management, Cincinnati: South-Western Cengage Learning, pp 90-122;
15. Rodrik D. Subramanian A. Trebbihttp F. Institutions Rule: The Primacy Of Institutions Over Geography and Integration In Economic Development: 2002 Working Paper 9305 [www.nber.org/papers/w9305.pdf](http://www.nber.org/papers/w9305.pdf)
16. South Caucasus 2008-2013. Economic and Political Developments in Azerbaijan, Georgia and Armenia, 2013;
17. World Investment And Political Risk, World Bank, 2013;
18. World Investment Report, (2013). UNCTAD;
19. Worldwide Governance Indicators. <http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#reports>
20. <http://news.am/eng/news/210732.html>

21. <http://civil.ge/geo/article.php?id=26297>
22. <http://caucasusbarometer.org/en/cb2013/IMPISS1/>
23. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
24. [www.armstat.am](http://www.armstat.am),
25. <http://www.stat.gov.az>
26. <http://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS>
27. <http://www.heritage.org/index/visualize?countries=armenia|azerbaijan&src=country>
28. [www.tradingeconomics.com](http://www.tradingeconomics.com)



**წინა პირდაპირი  
უსხოური ინვესტიციების  
„კლიერ ველზე“**

**პახტანა ჰარაია**  
**ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის**  
**სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

სტატიაში შემოთავაზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) ანალიზი ცნობილი ეკონომისტის ზ. ბზეუინსკის გამორჩეული ნაშრომის - „დიადი საჭადრაკო დაფის“ (Great Chessboard) ძირითადი მიგნებების გამოყენებით [5]. კერძოდ, თავის ნაშრომში ბზეუინსკი აქტიურად იყენებს ტერმინს - „საჭადრაკო დაფა“, რომელზეც აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას, აგრეთვე ავღანეთს განიხილავს, როგორც, ერთი მხრივ, რუსეთისთვის ძლიერი, ხოლო, მეორე მხრივ, კი - ამერიკისთვის სუსტი ველის პოზიციიდან. თუმცა, ჩვენი ანალიზი უფრო სხვა კუთხით განვითარდება და აღნიშნულ საჭადრაკო დაფაზე პუი-ს საკითხი გადაწყდება.

წარმოვიდგინოთ, რომ საჭადრაკო დაფა პუი-სთვის ბრძოლის ველს წარმოადგენს. თავის მხრივ კი, პუი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორს ფაქტორია. შესაბამისად, ჩვენს საჭადრაკო დაფაზე გვყავს პუი-ზე გავლენის მოხდენის შემძლე, როგორც სუსტი (თუმცა, არა უმნიშვნელო), ასევე - ძლიერი ფიგურები.

დაფაზე განლაგებულ თითოეულ ფიგურას თავისი „წონის“ შესაბამისად, ვარირების განსხვავებული შესაძლებლობები აქვს. კერძოდ: მეფე - ეკონომიკური კეთილდღეო-

ბა (რომლის „დაპყრობა“ მოწინააღმდეგის მიერ საქართველოს განვითარების მოსაზრების ტოლფასია); ლაზიერი (დედოფალი) - პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა (რომელიც წარმატების ქვაკუთხედი და მოთამაშის/მთავრობის ხელში ყველაზე ძლიერი ბერკეტია); ეტლი - მიმზიდველი ბიზნესგარემო (რომელიც ოფიცერთან შედარებით ძლიერი, მაგრამ ლაზიერთან შედარებით - სუსტი ფიგურაა); კუ - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნესმენების კეთილგანწყობა (მართალია, არა მთავარი, მაგრამ ერთ-ერთი გადამწყვეტი ფიგურაა ძლიერი სტრატეგიის შესამუშავებლად); მხედარი - გამართული მარკეტინგი და PR (არა გადამწყვეტი, თუმცა გამარჯვებისათვის აუცილებელი ფიგურაა); პაიკი - სახელმწიფო მოხელეები, კერძოდ: მინისტრები, პარლამენტარები და სხვა მაღალი რანგის წარმომადგენლები (რომლებიც ჩვენს საჭადრაკო დაფაზე ყველაზე დაბალ საფეხურებზე დგანან, თუმცა ტაქტიკის განსაზღვრისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტს წარმოადგენენ).

მოწინააღმდეგე ფიგურებია: მეფე - დაზარალებული ინვესტორი (მართალია, გამოირჩევა შეზღუდული შესაძლებლობებით, მაგრამ მისი „დატყვევება“ საქართველოსთვის საბოლოო გამარჯვების მაუწყებელია); ლაზიერი - მსოფლიო ფინანსური კრიზისი და ეკონომიკური დაღმავლობა (მისი სიძლიერე ყველა დანარჩენისას აღემატება); ეტლი - გეოპოლიტიკური არასტაბილურობა (ნაკლებად მნიშვნელოვანია ვიდრე ლაზიერი, მაგრამ კუსთან შედარებით პირობითად ზემდგომია; ოფიცერი - ფინანსური რესურსების სიმცირე/სიძვირე (სხვა მნიშვნელოვანი პირობების მოგვარების შემდგომ ან - მასთან ერთად, მაინც სერიოზულ ძალას წარმოადგენს); მხედარი - რეპუტაციის რისკი (რომელსაც მხედრის სვლის მაგვარი მოქმედების არეალი აქვს; პაიკი - საქართველოს მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომები (ვერ ვიტყვი, რომ შეცდომების გავლენა უმნიშვნელოა, თუმ-

ცა, პაიკების (იგივეა რაც შეცდომების) სიმრავლე უკვე სერიოზულ ძალას წარმოადგენს).

წარმოვიდგინოთ, რომ თამაშის დებიუტში ვიმყოფებით და ვაყალიბებთ გარკვეულ „ძლიერ ველს“, ანუ საინვესტიციო „ციხე-სიმაგრეს“ (რომელიც ჩვენი მოწინააღმდეგისათვის, პირიქით, სუსტ ველად იქცევა), სადაც კეთილდღეობას პაიკებით გადაზღვეული მძიმე ფიგურები განაპირობებს. ძლიერი ველი ერთბაშად არ ყალიბდება, მას დიდი მოსამზადებელი სამუშაოები უძღვის წინ, რომელიც ჩვენს შემთხვევაში შემდგენიარად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ა) ეტლი - მიმზიდველი ბიზნესგარემო, რომელსაც უცხოელი ბიზნესმენები და ორგანიზაციები ენდობიან. რასაც, თავის მხრივ განაპირობებს მაღალი ადგილების დამსახურება ისეთ მნიშვნელოვან რეიტინგებში, როგორიცაა: Doing Business (მსოფლიო ბანკი, 2010, 2011, 2012, 2013), Competitiveness Index [4, გვ. 137-150], [8] და სხვა; აგრეთვე, გაუმჯობესებული მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლები, როგორც აბსოლუტური, ასევე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებითაც (საქსტატი, 2014); ძლიერი და სამართლიანი საკანონმდებლო ბაზა; კრიმინალისგან თავისუფალი გარემო; სანდო მთავრობა და სხვა (IMF, 2013);

ბ) მხედარი - გამართული მარკეტინგული და PR ნაბიჯების განხორციელება, არ აქვს მნიშვნელობა რა შედეგებს მიაღწია ამა თუ იმ მთავრობამ სწორი მარკეტინგული და PR სფეროებით. შესაძლოა, მინიმალური შედეგის მაქსიმალურად წარმოჩენამ და, პირიქით, არასწორმა მარკეტინგმა და PR-მა უდიდესი მიღწევებიც შეუძინველად დატოვოს. ეს ორი უკიდურესობა ნათლად გამოჩნდა საქართველოში ბოლო ათწლეულების განმავლობაში;

გ) საბოლოო სტაბილურობის მიღწევის სადარაჯოზე არიან განთავსებულნი. უდავოა, რომ პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ

ნებისმიერი შედეგის, როგორც წარმატების, ასევე წარუმატებლობის შემთხვევაში, თუმცა, მათი შესაძლებლობები და მოქმედების არეალი ძალიან შეზღუდულია დროსა და სივრცეში. უფრო მეტიც, ზოგად პოლიტიკას, როგორც წესი, წინასწარ განსაზღვრული გეგმა განაპირობებს, ხოლო მოცემული პირები კი პოლიტიკის სისრულეში მოყვანის ჴანჭიკებია,

ჩამოყალიბებული სიტუაციის მიუხედავად, ჴადრაკში სტატუს-კვოს ცნება არ არსებობს და მოწინააღმდეგის სფერების უვნებელსაყოფად საჭიროა ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა. კერძოდ, მოწინააღმდეგე საფუძვლიანად ემზადება ჩვენი ძლიერი ველისთვის მძიმე დარტყმის მისაყენებლად და შემდეგი ფიგურებით გვიპირისპირდება:

ა) ლაზიერი - მსოფლიო ფინანსური კრიზისი (2008 წელს მთელს მსოფლიოში გამანადგურებელი ძალის მქონე ფინანსურმა კრიზისმა საქართველოში, ფაქტობრივად, შეუმჩნევლად ჩაიარა. რისი „დამსახურება“ იყო ეს? როგორც ირკვევა, ის არა საქართველოს ეკონომიკის მდგრადობით და მთავრობის სწორი პოლიტიკით, არამედ - რუსეთ-საქართველოს ომით იყო განპირობებული, რომლის დამანგრეველი შედეგების აღმოსაფხვრელად, საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველოს მთავრობის მიერ მოთხოვნილი §3.5 მილიარდის ოდენობის დახმარების ნაცვლად, §4.5 მილიარდიანი პაკეტით გულუხვად „დაასახუქრა“ (სავარაუდოდ, ომში დაუხმარებლობის „დანაშაულის“ გამოსასყიდად).

ბ) ეტლი - გეოპოლიტიკური არასტაბილურობა (ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველო გეოპოლიტიკურად არასტაბილურ გარემოში მდებარეობს, რასაც ქვეყნის შიგნით არსებული ორი მოუგვარებელი კონფლიქტი ერთვის. აღნიშნულს ემატება რუსეთთან არასტაბილური და არამეგობრული ურთიერთობები, რაც მთლიანობაში, ძალზე რთულად გასარღვევ ალყას წარმოადგენს. მოწინააღმდეგეს ძალიან მარტივად შეუძლია ამ რეალობით სარგებლობა და

საქართველოს უკან დახევა, ამიტომ საქართველოს მთავრობის მიერ გეოპოლიტიკურ ჭრილში გადადგმული ყოველი ნაბიჯი უდიდეს სიბრძნეს მოითხოვს);


გ) პაიკი - დაზარალებული ინვესტორი (მწარე რეალობაა ის ფაქტი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს, ქართველი ბიზნესმენები ცდილობდნენ უცხოელი პარტნიორების სახელებსა თუ ბიზნესებს ამოფარებოდნენ, თუმცა, რიგ შემთხვევაში, მთავრობას არც საერთაშორისო სკანდალები ადარდებდა და მარტივად დგამდა ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯებს. შესაძლოა, რომელიმე ინვესტორის „დაჩაგვრა“ მთავრობას მარტივად გამოსდიოდა, მაგრამ, მთლიანობაში, ლიბერალური და პროგრესული რეპუტაციის შელახვა დღითიდღე ძლიერდებოდა. მნიშვნელოვანია ეს ფაქტი მომდევნო მთავრობებმა თავიდანვე გაითვალისწინონ.

ამავდროულად, მხედარი (რეპუტაციის რისკი) მზადაა, მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, „გადაახტეს“ როგორც თავის, ასევე მოწინააღმდეგის ფიგურებს და ამით საბოლოოდ გაანადგუროს საქართველოს მიერ ჩამოყალიბებული ძლიერი ველი.

ყველაფერთან ერთად, საქართველომ დროებით მოიჭრა უკან დასახევი გზა და თავისი დარჩენილი პაიკების (პაიკების ნაწილი ძლიერი ველის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს), კერძოდ, ადმინისტრაციული აპარატის გამოყენების შესაძლებლობა. წინა მთავრობამ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) აღნიშნული განახორციელა დისკრედიტებული მმართველობის, ხოლო ახალმა მთავრობამ („ქართული ოცნება“) - გამოუცდელი კადრებისა და სუსტი პოლიტიკის შედეგად. საქართველოს ძლიერი ველი უფრო და უფრო მძიმდება, როგორც ძლიერი ფიგურების სიმჭიდროვით, ასევე მათი სიმრავლით.

პუი საქართველოში და საქართველოდან  
საზღვარგარეთ (\$ მლნ)

დიაგრამა 1



წყარო: სტატიაში მოყვანილი ყველა დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, სეზონის მონაცემებზე დაყრდნობით.

აღნიშნული მდგომარეობა საქართველოს პირობებში იმეორებს: 2008, 2009 (რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო), აგრეთვე 2012 წლის (არჩევნების წელი, როდესაც ქვეყნის მმართველობა რთული არჩევნების შემდგომ ოპოზიციამ ჩაიბარა) კრიზისულ მომენტებს (იხ. დიაგრამა №1) და ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინების მნიშვნელოვან კლებას.


მეორე მხრივ, დიაგრამიდან აგრეთვე ჩანს, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციებიც ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა. განსაკუთრებულად კი ქართველი ინვესტორები საზღვარგარეთ 2012 წელს აქტიურობდნენ, სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოში არასტაბილურ ვითარება იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში დაშვებულმა შეცდომებმა (საარჩევნო პერიოდში ჩამოყალიბებული გაურკვევლობის სახით) „დააფრთხო“ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვეს-

ტორებიც და ორივე აიძულა დროებით თავი შეკავებინათ/ შეემცირებინათ თავიანთი ინვესტიციები საქართველოში, ან/ და განეხორციელებინათ ინვესტიციები საზღვარგარეთ. შედეგად, საქართველო კვლავ რჩება პუი-ს ნეტო იმპორტიორი, რაც განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებისთვისაა დამახასიათებელი.

ამასობაში, პარტიის დებიუტი უკვე განვლილია და „მიტელშილის“ ფაზაც სახეზე გვაქვს. საქართველო მიხვდა თავისი სუსტი ველის გაძლიერების საჭიროებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე პარტიის წაგებით ან/და რეალურ ცხოვრებაში - საინვესტიციო ნაკადების მინიმუზაციით შეიძლება დასრულდეს. რთული ვითარების გამოსასწორებლად და მოწინააღმდეგის ძალების დასაბალანსებლად, თამაშში შემოდის მხედარი, რომელიც გარკვეული აჟიოტაჟის შემდგომ მოწინააღმდეგეს ცივი შხაპის ეფექტს სთავაზობს და ქართულ საინვესტიციო ბაზარს გარკვეულ სიძლიერეს მატებს (ამავდროულად კვლავ აძლიერებს საქართველოს ისედაც ძლიერ ველს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ როგორც ჭადრაკში, ასევე რეალურ ცხოვრებაშიც, ერთმა უგუნურმა სვლამ შესაძლოა ტოტალურ კრახამდე მიგვიყვანოს.

ინვესტიციები და შემოსავლების გადინება

დიაგრამა 2




კატასტროფული შედეგების თავიდან ასაცილებლად, ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს შემოდინებული პუიებისა და ამ ინვესტიციებზე მიღებული შემოსავლების გადინების ტრენდი (იხ დიაგრამა №2) საქართველოში. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (2009-2013 წ.წ.) პუი-ზე დარიცხული წმინდა მოგება სულ უფრო უახლოვდება დროის იმავე პერიოდში საქართველოში შემოდინებული პუი-ს მაჩვენებლებს.

2011-2013 წლებში ზემოაღნიშნულმა წმინდა მოგებამ შესაბამის წელს შემოდინებული პუი-ს დაახლოებით 80% შეადგინა, რაც, ერთი შეხედვით, სასვებით ღოგიკურია და ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ უცხოელი ინვესტორი არა საქართველოს, არამედ თავისი თავის გამდიდრებასა და კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. ამიტომ, იმ ვითარების თავიდან აცილებაა საჭირო, როდესაც საქართველო უცხოელი ინვესტორებისათვის მხოლოდ ფულის კეთების ადგილად იქცევა (1997-2013 წლებში საქართველოდან ინვესტიციებზე დარიცხული შემოსავლების სახით გატანილია \$4.3 მლრდ (იხ. დიაგრამა 3), მაშინ როდესაც მთლიანმა ინვესტიციებმა იმავე პერიოდში მხოლოდ \$11.5 მლრდ შეადგინა)).

პუი, შემოსავლების გადინება და რეინვესტირებული კაპიტალი

დიაგრამა 3






საჭიროა ინვესტორების უფრო მეტად დაინტერესება, თუნდაც უკვე მიღებული შემოსავლების რეინვესტირებაში დაბანდების კუთხით, რადგანაც რეინვესტირების დღევანდელი მანვენებელი (ჯამური - 34%) საქართველოსთვის საკმაოდ დაბალია და მას ნამდვილად აქვს პოტენციალი და საჭიროება უფრო მეტი სახსრების მოზიდვისა.

დასახული მიზნის (მაქსიმალური ინვესტიციური ნაკადების მოზიდვა) მისაღწევად საქართველოს მთავრობა განხორციელებულ სფეროებში აქტიურად უნდა ეცადოს თავისი სუსტი ველის მნიშვნელობის ჯერ განეიტრალებას, შემდგომ კი მისთვის ძლიერ ველად გადაქცევას. ამისთვის ის მის ხელთ დარჩენილი კიდევ ერთი „მძიმე ფიგურის“ - ოფიცრის გამოყენებასაც არ უნდა მოერიდოს, კერძოდ:

ა) ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად ინვესტიციების მაქსიმალურ სტიმულირებას და, პარალელურად, ახალი ბაზრებისა და შესაძლებლობების მოძიებას/დივერსიფიცირებას (მაგ.: თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აშშ-თან; ახალი ინვესტიციების მოძიება და ძველი ინვესტორების მიერ მიღებული შემოსავლების საქართველოში რეინვესტირების წახალისება);

**პუი და რეინვესტირებული კაპიტალი**

დიაგრამა 4




## პოსტანბ ჴარაბა

რეინვესტირებულ კაპიტალის მნიშვნელობის დაუფასებლობა საქართველოსთვის უპატიებელი შეცდომა იქნება, რადგანაც რეინვესტირებული კაპიტალის სახით ქვეყანაში დარჩენილი სახსრები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს საინვესტიციო ნაკადების ფორმირებაში. მაგ.: 2013 წლის მონაცემებით, პუი-მ \$1 მლრდ დოლარს ოდნავ გადააჭარბა, თუმცა, ცოტა ვინმე თუ აღნიშნავს, რომ მოცემული რიცხვის დაახლოებით 40% (\$393 მლნ) (იხ. დიაგრამა 4), არა პუი, არამედ რეინვესტირებული კაპიტალია. შესაბამისად, 2013 წელს რეალურად მოზიდული პუი-ს მოცულობა სეზონის მონაცემების მხოლოდ 60%-ია. რეალურად, ახალი ინვესტიციების მოზიდვა საკმაოდ რთული პროცედურაა, ამიტომ რეინვესტირების მექანიზმი საქართველოს მთავრობის მხრიდან მაქსიმალურად უნდა იქნეს წახალისებული.

ბ) მთავრობის მხარდამჭერი ბიზნესმენების/მილიარდერების და მათი ბიზნესპარტნიორების დახმარებით მსხვილი საინვესტიციო პროექტების მოზიდვა;

პუი სექტორების მიხედვით (2007-2013 წწ)

დიაგრამა 5



\* ვაჭრობა; განათლება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება;

\*\* საფინანსო სექტორი 2009 წლიდან მოიცავს საბანკო, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებში განხორციელებულ პუი-ების მონაცემებსაც.


სასურველია, „პარტნიორი“ ბიზნესმენების მიერ განხორციელებული პუი-ების დაბანდების დროს მდგრადობის მაჩვენებელი მაქსიმალურად მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდეს და აგრეთვე, ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგებში იქნეს განთავსებული, კერძოდ: განათლებაში, ინოვაციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებში.

აქვე უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში პრიორიტეტად გამოცხადებული სოფლის მეურნეობის დარგი ძალიან დაბალი დაინტერესებით სარგებლობს უცხოელ ინვესტორებს შორის. მაშინ როდესაც ქვეყანას ნამდვილად შეუძლია სოფლის მეურნეობის ნეტო ექსპორტიორი გახდეს. მეორე მხრივ, ენერჯეტიკის სექტორი, რომელიც ასევე მთავრობის პრიორიტეტია, საკმაოდ მაღალი დაინტერესებით გამოირჩევა უცხოელ ინვესტორებს შორის და მთლიანი ინვესტიციების 1/6-ს შეადგენს, რითაც ის მხოლოდ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორს (ჯამური პუი-ს 1/5) ჩამორჩება (იხ. დიაგრამა 5).

გ) საქართველოს წარმატებებით საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების დაინტერესება და მრავალი სხვა.

პუი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (\$ მლნ)

დიაგრამა 6




საინტერესოა, რომ 2011 წლის მედგომ საერთაშორისო ორგანიზაციები სულ უფრო და უფრო ნაკლებად ინტერესდებიან საქართველოში პუი-ს განთავსებით (იხ. დიაგრამა

6). აუცილებელია, მათი უფრო აქტიურად ჩართვა ქვეყნის კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.

საჭადრაკო პარტიის დროს, საქართველოს უნდა ახსოვდეს, რომ მის ხელთ არსებული გარკვეული უპირატესობების მიუხედავად, თავისი მოწინააღმდეგის დაუფასებლობა შესაძლოა „მეფის“ (ეკონომიკური კეთილდღეობის) გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგდებით დასრულდეს. მოვლენათა ასეთი განვითარების თავიდან აცილების ხერხი კი უცხოელ პარტნიორებთან ერთად და ადგილობრივ დონეზე ყველა შესაძლო მაკროეკონომიკური ბერკეტის გამოყენებით, სწორი სტრატეგიის დროული არჩევაა.

პუი რეგიონების მიხედვით, 1997-2013 წწ.

დიაგრამა 7



წყარო: სპეციალური დაკვეთით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საუკეთესო სტრატეგიის დროული არჩევა კი, ჩვენი აზრით, მაქსიმალური ორიენტაციის ევოკავშირზე აღება იქნება, რადგანაც ისტორიულად სწორედ ამ რეგიონიდან შემოდინებული ინვესტიციები განაპირობებდა (ბოლო ათწლეულის განმავლობაში) პუი-ს მაღალ მაჩვენებლებს (1997-2013 წლების განმავლობაში მის წილად საქართველოში შემოდინებული ჯამური პუი-ს 41% მოდის) (იხ. დიაგრამა 7). ასოცირების

ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად კი, ამ მაჩვენებლის (როგორც აბსოლუტურ, ასევე წილობრივი ჭრილით) კიდევ უფრო გაზრდაა შესაძლებელი. თუმცა, ისიცაა აღსანიშნავი, რომ ერთ კონკრეტულ რეგიონზე ძლიერმა დამოკიდებულებამ დროის კონკრეტულ მომენტში შესაძლოა, როგორც დადებითი, ასევე ნეგატიური სიურპრიზი შემოგვთავაზოს, თუმცა, უკანასკნელი, ჩვენი აზრით, მოსალოდნელი არ არის (საშუალოვადიან პერსპექტივაში).

თამაში დაწყებულია, საქართველომ წარმატებით დაბლოკა მრავალი შემოტევა და მიუხედავად იმისა, რომ ენდშვილამდე (საბოლოო გამარჯვებამდე) ჯერ კიდევ შორია, ნიშანი იმისა, რომ საქართველო გამარჯვებს, დამაიმედებელია.

### **Pressure on foreign direct investment's "strong field"**

**Charaia V.**

The article is largely based on "Great Chessboard" idea of famous Polish American political scientist and geostrategist - Zbigniew Brzezinski. However, in contrast to his work on geopolitical games, this paper mainly focuses on the foreign direct investment issues, and concentrates on Georgian case.

It is obvious that small countries/economies like Georgia are strongly motivated and depended on FDI inflow; nevertheless there are a lot of obstacles which are preventing such countries to create an attractive business environment on one hand and opportunities for booming the economy on the other. Based on this simple structure each of the positive and each of the negative factors influencing the amount of FDI inflow are characterized by the figures on the chessboard.

Obstacles/opportunities and chess figures are coupled according to the power and influence they have. This simple, but reasonable model gives a possibility to show where the "Strong and Weak Fields" for FDI attraction are. Beside the observational overview, article gives the real

numbers on Georgian economy, which makes it easier to see a bigger picture of FDI market.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს ეროვნული ბანკი [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
3. სისარულიძე დ., უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (ინგლისურ ენაზე) // ეკონომიკა და ბიზნესი, 6, 2012 წელი, გვ. 61-78;
4. ჭარაია ვ., საქართველოს ეკონომიკური კონკურენ-ტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები// ეკონომიკა და ბიზნესი, 1, 2014 წელი, გვ. 137-150;
5. Brzezinski Z., The Grand Chessboard: American Primacy And Its Geostrategic Imperatives, Basic Books; 1St Edition (September 18, 1998);
6. Charaia V., Local Investment Climate and the Role of (Sustainable) FDI: The Case of Georgia, International Journal of Social, Human Science and Engineering, World Academy of Science, Vol:8 No:2, 2014;
7. IMF, “Georgia: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism”, 2013 year;
8. OECD Publishing, “Fighting Corruption in Eastern Europe and Central Asia Anti-corruption Reforms in Eastern Europe and Central Asia Progress and Challenges, 2009-2013: Progress and Challenges, 2009-2013”, 2013 year;
9. Office of the State Minister of Georgia on European & Euro-Atlantic Integration, Georgia-EU cooperation, <http://www.eu-nato.gov.ge/en/eu/cooperation>
10. Papava V., Georgia Between Elections: A Monthly Diary 2010-2012, Nova Science Pub Inc, 2014 year.

## Анализ состояния экономики Республики Армения

**Оганесян Артак**  
**Докторант Тбилисского**  
**Государственного Университета**  
**имены Джавахишвили**


Армения, как и большинство стран постсоветского пространства, выбрала путь постепенных реформ. Первоначальная либерализация цен (1992 – 1993гг) в условиях проинфляционной денежной политики, проводимой с целью недопущения падения ВВП, создала условия для быстрого роста цен. Относительная стабилизация (1995-1996г) и ужесточение денежной политики показали всю слабость нереформируемого реального сектора. В качестве приоритетной цели развития с осени 1996 года выбирается рост ВВП, стимулируемый активной кредитной эмиссией в выбранные «точки роста» - АПК и жилищное строительство.

За прошедшие годы достигнуто значительное продвижение в построении бюджетной системы, отвечающей современным требованиям. Фактически, она прошла трансформацию от административно-командных механизмов перераспределения всех общественных ресурсов до сочетания построенной на рыночных принципах налоговой системы и бюджетных расходов, обеспечивающих главным образом функционирование государственной системы социальной защиты, бюджетных организаций и государственного сектора экономики. Прямые субсидии негосударственному сектору играют незначительную роль. Развивается система государственных закупок на конкурсной

основе. Введена общепринятая классификация доходов и расходов бюджета (включая экономическую), а также источников внутреннего и внешнего финансирования бюджетного дефицита и видов государственного долга.

По итогам 2012 года экономика Армении продемонстрировала умеренный рост: ВВП страны увеличился на 6.1%, то есть в значительно большей степени по сравнению с 2011-м, когда этот показатель составлял лишь 4.6%. Сельское хозяйство восстановилось после засухи, однако объем производства в этом секторе не превзошел наблюдавшийся в 2009 году. В строительстве, составляющем очень значительную часть ВВП, 17% в 2012-м, продолжается спад. Быстрый рост наблюдается в промышленности, увеличившей производство по итогам года на 15.1%.

Граф. 1. Рост ВВП Армении за 2011-2012гг(%)




Инфляция резко снизилась после всплеска в конце 2010 - начале 2011-го, вызванного ростом цен на энергию и продовольствие в этот период. Благодаря падению цен на сырьевые товары во II половине 2012-го, а также ужесточению политики Центральным



банком Армении -ЦБА годовой рост индекса потребительских цен в стране замедлился с 11.5% в 2011-м до 4.7% в середине года. В сентябре 2012-го ЦБА счел, что инфляционное давление ослабло достаточно, чтобы сделать возможным проведение более мягкой кредитно- денежной политики, и снизил ставку рефинансирования с 8.5% до 8%. Рост цен в стране оставался низким в начале 2013 года, а также в июне и июле 2013-го. Ускорение инфляции, имевшее место в декабре и январе, вписывалось в рамки обычной сезонности. В феврале 2013 года был зафиксирован отрицательный месячный рост цен.

Значительный прогресс был достигнут в области укрепления государственных финансов - дефицит государственного бюджета снизился до 2.9% ВВП. Для сравнения, этот показатель составлял 4.9 и 3.5% в 2010-м и 2011 годах, соответственно. Этот результат превосходит прогнозы, делавшиеся в начале года, и обязательства, принятые правительством в рамках сотрудничества с МВФ.

Граф. 2. Темпы снижения дефицита гос. бюджета РА с 2011-2013г. (%)



Международный валютный фонд прогнозирует в Армении экономический рост в 2014 году на уровне 4,3%, а инфляцию в 5%, отмечается на сайте МВФ. Согласно прогнозу, рост экономики Армении в 2015 году составит 4,5%, а в 2016 году - 4,7%. При этом инфляция в республике в 2015-2016 гг. прогнозируется в размере 4%. В госбюджете Армении на 2014 год рост ВВП заложен на уровне в 5,2%, а инфляция - 4% ( $\pm 1,5\%$ ).

Исполнительный совет Международного валютного фонда утвердил накануне соглашение с Арменией о финансировании на сумму 82.21 млн. SDR (\$127,6 млн. или 89,4% квоты Армении) в рамках 38-месячной программы «Расширенное финансирование» (EFF) на реализацию экономических программ, сообщает официальный сайт МВФ, об этом информирует Арка.ам Программа «Расширенное финансирование» нацелена на содействие правительству и Центральному банку Армении «Уже говорилось об эффективности программ «Расширенное финансирование» (EFF) и «Расширенное кредитование» (EFC) в 2010-2013 г.г в Армении, однако экономический рост и инфляция остаются пока нестабильными, дефицит текущего счёта платёжного баланса - большим, а уровень бедности и безработица - высокой», - сказала заместитель директора-распорядителя и исполняющий обязанности председателя правления МВФ Немат Шафик. Она отметила, что новая 38-месячная программа направлена на решение данных проблем и обеспечение доступа Армении к международным финансовым рынкам. По её словам фискальная политика будет играть центральную роль в программе, поддерживая рост экономики в 2014 году.

Одновременно внешний баланс экономики, резко ухудшившийся в 2008-2009 годах, консолидируется медленно. По итогам 2012 года дефицит по счёту текущих операций составил 11%, довольно умеренным образом уменьшившись по сравнению с 16% и 14.5% в 2010-м и 2011-м. Наличие значительного дефицита

внешнего баланса является главным фактором риска для экономики Армении - страна может столкнуться с трудностями в случае перебоев во внешнем финансировании.

Граф. 3. Темпы снижения дефицита по счетам текущих операций в РА 2011-2013г(%)




Возможности республики противостоять этим трудностям значительно снизились со времени кризиса 2008-2009 годов в связи с резким увеличением внешнего долга. В частности, государственный внешний долг составлял 39.2% ВВП по итогам 2012-го по сравнению с 17.8% ВВП в 2011 году.

Банковский сектор экономики Армении в заключительные месяцы прошлого года продолжил быстро наращивать кредитование экономики: быстрый рост кредитования оказывает влияние на показатели устойчивости банковской системы, такие как отношение регулятивного капитала к активам. Эти показатели постепенно снижаются, начиная с конца 2012 года. Лишь один из них, отношение ликвидных активов к краткосрочным обязательствам, все еще заметно превышает уровни, наблюдавшиеся перед кризисом 2008-

2009 годов.

Граф. 4. Темпы роста внешнего гос. долга РА в ВВП 2011-2012г.



Несмотря на ускорение темпов роста экономики Армении по сравнению с 2012-м, они остаются значительно ниже, чем в течение благополучной части 2000-х, в среднем 12% за 2000-2007 годы. Обращает на себя внимание крайне неоднородный характер экономической динамики в разрезе секторов экономики: в значительной степени рост сконцентрирован в промышленности, прежде всего горнодобывающей и металлургической. Такая концентрация, во-первых, определяет общие невысокие темпы роста экономики - значительные ее сектора практически не вернулись к росту после кризиса 2008-2009 годов. Во-вторых, она делает рост экономики Армении неустойчивым - он может резко замедлиться в случае снижения цен на металлы.

В случае отсутствия дестабилизирующих шоков внешнего или внутреннего характера в течение 2014-2015 годов экономика

---

Армении вернется к более равномерному и быстрому росту, который может составить, по крайней мере, 6-7% в год. Рост такими темпами в течение достаточно длительного периода позволит облегчить ключевые структурные проблемы экономики страны, такие как отсутствие внешней сбалансированности и хронически высокая безработица.

Поддержание макроэкономической стабильности будет требовать относительно консервативной фискальной и кредитно-денежной политики. В частности, фискальная политика может быть использована для решения задачи уменьшения дефицита внешнего баланса и минимизации, связанных с его наличием рисков. Исходя из итогов исполнения бюджета за 2012 год, более значительное по сравнению с ожиданиями сокращение дефицита, у властей есть возможность добиться даже более серьезного прогресса в области фискальной консолидации.

Естественными задачами денежной политики в стране в настоящий момент являются, прежде всего, закрепление достигнутого замедления инфляции, а также контроль над кредитной экспансией, текущие темпы которой уже слишком высоки, чтобы ее дополнительное ускорение, которое может произойти в результате преждевременного ослабления политики Центрального банка Армении, не несло в себе рисков для экономики. Помимо ухудшения показателей устойчивости банковской системы на фоне быстрой кредитной экспансии, о котором мы сказали выше, вызывает беспокойство опережающий рост кредитования в иностранных валютах. Согласно данным ЦБА, к концу 2012 года их доля в общем объеме кредитования увеличилась до 61.7% по сравнению с 37.4% в июне 2008-го.

Помимо макроэкономической стабильности, восстановление устойчиво высоких темпов роста требует увеличения конкурентоспособности экономики Армении путем структурных реформ. В этой связи крайне важными являются планируемые

правительством меры по улучшению условий ведения бизнеса - «50 мер», касающихся налогового и таможенного администрирования, порядка регистрации бизнеса и арбитража, а также рассматриваемая властями программа по резкому упрощению регулирования экономической активности.

Текущее состояние экономики Армении, в рамках которого практически единственным растущим сектором является промышленность, по всей вероятности, является преходящим явлением. То, в какую сторону будет развиваться ситуация в экономике Армении на протяжении оставшейся части года, в значительной степени зависит от внешнего фона. В случае сохранения относительно высоких цен на экспортируемые Арменией товары и притока значительных поступлений от граждан, живущих вне страны, или представителей диаспоры процессы роста возобновятся в секторах экономики Армении, испытывающих стагнацию или спад. Результатом этого станет ускорение общего экономического роста в стране до темпов, более близких к наблюдавшимся до кризиса 2008-2009 годов, 12% в год в среднем за 2000-2007-й, чем имеющие место в настоящий момент. В то же время несбалансированный характер роста экономики делает ее уязвимой по отношению к воздействию негативных внешних шоков.

Перспективы фискальной ситуации в Армении выглядят относительно благоприятными. Если страна не столкнется с негативным воздействием шоков внешнего или внутреннего происхождения в течение оставшейся части года, по его итогам она сможет добиться более значительной фискальной консолидации по сравнению с планами, зафиксированными в действующей программе сотрудничества между Арменией и МВФ, согласно которым дефицит центрального правительства за текущий год должен составить 3.1% ВВП.

Согласно текущему официальному прогнозу Центрального

банка, монетарные власти страны ожидают ускорения инфляции в течение оставшейся части года и возвращения ее в допустимые ЦБА пределы 2.5-5.5% годовых. Такое развитие событий является возможным, однако в настоящий момент нарастает вероятность реализации другого сценария, когда в результате одновременного воздействия сезонных факторов, связанных с производством в сельском хозяйстве, и состоявшегося снижения международных цен на сырье, в частности энергоносители, страна перейдет к дефляции, которая может негативно сказаться на экономическом росте в Армении.

В этих условиях сохранение ЦБА процентной ставки на относительно высоком уровне, несмотря на риск дефляции, может объясняться стремлением замедлить рост кредитования, отмечавшийся нами выше. Помимо негативного влияния кредитной экспансии на показатели устойчивости банковской системы, опасность для стабильности экономического развития страны представляет опережающий рост кредитования в иностранных валютах. Если этот процесс продолжится темпами, имевшими место в 2012-м и в первые месяцы текущего года, ЦБА может столкнуться с ситуацией, когда колебания курса национальной валюты станут представлять возрастающий риск для экономики. В этих условиях резко уменьшатся возможности Центрального банка по проведению гибкой валютной политики и в целом по проведению независимой денежной политики в стране. Последнее, в свою очередь, ограничит возможности ЦБА по контролю над ростом кредитования. Существование вероятности такого развития событий требует выработки продуманных мер со стороны властей с целью его предотвращения на сравнительно ранней стадии.

По итогам 2013 года зафиксировались положительные тенденции в экономике страны. Существенный рост был зафиксирован в сферах сельского хозяйства в размере 9,5%. Вырос также на 10,8% объем услуг, не включая торговлю товарами.

В 2012 году был зафиксирован самый большой за всю историю Армении приток некоммерческих трансфертов в Армению в размере 1,68 млрд. долларов США. Платежеспособный спрос в Армении поддерживается в основном за счет иностранных поступлений на имя физических лиц. Необходимо отметить, что в среднем 1,5 млрд. долларов США поступают в Армению из России.


Два года подряд Правительство Армении осуществляет реформы в налогово-бюджетном секторе. Реформы 2013 года были направлены как на стимулирование малого и среднего бизнеса, так на развитие финансовой системы. Так, Национальное Собрание Армении в декабре 2012 года одобрило в третьем и окончательном чтении закон «О налоге с оборота» и пакет соответствующих поправок. Согласно новому закону, упрощается предоставление отчетности хозяйствующими субъектами с годовым оборотом до 58,35 млн. драмов, ранее выплачивающими налог на прибыль или подоходный налог. Налог с оборота будет взиматься ежегодно с 1 января 2013 года в размере 3,5% от годового дохода для сферы торговли, 20,0% – для нотариальной деятельности, 10,0% – по линии аренды, роялти, отчуждения имущества и активов, 5,0% – для остальных видов деятельности.

Внедря налог с оборота, малый и средний бизнес освобождается от налога на добавочную стоимость и налога на прибыль. В результате устраняется 13 отчетов, формируется более понятная и прозрачная система. Пакет поправок, помимо мероприятий, направленных на улучшение бизнес-среды, включает также ряд ограничений. Будут ужесточены штрафы за доставку товаров без документации. Вводится требование об обязательном наличии маркировки на упаковках пива, фруктовых соков, минеральной и газированной воды, а начиная с 2015 года этот список значительно увеличится (будут включены мясные продукты, масла, молочные продукты и т.д.). Также увеличен список



товаров, подлежащих акцизному налогообложению, в частности, в него включены смазочные масла.

Граф. 5. Ставки на налог с оборота в РА (%).



1. Ставки на налог с оборота торговой и производственной деятельности (%).
2. Ставки на налог с оборота нотариальной деятельности (%).
3. Ставки на налог с оборота линии аренды, роялти, отчуждения имущества и активов (%).
4. Ставки на налог с оборота остальных видов деятельности (%).

С 1 января 2013 года в Армении вступил в силу единый подоходный налог, выплачивать который работодатели будут исключительно в электронном виде. Прогрессивная шкала нового налога призвана заменить ренее действующий подоходный налог и соцвыплаты. Для тех, кто получает зарплаты в размере до 120 тыс. драмов в месяц, единая ставка составит 24,4%, а в случае превышения зарплаты свыше 120 тыс. драмов – 26,0%, а свыше 2 млн драмов-36% . Единый налог не может привести к сокращению реальных зарплат, в противном случае это приведет к

росту налоговых отчислений для работодателей. Дополнительное бремя на работодателя с этого года составит около 1 тыс. драмов. Но эти затраты стоят реформ, которые позволят существенно облегчить процедуру подсчета и выплаты подоходного налога. С развитием в республике рынка ипотеки и кредитования, граждане стали называть размеры своих реальных доходов. Эти изменения проводятся в рамках пенсионных реформ и предполагают создание единой информационной системы по реальным доходам наемных работников.

В 2013 году Правительство Армении одобрило законопроект о повышении минимальной месячной зарплаты до 45 тыс. драмов. Закон вступил в силу с 1 января 2014 года.

В докладе Fitch Ratings «Sovereign Review and Outlook» отмечается, что Армения продолжает оставаться уязвимой к внешним потрясениям, учитывая большой дефицит счета текущих операций в размере 11,0% от ВВП. Одновременно «Fitch Ratings» прогнозирует замедление роста мирового ВВП с 2,7% в 2011 году до 2,2% в 2012 году. Однако уже к 2014 и 2015 годам экономика начнет расти и достигнет 2,8% в 2014 году и 3,1% в 2015 году.

В докладе также отмечается, что падение цен на нефть создаст риски для экспортеров сырья из СНГ и других стран, в частности для стран Балтии и Армении, которые сильно зависят от экспорта и денежных переводов из России.

В результате экономического кризиса благосостояние населения потерпело резкий спад, о чем свидетельствуют показатель ВВП на душу населения, который в 2010 году составил 2885 долларов США, что на 7,4% больше соответствующего показателя 2009 года. ВВП за 2012 составил 9,9 млрд. долл. США, а ВВП на душу населения – 3230 долларов США.

Граф. 7. ВВП на душу населения Армении, Грузии и Молдавии в долларах



По данным Национальной статслужбы Армении, в 2013 году объем производства промышленной продукции составил 1120 млрд. драмов, увеличившись на 8,8%.

В 2012 году впервые за посткризисный период был зафиксирован рост в строительном секторе в размере 0,2%. Объем строительства в 2012 году составил 470 млрд. драмов.

Среднемесячная номинальная заработная плата в Армении по предварительным оценкам в январе-декабре 2013 года составила 124500,0 драмов, увеличившись на 9,6% по сравнению с 2012 годом.


Индекс потребительских цен в январе-декабре 2013 года к соответствующему периоду 2012 года составил 2,8%. Данный показатель находится в пределах целевого интервала инфляции, который на 2013 был обозначен в 4 + -1,5%.

**Прогнозы:**

Центральный Банк Республики Армения прогнозирует экономический рост в Армении на 5,0-6,0% в 2014 году. Об этом

отмечено в программе денежно-кредитной политики Центробанка Республики Армения на 4-ый квартал 2013 года.

Граф. 8. Внешнеторговый оборот Республики Армения  
(млн. долларов США)



Увеличение внешнеторгового оборота по странам СНГ составил 13,1%, с ЕС снизился в среднем на 5,1%, по другим странам рост – 4,9%.

Согласно источнику, данный прогноз базируется на увеличении производственных возможностей предприятий, повышении инвестиционной привлекательности на фоне оптимистичных ожиданий от внутреннего экономического роста, а также продолжительном восстановлении внешнего спроса. Согласно данным Центробанка Республики Армения, в промышленном секторе в 2014 году ожидается рост на 8,0-10,0% за счет отраслей с мощным экспортным потенциалом (горнорудная промышленность, металлургия, производство продовольственных продуктов и напитков, фармацевтический сектор, гранитная отрасль, энергетика). При этом прогнозы пересмотрены в сторону некоторого ускорения темпов роста в связи с ожиданием повышения темпов роста мировой экономики и экономики страны. Рост в сфере услуг, согласно прогнозам Центробанка Республики Армения,

Основные макроэкономические показатели Республики  
Армения в 2013 году

Показатели	Единица измерения	2013	Темп роста 2013/2012, %
Объем промышленной продукции	млн. долларов США	2801,2	108,8
Объем продукции сельского хозяйства	млн. долларов США	2101,0	109,5
Объем строительства	млн. долларов США	1174,2	100,2
Объем торговли	млн. долларов США	5485,1	103,6
Объем услуг	млн. долларов США	2431,5	110,8
Индекс потребительских цен	%	X	102,6
Производство электроэнергии	млн. кВт. час	8036,2	108,1
Внешнеторговый оборот	млн. долларов США	5694,9	103,9
экспорт	млн. долларов США	1428,1	107,0
импорт	млн. долларов США	4266,8	102,9
Среднемесячная номинальная заработная плата	долларов США	303,0	105,1

в 2014 году составит 4,5-6,5%. Этот рост будет обеспечен за счет услуг в сфере транспорта и связи, финансового посредничества, а также туристических услуг. В аграрном секторе ожидается рост на 2,0-4,0%. Данный прогноз обоснован тем, что объем получаемого в стране урожая в большей степени зависит от природно-климатических условий. При этом сроки, когда следует ожидать ощутимого результата от произведенных ранее вложений в сельское хозяйство, продлены. Отметим, что ЦБ к концу 2013 года прогнозировал экономический рост на 5,6-6,7%.

Объем внешнеторгового оборота Армении в январе-декабре 2013 года в текущих ценах составил 5694,9 млн. долларов США, в том числе экспорт товаров 1428,1 млн. долларов США и импорт – 4266,8 млн. долларов США. Торговый баланс отрицателен – 2838,7 млн. долларов США, а без учета гуманитарной помощи – 2779,9

млн. долларов США. Согласно стат. данным, баланс торговли товарами в январе-декабре 2013 года при учете импорта и экспорта составил 2181,6 млн. долларов США (см. табл).

### **Description of the economic situation of the Republic of Armenia**

**A.Hovhannisyan**

The article reveals the overall economic situation of Armenia, identifying growth and revealing reasons for the decline in GDP and other economic indicators. The article provides a thorough analysis of the current situation of the economy and external influences on it, as well, projections further opportunities to develop the country and to identify ways the economy to a higher level.

### **Использованная литература**

1. [www.minfin.am](http://www.minfin.am)
2. [www.armstat.am](http://www.armstat.am)
3. [www.e-gov.am](http://www.e-gov.am)
4. [www.doingbusiness.org](http://www.doingbusiness.org)
5. Баданян Л.А. Финансы, Оборот и Кредит, Ереван, 2007г.
6. Джанджухазян А.С. Процесс исполнения бюджетов в РА, Ереван 2007г.;
7. Пивазян Г.В. Схема проекта Гос. Бюджета РА, методы формирования, обсуждение и утверждение, элементы процесса, Ереван, 2010 г.;
8. Афанасьев М.П. Основы бюджетной системы: учебное пособие. Издательский дом Государственного университета Высшей школы экономики, 2009 г.;
9. Макконнелл К.Р., Брю С.Л. Экономикс: принципы, проблемы и политика: Пер. с 14-ого англ. Изд. М.: ИНФРА – М., 2006. 972 с.;
10. Корбут Н.П. Бюджетно-налоговая политика предстоящего года: поиск оптимальных решений / Н.П. Корбут. // Финансы. Учет. Аудит. – 2006. - №6.;
11. Хотько А.В. Анализ бюджетно-финансовой политики государства. /А.Хотько// ЭКОНОМИКА. ФИНАНСЫ. УПРАВЛЕНИЕ.- №9.- сентябрь.- 2007.



**მანანა ხარხალი**

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

მომხმარებელთან ურთიერთობის მართვას (CRM) მარკეტინგის მენეჯმენტში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. იგი არის ბიზნეს-სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია სამომხმარებლო ღირებულების შექმნასა და მის მაქსიმიზაციაზე. ეს სტრატეგია მოუწოდებს კომპანიას ყველა რესურსი მიმართოს მომგებიანი მომხმარებლის მომსახურებასა და კმაყოფილებაზე. ამ სტრატეგიით მომხმარებელთან ურთიერთობა მათი კმაყოფილების გაზრდის მიზნით საკვანძო მნიშვნელობის ხდება. ამ სტრატეგიის მთავარი ამოცანაა მომხმარებლის საჭიროებების და მოთხოვნების განსაზღვრა და ისეთი პროდუქტის თუ მომსახურების შეთავაზება, რომელიც მას კმაყოფილებას მოუტანს. ასეთ დროს მომხმარებელი კომპანიის მიმართ უფრო ლოიალური ხდება და მზადაა მისი პროდუქცია განმეორებით შეისყიდოს და სხვებსაც გაუზიაროს თავისი გამოცდილება. ეს გაზრდის კომპანიის ბრუნვას. კომპანიებს უნდა ახსოვდეთ, რომ მომხმარებელი უმაღლესი

ავტორიტეტი, მისი აზრი, მისი სურვილი კანონია და მისი არ გათვალისწინება კომპანიას გაკოტრებას უქადის [1, გვ. 146].

მომხმარებელთა მოთხოვნების გასაგებად ყოველ ინდივიდუალურ მომხმარებელზე დეტალური ინფორმაციის და მათთან კომპანიის „შეხების წერტილების“ მართვაა საჭირო. ამ უკანასკნელში იგულისხმება ნებისმიერი შემთხვევა, როცა მომხმარებელი შეხებაში მოდის კომპანიის პროდუქციასთან (მომსახურებასთან),

მომხმარებელთა მოთხოვნების გასაგებად ყოველ ინდივიდუალურ მომხმარებელზე დეტალური ინფორმაციის და მათთან კომპანიის „შეხების წერტილების“ მართვაა საჭირო. ამ უკანასკნელში იგულისხმება ნებისმიერი შემთხვევა, როცა მომხმარებელი შეხებაში მოდის კომპანიის პროდუქციასთან (მომსახურებასთან), დაწყებული პირადი შეხებით, დამთავრებული რეკლამის მოსმენით, პრომოაქციით და სხვა. კომპანიის პროდუქციასთან მომხმარებლის „შეხების წერტილებს“ მეტად ფრთხილი მართვა სჭირდება. კომპანიის მომსახურე პერსონალმა უნდა შეძლოს გადააჭარბოს იმ მოლოდინს, რომელიც მომხმარებელს მათ მიმართ აქვს. ამის მიღწევა შეიძლება მაღალი ტაქტით, თავაზიანი მოქცევით და ა. შ.

მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტი გულისხმობს მათ შესახებ მუდმივად განახლებულ ინფორმაციას. მისი ტექნოლოგიები აფიქსირებს ინდივიდუალური მომხმარებლის მსყიდველობით ქცევებს, რაც მომხმარებელთა კმაყოფილების ამაღლების საშუალებას იძლევა.

მომხმარებლებთან ურთიერთობების მენეჯმენტი იმ ღირებულების გამოკვლევით იწყება, რომელიც სჭირდება



მომხმარებელს. ვუწოდოთ მას პირობითად სამომხმარებლო ღირებულება. ეს არის კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული პროდუქციის (მომსახურების) ღირებულება მომხმარებლის პოზიციიდან.

დღევანდელ ეპოქაში მომხმარებლები უფრო განათლებულები, ინფორმირებულები და უფრო მომთხოვნები არიან. მათ გააჩნიათ საშუალება გაარკვიონ და შეაფასონ კომპანიის შეთავაზებები და ამოირჩიონ საუკეთესო. ითვლება, რომ მომხმარებლები ღირებულების მაქსიმიზატორები არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ცდილობენ თავიანთი შეზღუდული შემოსავლის პირობებში, მიიღონ მაქსიმალური სარგებელი მათ მიერ განხორციელებული შესყიდვისგან. შედეგად მომხმარებლები ირჩევენ იმ ალტერნატივას, რომელიც ყველაზე მაღალ აღქმულ ღირებულებას ჰპირდება მათ [2, გვ. 167].

პროდუქციის (მომსახურების) სამომხმარებლო ღირებულების მაქსიმიზაცია, თავის მხრივ გულისხმობს მომხმარებლებთან ურთიერთობის კულტივიზაციას. ამ მიზნით მეცნიერები რ. ჯერსი და პეპერსი ოთხი ძირითადი პირინციპის გამოყენებას გვირჩევენ [3, გვ. 242]:

1. კომპანიამ არსებული და პოტენციური მომხმარებლებიდან უნდა შეარჩიოს ის მომხმარებლები, რომლებსაც კომპანიისთვის მაღალი მოგების მოტანა შეუძლიათ და შეაგროვოს მათ შესახებ დეტალური ინფორმაცია. ეს სამუშაო მომხმარებლების პროფილებად დაყოფად იწოდება.

2. კომპანიამ უნდა დააჯგუფოს თავისი მომხმარებლები მათი საჭიროებების, მოთხოვნილებების და კომპანიისთვის მათი ღირებულებების მიხედვით. მან უნდა შეისწავლოს მისთვის ყველაზე მომგებიანი მომხმარებლების ქცევა და

ასტიმულიროს იგი;

3.ინდივიდუალურ მომხმარებელთან კომპანიამ უნდა მოახდინოს ინტერაქცია,რათა უკეთ გაიცნოს და შეისწავლოს მათი ცალკეული საჭიროებები და დააკმაყოფილოს ისინი;

4.კომპანიამ უნდა შესთავაზოს მომხმარებელს კასტომიზირებული პროდუქცია,მომსახურება და გზავნილები, მართოს ფირმის რესურსები ისე,რომ ასიამოვნოს მისთვის ყველაზე მომგებიანი მომხმარებელი.

მაშასადამე, პროდუქციის (მომსახურების) სამომხმარებლო ღირებულების კულტივაციისთვის აუცილებელია, რომ კომპანიამ:

- შეამციროს მომხმარებელთა დაკარგვის მაჩვენებელი;
- გაზარდოს მომხმარებელთან ურთიერთობის ხანგრძლივობა;
- გაზარდოს ინდივიდუალური მომხმარებლის პოტენციული შესყიდვის მოცულობის თვალსაზრისით;
- დაბალმომგებიანი მომხმარებელი გადააქციოს მაღალმომგებიან მომხმარებლად ან გაწყვიტოს მასთან კავშირი;
- გამორჩეული ყურადღება მიაქციოს მაღალი ღირებულების მქონე მომხმარებელს.

ამ ჩამონათვალიდან ყველაზე მნიშვნელოვანია, კომპანიამ შეინარჩუნოს ყველაზე ღირებული მომხმარებელი მისთვის მეტი ყურადღების მიქცევით და მეორე – ნაკლებად ღირებული მომხმარებელი გარდაქმნას უფრო ღირებულად, ანდა გაწყვიტოს მასთან კავშირი.

ამ სამუშაოს ჩასატარებლად მან უპირველესად უნდა შეისწავლოს თავისი მომხმარებლები და დაადგინოს რომე-

ლია მათ შორის მისთვის ყველაზე ღირებული ან ნაკლებად ღირებული, ანუ მან მომხმარებლებზე უნდა შექმნას მონაცემთა ბაზები.

მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტის პროგრამები დასავლეთში პრაქტიკულად არსებობს. არსებობს მისი დანერგვის პროგრამული მხარდაჭერის სისტემებიც. მომხმარებლებთან ურთიერთობის პროგრამული უზრუნველყოფის საიტი 10 საუკეთესოდ ასახელებს შემდეგ პროგრამებს [4]:

Seles force; Oncontact; Sage ACT Prenium; Prophet; Alim-erm; Relenta; Webasyst; Maximizer CRM; Team wax; Chaos Intel-lect.

მოცემული პროგრამებიდან ყველაზე წარმატებულია Sales force პროგრამა. მას მსოფლიოში 100 000 მეტი კომპანია იყენებს. მასში ყველაფერი ერთად არის თავმოყრილი – კლიენტები და კონტაქტები, შესაძლებლობები, პროგრამები, ანალიზი, კლიენტების მენეჯმენტი; მისი მეშვეობით სწრაფად და ეფექტურად ხდება ბიზნესის მობილიზება კლიენტის გარშემო და ამ გზით კომპანიის შემოსავლის ზრდა.

ეს ის პროგრამაა, რომლის საშუალებით შესაძლებელია ყველაზე მომგებიანი მომხმარებლის შერჩევა, ყველაზე საჭირო მომხმარებლის იდენტიფიცირება. ეს ის პროგრამაა, რომელიც ეხმარება კომპანიას სწორი ღირებულების პოზიციონირებაში. და ბოლოს, ეს ის პროგრამაა, რომლის ტექნოლოგიების მეშვეობით კომპანია აგროვებს შესაბამისი პროდუქციისა და მომსახურების ქცევით, დინამიკურ მონაცემებს და შემდეგ ახდენს მასზე სადისტრიბუციო არხებისა და ფასის მორგებას. ამ პროგრამის გამოყენებით

კომპანიამ იცის რა ტექნოლოგია ესაჭიროება თავის თანამშრომლებს მომხმარებლებთან ურთიერთობის გასაძლიერებლად და როგორი მასტიმულირებელი ღონისძიებებით უნდა გაზარდოს მათი მოტივაცია. ამ პროგრამის გამოყენებით კომპანიას შეუძლია მომხმარებელთა შენარჩუნება, კერძოდ, ხდება იმის გაგება, თუ რატომ ტოვებენ მომხმარებლები ამ კომპანიის პროდუქციას, როგორ ახერხებენ კონკურენტები მათ გადაბირებას და ა. შ.

კომპანიის პროდუქციის (მომსახურების) რეალიზაცია მომხმარებლების ქცევაზე დამოკიდებული. ამიტომ ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ქცევითი მოდელების შექმნას კომპანიის საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მისი მეშვეობით ხდება მომხმარებელთა მარკეტინგულ სტიმულებზე რეაგირებისა და მათი სამომხმარებლო ღირებულების მართვა. მარკეტოლოგ ჯიმ ნოვოს, მომხმარებელთა ქცევითი მოდელები არის მომხმარებელთა მონაცემების ბაზებზე დაფუძნებული მარკეტინგული პროგრამების ბაზისი [5, გვ. 20].

საქართველოს კომპანიებს დღეს გაცნობიერებული აქვთ, რომ მომხმარებლების შესახებ მონაცემთა ბაზების ქონა (მისი მუდმივი განახლებით) უმნიშვნელოვანესია მათთვის, თუმცა არ იციან თუ რომელი ინფორმაცია სჭირდებათ და როგორ გამოიყენონ იგი. ამიტომ, ისინი ძირითადად მომხმარებელთა შესახებ დემოგრაფიული ინფორმაციის შეგროვებით იფარგლებიან. სამწუხაროდ, მომხმარებლის დემოგრაფიული მახასიათებლები სტატისტიკური მონაცემებია და მომხმარებელთა ქცევის მოდელირებისთვის დამოუკიდებლად გამოუყენებადია. რადგან ქცევის მოდელირება ქმედებაზეა ორიენტირებული, ამიტომ დე-

მოგრაფიულ მახასიათებლებთან ერთად (და უფრო მეტად) მომხმარებლის ქცევითი პროფილია გასათვალისწინებელი. მხედველობაში გვაქვს მომხმარებლის წინარე ქცევა. მომხმარებლის ფაქტობრივი, თუმცა წინარე ქცევა, მომავალი ქცევის უფრო სარწმუნო პრედიქტორია, ვიდრე დემოგრაფიული მახასიათებლები. სწორედ მასზე დაყრდნობით და მისი საშუალებით შეუძლია კომპანიას დაადგინოს მომხმარებელთა ნორმალური ქცევა და მასში მომხმარებელთა ცვლილებებზე, კერძოდ, ქცევიდან გადახრაზე რეაგირება მოახდინოს. აუცილებელია იმის დადგენაც, თუ მომხმარებლის ნორმალური ქცევიდან გადახრა სასიგნალოა, თუ მისაღები. იგი პროდუქციის (მომსახურების) სახეების მიხედვით განისაზღვრება. თუ მომხმარებელმა იახტა შეიძინა, ნათელია, რომ იგი 3-5 წლის განმავლობაში აღარ იყიდის ახალს, მაგრამ, თუ მომხმარებელი სალონში თმას იჭრის და წინა შეჭრიდან ისე გავიდა 2-3 თვე, რომ მას სალონში აღარ შემოუხედავს, ეს უკვე სიგნალია იმისა, რომ მან ან უკვე დატოვა ეს სალონი, ანდა ტოვებს მას. ასე რომ, ლატენტიურობის (პერიოდი ერთი შესყიდვიდან მეორემდე) მაჩვენებლებზე დაკვირვებით კომპანიამ უნდა განსაზღვროს, კარგავს თუ არ კარგავს მომხმარებელს.

მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტის (CRM) პროგრამები ყველაზე მეტად გამოიყენება მომსახურების (სერვისის) სფეროში. ეს, ალბათ, იმიტია განპირობებული, რომ მომსახურების გაწევა მოითხოვს მომხმარებლის (კლიენტის) დასწრებას ამ პროცესში. ამის შედეგად კლიენტებზე ინფორმაციის შეგროვება უფრო ადვილია.

ქ. თბილისში არსებობს საერთაშორისო კოსმეტიკური მედიცინის ცენტრის ფილიალი (სალონი). იგი სხვადასხვა

## **მანანა ხარხელი**

---

სახის მომსახურებას სთავაზობს მომხმარებლებს. სამედიცინო სალონი თავის მუშაობაში კარგად იყენებს CRM-ის მეთოდს. იგი სულ 3 წელია, რაც ფუნქციონირებს (2011 წლიდან). აღნიშნული ცენტრის ინფორმაციით 2011 წელს მოზიდული იქნა პაციენტების – 1%, 2012 წელს – 15%, 2013 წელს – 32% და 2014 წელს (პროგნოზი) სავარაუდოა – 50%.

სამედიცინო სალონი მომსახურების სახეების მიხედვით (პიემენტური ლაქების გაქრობა, ეპილაცია, გარუჯვა და ა. შ.) თვითონ განსაზღვრავს კლიენტის ერთი ვიზიტიდან მეორე ვიზიტამდე საშუალო პერიოდს, ე. ი. ლატენტურობას. ასე უფრო ადვილია კლიენტის ნორმალური ქცევის განსაზღვრა. თმის ეპილაციაზე ლატენტურობის პერიოდად მას დადგენილი აქვს 75 დღე. მისგან გადახრის შემთხვევაში სალონი იღებს ღონისძიებებს. გადაჭარბებულ გადახრად მიიჩნევა 80-175 დღე. თუ ლატენტურობა ამ პერიოდს გადასცდა, პაციენტის მომსახურების სასიცოცხლო ციკლი ფაქტობრივად მთავრდება – პაციენტმა ან სხვა სალონში გადაინაცვლა ან სხვადასხვა მიზეზის გამო უარი თქვა ასეთი მომსახურების მიღებაზე. სალონი აღრიცხავს კლიენტების ლატენტურობას. დაკვირვება ტარდება მუდმივად 100 პაციენტზე გამოთვლით. დაკვირვება ამორჩევითია. ამ დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ 100 კლიენტიდან ნორმალური ლატენტურობის პერიოდი დაერღვა 12 კლიენტს:

№4 კლიენტს 11 დღით (86-75=11); №5 კლიენტს 29 დღით (104-75=29); №22 კლიენტს 25 დღით (100-75=25); 34 კლიენტს 21 დღით (96-75=21); №44 კლიენტს 5 დღით (80-75=5); №53 კლიენტს 18 დღით (93-75=18); №55 კლიენტს 42 დღით (117-75=42); №56 კლიენტს 10 დღით (85-75=10); №64

კლიენტს 11 დღით (89-75=11); №65 კლიენტს 102 დღით (177-75=102); №81 კლიენტს 25 დღით (100-75=25).

ამ მონაცემებზე დაყრდნობით სალონის ადმინისტრაციამ აამოქმედა მარკეტინგული სტიმულები, კერძოდ, ფასდაკლებები. ეს შეეხო არა ყველა პაციენტს, არამედ მხოლოდ ამ 12 პაციენტს, რადგანაც ყველა დანარჩენი პაციენტი კმაყოფილი იყო და განაგრძობდა ნორმალურ ქცევას. ამ ღონისძიებით მოცემულმა სალონმა ეს 12 პაციენტიც შეინარჩუნა. სასურველია მოცემული სალონის პრაქტიკა დაინერგოს საქართველოს სხვა ფირმებში, პირველ რიგში, მომსახურების პროფილის ფირმებში.

The management of dealing with costumers and  
transformation of consumers behavior

**M. Kharkheli**

In the article “ The management of dealing with costumers and the transformation of consumers behavior”, the issue of maintaining consumers is discussed. In order to solve this issue, CRM program is introduced. In the article, it is indicated that among other CRM programs which are spread abroad, the most successful is the Sales force – program. It is the program via which it is possible to choose profitable consumers and maintain them.

Besides that, in the article, there is an example of how the Sales-force program is used in one of the medical-cosmetic salon in the management of dealing with customers.

ბამოყენებულ ლიტერატურა

1. Современный маркетинг, под. ред. В. Хруцкого, М., 2009, с. 146;
2. Kotler P., & Keller K. Marketing Management (12<sup>th</sup> ed.). New Jersey: Prentice Hall, 2006;
3. Peppers D., & Rogers M. Managing Customer Relationships: A Strategic Framework (2<sup>th</sup> ed.), John Wiley & Sons, 2004, gv. 242;
4. [www.toptenreviews.com](http://www.toptenreviews.com); [www.salesforce.com](http://www.salesforce.com)
5. Novo J. Drilling Down: Turning Customer Data into Profits with a Spreadsheet (3<sup>th</sup> ed.). USA: Jim Novo.



**იმიჯის როლი ბიზნესის  
წარმატებაში**

**ანნა თანდილაშვილი**

**ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის მაგისტრი**

კონკურენტული ურთიერთობები და ბაზარზე დამკვიდრების სტრატეგია ფირმებს ავალდებულებს მუდმივად იზრუნონ იმიჯის ამაღლებაზე, საზოგადოებაში რეპუტაციის გაუმჯობესებაზე და ამ გზით, ბაზარზე საკუთარი პოზიციონირების სრულყოფაზე. პროგრესი ბიზნესში შრომის, ცოდნის და კრეატივის შედეგია, ფირმის კომერციული წარმატების გასაღები კი ურთიერთობებია, რომლის ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური კაპიტალი იმიჯია. იმიჯირება თანამედროვეობის ყველაზე მძლავრი და გავლენიანი ინდუსტრიაა, რამდენადაც კომპანიის საბაზრო ეფექტთან ერთად, იმიჯი მომხმარებელს ეხმარება რაციონალური არჩევანის გაკეთებაში, სწორედ ამაშია იმიჯის სოციალურ-ეკონომიური არსი, მისი საზოგადოებრივი ფენომენი. ნებისმიერი ბიზნესის მიზანი ცნობილ ბრენდად ქცევაა, ძლიერი ბრენდი დიდი წარმატება და ის მუდმივი აქტივია, რომელიც ქმნის საზოგადოებრივ აღიარებას და სტაბილურ იმიჯს.

ფირმის ბრენდირებას ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ თუ ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად, დიდად განაპირობებს სუბიექტური ფაქტორებიც, ბიზნესს საქმე აქვს სოციუმთან, რომლის გადახდისუნარიანი მოთხოვნა, გემოვნება და მენტალიტეტი სხვადასხვაგვარია ქვეყნების და კულტურების მიხედვით. საერთაშორისო სისტემაში ფირმების ადაპტაცია აუცილებლად მოითხოვს ადგილობრივი ინტერესების, ცხოვრებისა და საქმიანობის წეს-ჩვეულებების, ტრადიციების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებას, განსხვავებულია

სხვადასხვა ხალხების ეთიკური ნორმები და საქმიანი ურთიერთობის ტრადიციებიც. დღეს წარმატებას ის ფირმები აღწევენ, რომლებიც თავიანთი განვითარების სტრატეგიაში აუცილებლად ეკონომიკურთან ერთად, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, თითოეული ქვეყნისათვის დამახასიათებელ სპეციფიკაციებს ითვალისწინებენ.

ეკონომიკის თანამედროვე ინტელექტუალიზაცია, მმართველობითი ინოვაციური სისტემები სამეურნეო გარემოს ახლებური ორგანიზება გადაწყვეტილებების მიღების პროცესისადმი ინდივიდუალურ მიდგომებს ამკვიდრებს. ეკონომიკური განვითარების ტემპებზე დღეს, ძირითადად გავლენას მისი გახსნილობა, საზოგადოების განათლების დონე და კომუნიკაციები ახდენს. რაც უფრო ცივილიზებულია სისტემა, მით უფრო მაღალია ამ გავლენის ხარისხი, მით უფრო მეტად ხდება ბიზნესის სტრატეგიებში ქვეყნისათვის დამახასიათებელი სამეურნეო კულტურის და ქცევის სტანდარტების გათვალისწინება. მოგებაზე ორიენტირება და ახლებური ბიზნეს-გარემოს ფორმირება ავადღებულებს კომპანიებს იზრუნონ თავიანთ პრესტიჟზე, საზოგადოებაში დადებითი იმიჯის ფორმირებაზე.

პოზიტიური იმიჯი ფირმას საშუალებას აძლევს მოიპოვოს ბაზარზე სათანადო მდგომარეობა, აამაღლოს მომხმარებლის ნდობა, გაზარდოს პროდუქციის მიმზიდველობა და მოახდინოს ბაზარზე მისი მოქმედების კოორდინაცია, უკარნახოს ფასები და ჩამოაყალიბოს საზოგადოების დადებითი აზრი. ძლიერი კორპორატიული იმიჯი ხდება ფირმისათვის ხანგრძლივი მტკიცე წარმატების აუცილებელი პირობა, რაშიც ინტეგრირდება გაყიდვების მოცულობა, ბაზრის ფარდობითი წილი, ტექნოლოგიის ინოვაციურობა, მიზნობრივი პოლიტიკის მოქნილობა, გასაღების ქსელის ხელმისაწვდომობა და სხვა პარამეტრები.

იმიჯის მნიშვნელობა სწრაფად იზრდება, რაც გამოწვეულია ფართომასშტაბიანი კომუნიკაციური ნაკადების

მოქმედებით. ადამიანებს უხდებათ დიდი რაოდენობის მასობრივი ინფორმაციის გადამუშავება, საიდანაც ისინი ირჩევენ მაღალი იმიჯის მქონე პარამეტრებს. რამდენადაც ადამიანები მაქსიმალური შინაგანი ჰარმონიულობის მიღწევას და მის მდგრადობას ცდილობენ, იმიჯს ახასიათებს შედარებითი სტაბილურობაც. კოგნიტიური დისონანსის თეორიის თანახმად (ფესტენგერი, 1957), /3. გვ.13/ -- შეხედულებები, გრძნობები და იდეები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან ინდივიდის შეხედულებებთან, გრძნობებთან და იდეებთან, იწვევენ პიროვნების ჰარმონიის დარღვევას, მის ფსიქოლოგიურ დისკომფორტს. ამის საპირისპიროდ, ადამიანი მზად არის განახორციელოს სხვადასხვა მოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს დარღვეული წონასწორობის აღდგენას. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იმიჯის სტრუქტურის თითოეული ელემენტი ინფორმაციულად სრულყოფილად იყოს შევსებული ორგანიზაციის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარკვეული სტერეოტიპების ზეგავლენით მასობრივი შეგნება თავად შეაგებს თავისუფალ ელემენტებს, რაც ხშირად შეიძლება ორგანიზაციისათვის სასიკეთო არ აღმოჩნდეს.

პოზიტიური იმიჯი ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნის მიღწევის ინსტრუმენტია, ამასთან, იგი არ არსებობს ობიექტურად, ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად და აუცილებლად მოითხოვს მიზანმიმართულ, სისტემატურ მუშაობას. კორპორაციული იმიჯის მართვის პროცესი იწყება ორგანიზაციის ვიზუალური ატრიბუტების დამუშავებამდე ბევრად ადრე (ლოგო, საფირმო ბლანკები, ინტერიერი, თანამშრომელთა გარეგნული სახე და მანერები). ის იწყება ორგანიზაციის სოციალური მნიშვნელობის სტატუსის ფორმულირებით და ორგანიზაციის კორპორაციული ინდივიდუალურობის და „სასიცოცხლო სტილის“ განსაზღვრით, რის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება იმის თაობაზე, როგორ იქნეს მიტანილი ეფექტურად ეს ინფორმაცია მიზნობრივ ჯგუფებამდე, როგორ გახდეს კომპანიის რეალური ღირებულებები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. ამ

ეტაპზე ფორმირდება კორპორაციული იდენტურობა, ეს არის კომუნიკაციური საშუალებების სისტემა, რომელიც უნდა ასახავდეს კომპანიის მისიას, სტრუქტურას და მიზნებს.

იმიჯი ხელოვნურად შექმნილი შეხედულებაა, რომელიც მასობრივ ცნობიერებაში ქმნის კეთილგანწყობას კომპანიის მიმართ. იმიჯის შექმნისას ყურადღება კომპანიის იმ მახასიათებლებზეა კონცენტრირებული, რომელთა მიმართ დადებითი დამოკიდებულება არსებობს, იმიჯის მართვა – მასობრივი ცნობიერების პირველადი ფორმირებაა. იმიჯის შექმნისა და დანერგვის ტექნოლოგია ნიშნების, სიმბოლოების ენაზე წარმართული კომუნიკაციაა ადამიანების ფსიქიკის ემოციურ სფეროზე ზემოქმედების მიზნით, ამ გზით ცნობიერებაში დანერგილი ვიზუალური, ხმოვანი თუ ტექსტობრივი ინფორმაცია ფიქსირდება ადამიანის ფასეულობათა სისტემაში და ზეგავლენას ახდენს მის სამომავლო აღქმაზე. იმიჯმა შეიძლება შეავსოს უკვე არსებული სტერეოტიპები, არქეტიპები, სიმბოლური რიგი, ან დამოუკიდებლად მოახდინოს მათი გენერირება. კომპანიის იმიჯის ფორმირება უნდა ფოკუსირდეს მის გარე იმიჯში /განლაგება, შენობის სტილი და არქიტექტურა, დიზაინი, ფინანსური საიმედოობა, კლიენტთა კონტიგენტი, საზოგადოებაში აქტიურობა/ და შიდა იმიჯის პარამეტრებში /პერსონალის მართვა, სოციალური ადაპტაცია, შიდა კომუნიკაციის სისტემა, პერსონალის მოტივაცია და იდენტიფიკაციის სისტემა განმასხვავებელი ნიშნების, სიმბოლოების და კორპორაციული კულტურის სხვა ატრიბუტების საშუალებით/. /1. გვ. 126 /.

თანამედროვე პერიოდში კომპანიები დიდ ადგილს უთმობენ კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხს. ისინი აყალიბებენ სტრუქტურებს, რომლებიც საზოგადოებრივ კავშირებზე და გარემოსთან ურთიერთობაზე არიან პასუხისმგებელნი. ამ სტრუქტურების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ კორპორაციის ყველა ქმედება უნდა ემყარებოდეს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპს. მეწარმეობის ფილოსოფია გამოდის ბიზნესის საზოგადოებრივი ეფექტის

აღიარებიდან, სადაც შრომა იღებს საზოგადოებრივი შრომის სტატუსს, მეწარმის მოგებას -- საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორის ფუნქციას. უპირატესობა ენიჭება საქმიან ეთიკას, პრინციპულად ახალ მიდგომებს საკომუნიკაციო სისტემებში და შიდასაფირმო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ორგანიზაციებში იქმნება ახალი სოციალური კლიმატი და მზადდება პირობები ბიზნესის ჰუმანიზაციისათვის, ეს არის სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა, მეცნიერების პოტენციალის სამეწარმეო სექტორში ინტეგრირება, საზოგადოებრივი განწყობის გაჯანსაღება. თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში შეიცვალა თვით სამეწარმეო. მსოფლმხედველობა და კულტურა, მეწარმის ინდივიდუალური არჩევანი საბოლოო ანგარიშით, სოციალურ მნიშვნელობას იძენს, იგი საზოგადოების სამსახურში დგება. ცივილიზებულ სამყაროში სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურობის შეფასებისათვის პროფესიული კმაყოფილების მიღებასთან ერთად, დღეს ბიზნესმენისათვის პირადი რეპუტაციის განმტკიცება და მისი საზოგადოებრივი აღიარება მიიჩნევა.

კომპანიის საქმიანობა გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ-კულტურულ გარემოში წარიმართება, ბუნებრივია, მას არ შეუძლია საზოგადოების ინტერესების უგულებელყოფა, კორპორაციების ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ პირობას საზოგადოების სტაბილურობა წარმოადგენს. სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების გამოყენება სამეწარმეო გარემოს სიცოცხლისუნარიანობას და ეფექტიანობას ამაღლებს.

თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში იცვლება თვითმეწარმის ფსიქოლოგიამას უყალიბდება განსაკუთრებული ეთიკა და მსოფლმხედველობა, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით. მისი ინდივიდუალური არჩევანი ყალიბდება საზოგადოებრივ ურთიერთკავშირებზე აპელირებით და იძენს სოციალურ მნიშვნელობას. საბოლოო ანგარიშით, იგი საზოგადოების სამსახურშია. მეწარმის მსოფლმხედველობის

ამაღლებამ, წარმოების და საორგანიზაციო პროცესების დინამიურმა განვითარებამ, მართვის სისტემის დახვეწამ თავისებური გამოხატულება ჰპოვა მეწარმეობის კულტურის ჩამოყალიბებაში.

საქმიანი ურთიერთობების კულტურა ემყარება სოციალურ ფილოსოფიასა და სოციალურ ფსიქოლოგიას, -- ეს არის ღირებულებათა სისტემიდან აღებული სოციალური განწყობის სივრცითი მოცულობითი თემატიკა, იმ უმნიშვნელოვანესი აზრის აღიარებით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში და მათ შორის მეწარმეობაშიც, უმთავრესია კონკრეტული ადამიანი, მისი პირადი თუ შემოქმედებითი ცხოვრება, შესაბამისი საქმიანი ურთიერთობები, იმის მტკიცება, რომ ადამიანის წარმატებული საქმიანობის გარანტია მარადიული ღირებულებების ერთგულება და სამსახურია.

სოციალური პასუხისმგებლობების ამოსავალი პიროვნული ფასეულობებია, მისი შეცნობა და საზოგადოების სასარგებლოდ წარმართვა. ადამიანური ურთიერთობების სისტემაში ინტეგრირება ბიზნესის წარმატების ძირითადი ფაქტორი ხდება. საერთო-საკაცობრიო ფასეულობათა საერთაშორისო ცენტრის /ხელმძღვანელი ამერიკელი ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე ნიგრედ მაკნაიერი/ დევიზია -- “ყველაზე ხელსაყრელი -- მორალური ბიზნესია”. ადამიანთა ქმედებას სამართლებრივი, სოციალური და პიროვნული ნორმები განაპირობებენ. თუკი პირველი მათგანი საკანონდებლო სისტემას ემყრება, პიროვნული ნორმები თავისუფალი არჩევანის აღიარებას მოითხოვს, სოციალური ნორმები კი ეთიკური სისტემით განისაზღვრება. ბიზნესის ეთიკა პროფესიული ეთიკის სფეროს განეკუთვნება და სამეურნეო ქცევის გარკვეულ მორალურ სტანდარტებს აერთიანებს., იგი პროფესიულ ბიზნესმენტა ეთიკური ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს და მისი ამოსავალი თეზაა თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუძემდებლის პეტერ დრუკერის იდეა -- “თუ გარკვეული მოქმედება ლეგალურია, ეს კიდევ არ 154

ნიშნავს, რომ ის ეთიკურია”. გადაწყვეტილებათა ლეგალიზება სოციალური პასუხისმგებლობის ფუნდამენტური პრინციპია. მეწარმეობის სოციალური მხარე მოითხოვს იმას, რომ კომპანია შემოსავლების მაქსიმიზაციის მცდელობისას არ უნდა არღვევდეს საქმიანობის სამათლებრივ მხარეს და, ამასთან, იგი ვალდებულია პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს მისი საქმიანობის ჰუმანიტარულ და სოციალურ ასპექტებსაც.

სამყაროში, სადაც ბრენდი და რეპუტაცია კომპანიის ყველაზე ღირებული სიმდიდრეა, სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიას მომხმარებლის ნდობას და ურთიერთგაგებას მოაპოვებინებს, რაც მისი წარმატებული მომავლის გარანტიაა. სოციალურ პრობლემეტიკაზე ორიენტირება აძლიერებს ბიზნესის მიმზიდველობას, იწვევს კომპანიის პროდუქციაზე მოხონილების ზრდას, ხელს უწყობს კლიენტების შენარჩუნებას და პერსონალის მეტ ღირებულებას, გარკვეული მასშტაბით, იგი ხელისუფლებასთან ურთიერთობასაც აუმჯობესებს, რაც, საბოლოო ჯამში, უფრო ხელშემწყობი ბიზნეს-გარემოს შექმნაში გამოვლინდება.

სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკის მართვის საკითხები მნიშვნელოვანია ყველა კომპანიისათვის. ეთიკური ორგანიზაცია აერთიანებს სამ სოციალურ სტატუსს: მაღალი მორალის ინდივიდებს, ეთიკურ ხელმძღვანელობას და შესაბამის ორგანიზაციულ სტრუქტურებს.

CPS-ის (კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა) სისტემაში ჩართვის მიზანი კომპანიებისათვის მორალური კმაყოფილების და, ამავე დროს, ფინანსური სარგებლის მიღებაა. ამ ორ მხარეს შორის კავშირის დადგენის მიზნით ლონდონის ბიზნეს-სკოლის მიერ ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევებმა უჩვენა, რომ სოციალურად ორიენტირებულ კომპანიებს სხვა კომპანიებთან შედარებით საშუალოდ 18%-ით მაღალი მოგება აქვთ (წყარო 4.-Institute of Business Ethics, 2003). კვლევებმა ასევე დაადასტურა, რომ კორპორაციები, რომლებსაც საზოგადოებრივი ვალდებულება ეთიკის კოდექსით აქვთ განმტკიცებული, სხვა ფორმებთან შედარებით



2-3-ჯერ უკეთესად მუშაობენ.

/ წყარო4. Business Review, 1999), ამასთან, დადგინდა, რომ ევროპელი მომხმარებლის 70%-ს სო მიაჩნია პროდუქტის შექმნის დროს / წყარო: CSB Europe/MORI, 2000). leishman Hillar – ის კვლევის მიხედვით გამოკითხული ექვსი მყიდველიდან ერთი თვლის, რომ გადაწყვეტილებას იღებს პროდუქტზე მისი მწარმოებლის რეკომენდაციის გათვალისწინებით. დიდ ბრიტანეთში გათვითცნობიერებული, ანუ „ეთიკური“ მყიდველის ნაგაჭრმა ერთი წლის განმავლობაში დაახლოებით 14 მლრდ ევრო შეადგინა.

საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრმა გამოიკვლია თუ როგორ აფასებენ საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლს და მის ზეგავლენას კომპანიის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებაზე. კვლევამ უჩვენა, რომ გამოკითხულ ბიზნესმენთა მოსაზრებით, სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება პოზიტიურად აისახება კომპანიის დადებითი რეკომენდაციის და იმიჯის შექმნაზე (9.3 ქულა 10 ქულიდან); ზრდის კომპანიის პროდუქტიაზე მოთხოვნას (8.9 ქულა); ხელს უწყობს კომპანიაში პერსონალის მოზიდვასა და შენარჩუნებას (8.5 ქულა); და ზრდის კომპანიის საინცესტიციო მიმზიდველობას (8.5 ქულა). ათქულიან სკალაზე თითოეული დებულების მნიშვნელობა საშუალოზე ბევრად მაღალი ქულით შეფასდა. გამოკითხულთა აზრით, კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა გარკვეულწილად გავლენას ახდენს ადამიანთა ქცევაზე სამომხმარებლო სფეროში, ანუ მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს სოციალურად აქტიურ კომპანიას: სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ხელშემწყობელი ფაქტორებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა: ქვეყანაში მსგავსი პრაქტიკის ნაკლებობა, ხელის შემწყობი კანონმდებლობის არარსებობა, არაჯანსაღი ბიზნეს-გარემო, არასაკმარისი ფინანსები. უფრო დაბალი სიხშირით დასახელდა საზოგადოების პასიურობა, რეალურად რაიმეს შეცვლის შეუძლებლობა, არასაკმარისი პროპაგანდა და ა.შ.



დასავლეთში კორპორაციული პასუხისმგებლობა ბრენდის სიძლიერის ერთ-ერთი შემაღლებელი ნაწილია და საქართველოშიც, იგი თანდათანობით, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამ პროცესის წარმატებულად განვითარებისთვის საჭიროა, მოიძებნოს კომუნიკაციის ოპტიმალური გზა, რომელიც დადებით ზეგავლენას მოახდენს საზოგადოებაზე და ხელს შეუწყობს უნდობლობის აღმოფხვრას. კვლევამ უჩვენა, რომ ბიზნესმენები ადეკვატურად აფასებენ საზოგადოებრივად პასუხისმგებელი კომპანიების უპირატესობებს და სოციალური ვალდებულებების განხორციელების დადებით ზეგავლენას კომპანიის საქმიანობაზე. ისინი ძირითად უპირატესობად კომპანიის დადებითი იმიჯის შექმნას და, შესაბამისად, ამ კომპანიის პროდუქციისათვის მომხარებლის მხრიდან უპირატესობის მინიჭებას ასახელებენ.

სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ყველა სფეროს, მათ შორის საზოგადოებისა და კომპანიების მჭიდრო ურთიერთკავშირის აღიარებას და აქედან გამომდინარე, თვალისწინებს ფართო სოციალური ვალდებულებების ბიზნესზე დაკისრებას. ფირმების სოციალური აქტიურობა აუმაჯობებს საზოგადოების ცხოვრებას, ზრდის კომპანიების პრესტიჟს და შესაბამისად, მათ ლეგიტიმურობას საზოგადოების აღქმაში, გარდა ამისა, რაც უფრო უზრუნველყოფილია ქვეყანა სოციალური თვალსაზრისით, მით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება ბიზნესის განვითარებისათვის, რამდენადაც სოციალური ვალდებულებები მოგების სტიმულირებას ახდენენ გრძელვადიან პერსპექტივაში.

ნებისმიერი ბიზნესის მიზანი ცნობილ ბრენდად ქცევაა, რასაც ემსახურება ბიზნეს-იმიჯი. იმიჯი ის ნდობაა, რომლის მოპოვება ძალიან რთულია, იმიჯი კეთილგანწყობაა, რომელიც ძნელად ემორჩილება გონებას და ლოგიკას, იმიჯი პატივისცემაა, რომელიც მოდის ყოველდღიური შრომით, პატივისცემაა, რომელიც ფირმისათვის უდიდესი კაპიტალია.

The role of the image in business success

A. Tandilashvili

Entrepreneur's psychology is changed in modern society; he/she develops special world vision, with the sense of high social responsibility. Development of entrepreneurs world vision, enhance of production and dynamic development of management, contributed to creation of new culture of management.

The culture of business relationships are depend on social philosophy and psychology, with the idea that human is a main factor in the social life and even in entrepreneurship including his/her creative personality and business communications.

Concentration on social issue increases business attraction, causes increased demand of companies' product, helps to maintain costumers and loyalty of stuff, at some point it even helps to improve relationship with government, to sum up, reveal a more conducive business environment.

The goal of every company is to become well known brand, which depends on business image. Image is a trust, which is extremely hard to get, image is a approval and it hardly controlled by mind and logic. Image is a respect, which is gained by hard work. Respect is a great capital

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამსტრონგი, კოტლერი. მარკეტინგის საფუძვლები. თბ., 2007;
2. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ. მენეჯმენტის პრინციპები. თბ., 2000;
3. Алёшина И. Корпоративный имидж: стратегический аспект. М., 1998. [www.cfin.ru/press](http://www.cfin.ru/press);
4. Institute of Business Ethics, 2003 [www.profile.com.ge](http://www.profile.com.ge);
5. Business Review, 1999;
6. CSB Europe/ MORI, 2000). [www.PRGUIDE.GE](http://www.PRGUIDE.GE)
7. [http: www.csrdg.ge](http://www.csrdg.ge)

**მენეჯერთა გამოწვევები და  
შესაძლებლობები**

**თამარ ბიჭიკაშვილი**

**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)-ის  
ასოცირებული პროფესორი**

ნებისმიერი სახელმწიფო მნიშვნელოვან შესაძლებლობებთან ერთად გარკვეულ შეზღუდვებსა და გამოწვევებს სთავაზობს ბიზნესს, და შესაბამისად, მენეჯერთა გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესში არსებითი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს, და კონკრეტულად, მოქმედი მთავრობების პოლიტიკის სრულ გააზრებასა და გათვალისწინებას.

მთავრობის ჩარევა და მონაწილეობა მყიდველებისა და გამყიდველების ქცევასა და ურთიერთობებში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ჩვეულებრივ „არაპირდაპირი ბრძანებების“ მეშვეობით ხორციელდება [1, გვ.568]. ნაცვლად იმისა, რომ რესურსების ამა თუ იმ სფეროში მიმართვის თაობაზე ბაზრის სუბიექტებს მისცეს პირდაპირი განკარგულებები, სახელმწიფო აქტიურად და ხშირად წარმატებითაც იყენებს საბაზრო სტიმულებსა და მუხრუჭებს. “სახელმწიფოს ხელი“ შეიძლება გამოვლინდეს ფასების კონტროლით (წესებისა და დადგენილებების სახით), გადასახადების და სუბსიდიების ფორმით. ბაზარზე სახელმწიფო არსებით როლს არ თამაშობს, ის უბრალოდ ცვლის თავისუფალი კონკურენციის სტრუქტურას იმგვარად, რომ რესურსები წარმართოს პოლიტიკის შესაბამისად და არა ცალკეული

მყიდველის, ან გამყიდველის სურვილისამებრ.

ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო 5 ძირითად ფუნქციას ასრულებს: პირველი - საკანონმდებლო და სოციალური ბაზის შექმნა, რომლის ფარგლებში ბაზრის მოთამაშეები ყიდულობენ და ყიდიან შეზღუდული ეკონომიკური რესურსებით წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას. მაგალითად, სანიტარული ზედამხედველობისა და სურსათის ხარისხის, ასევე მედიკამენტებზე ზედამხედველობის სამსახურები ეძიებენ ხერხებს, რომელთა მეშვეობით ფარმაცევტული და კვების კომპანიები გაყიდიან საქონელს, რომელიც პასუხობს უსაფრთხოებისა და ხარისხის განსაზღვრულ სტანდარტებს;

მეორე - სახელმწიფო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით ცდილობს შეუწყოს ხელი კონკურენციას, იმგვარად, რომ საქონლისა და მომსახურების არც ერთმა გაყიდველმა უკანონოდ არ მოიპოვოს დომინანტი მდგომარეობა ბაზარზე;

მესამე - სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს და მონაწილეობაც მიიღოს შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილებაში საგადასახადო სისტემის (ძირითადად საშემოსავლო გადასახადით) მეშვეობით, ან განსაკუთრებული ინტერესის ზონაში მოქცეული ცალკეული ჯგუფებისთვის გრანტების და სუბსიდიების გადაცემით;

მეოთხე - რესურსების გადანაწილებით, რომელსაც ადგილი აქვს ბაზარზე გარე ეფექტების არსებობისას, ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც განსაზღვრული პროდუქტის წარმოების ან მოხმარებისას შემოსავლების ან ხარჯების ნაწილი უგროვდება მესამე მხარეს, და არა მყიდველს ან გამყიდველს;

სახელმწიფოს მეხუთე ფუნქცია მთლიანი ეკონომიკის სტაბილიზაციაა. უმუშევრობასა და ინფლაციასთან,

რაც საბაზრო ეკონომიკის ციკლის გარკვეულ სტადიებს ახასიათებს, გასამკლავებლად სახელმწიფო მონეტარულ ან ფისკალურ პოლიტიკას მიმართავს.

ასევე, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება, როდესაც მასშტაბის ეფექტის წყალობით ერთ ფირმას შეუძლია გაცილებით ეფექტიანად მოემსახუროს მყიდველებს (მომხმარებლებს), ვიდრე უამრავ წვრილ კონკურირებად ფირმას. საქართველოში, ისევე როგორც მრავალ ქვეყანაში, ბუნებრივი მონოპოლიის მაგალითია კომუნალური, ელექტრო და გაზომომარაგება, ასევე სატელეფონო ქსელი. ბოლო ათწლეულის მანძილზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეინიშნება ამ კომპანიებში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შესუსტება.

ამასთან, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის მაქსიმალური შესუსტება მთელ რიგ დარგებში ეკონომიკური პარამეტრებისა და ზოგადად მდგომარეობის გაუარესებას იწვევს, მით უფრო – არასტაბილური ეკონომიკის და ჯერ კიდევ გაუმართავი საკანონმდებლო ბაზის, ასევე მოქალაქეობრივი ცნობიერების შედარებით დაბალი დონის მქონე ქვეყნებში. “საქართველოს სახელმწიფომ, სხვა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, რეგულაციების გაუქმების პარალელურად, უარი თქვა, განეხორციელებინა შრომის ბაზრის, კონკურენციის შეზღუდვის, სურსათის უვნებლობის და სხვა რეგულაციები, რომელთა გაუქმებამ ან შეზღუდვამ მნიშვნელოვნად გააუარესა ეკონომიკური გარემო. მოსაზრებამ იმის თაობაზე, რომ ეს ყველაფერი ინვესტიციების მოზიდვას ემსახურებოდა და აისახა საქართველოს სხვადასხვა რეიტინგების მაჩვენებელზე, რეალურად ეკონომიკის განვითარებას უამრავი პრობლემა შეუქმნა, რომელთა გამოსწორება ან განეიტრალება მაინც საკმაოდ რთული იქნება და დროშიც სერიოზულად გაიწელება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფომ, გარდა რეგულირების პირდაპირი ფორმე-

**ბისა, მკვეთრად შეზღუდა მაკროეკონომიკური რეგულატორების ფუნქციონირებაც...”[2, გვ.53].**

ბაზრის მონოპოლიზაცია მთელი მსოფლიოს პრობლემაა. თავისუფალი ბაზრის მქონე არცერთ ქვეყანაში, ანტიმონოპოლიური სამსახური არ არის თავისუფალი ეკონომიკის წინააღმდეგ მიმართული ან მისი განვითარების რაიმე შემაფერხებელი ფაქტორი. კონკურენციის პოლიტიკის რეფორმა და შესაბამისი სტრუქტურების და ღონისძიებების სწრაფად გატარება საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალურია, ამასთან, ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმების ფარგლებში.

ანტიმონოპოლიური სამსახური ქვეყანაში 1992 წლიდან ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებობდა. 1997 წელს ის დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბდა. ანტიმონოპოლიური სამსახური “მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ” კანონის აღსრულებაზე იყო პასუხისმგებელი.

2005 წლიდან ანტიმონოპოლიური სამსახური და შესაბამისი კანონმდებლობა გაუქმდა. მის ნაცვლად ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობაში ამოქმედდა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო“, რომელიც შესაბამისი ბერკეტების უქონლობის გამო, რეალურად ვერ ასრულებდა ანტიმონოპოლიური სამსახურის მაგივრობას. მსგავსი მოდელი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მხოლოდ ბელარუსში, ტაჯიკეთსა და აზერბაიჯანში ფუნქციონირებდა. აღნიშნულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო საწარმოთა მცირე ნაწილის შესაძლებლობების მნიშვნელოვან ზრდას, დიდი ნაწილი კი ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ან სულაც გაკოტრდა.

2012 წლის მაისში საქართველოს პარლამენტის მიერ დაამტკიცებულ “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის

შესახებ” კანონში 2014 წლის მარტში შეტანილი ცვლილებების თანახმად (ამჟამად “კონკურენციის შესახებ” კანონი) ამოქმედდა კონკურენციის სააგენტო-საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ხელმძღვანელსაც პრემიერ-მინისტრი ნიშნავს. ახალი კანონით სააგენტოს რეალური ბერკეტები აქვს ამ სფეროში დაგროვილი უამრავი პრობლემის მნიშვნელოვნად შემცირებისთვის, რაც ახალ შესაძლებლობებს უხსნის საქართველში მოქმედ საწარმოთა მენეჯერებს რეალური კონკურენციის პირობებში საქმიანობისთვის. ასევე, არ არის გამორიცხული მნიშვნელოვანი სირთულეები შეექმნათ მთელ რიგ საწარმოებს, რომელნიც “სასათბურე პირობებში” მუშაობას იყვნენ მიჩვეულნი წლების განმავლობაში.

ბაზრის გარე ეფექტების მართვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში შესაძლებელია შეზღუდული ეკონომიკური რესურსების ეფექტიანი განთავსება და საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაცია. მგარამ, ხშირად ფაქტში არ აისახება ყველა დანახარჯი და შესაბამისად, მათი სრული კომპენსირება შეუძლებელია. სწორედ ამგვარი სიტუაციები წარმოქმნიან გარე ეფექტებს და იწვევენ ბაზრების ჩავარდნას. როდესაც გარე ეფექტების დროს მესამე მხარე იღებს გარკვეულ სარგებელს (დადებითი გარე ეფექტები), ამ პროდუქტების მწარმოებლებს არ შეუძლიათ მთელი შემოსავლის მიღება და შესაბამისად იზღუდება ამ პროდუქტების წარმოება. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს როლი ფაქტობრივად ნულოვანია. სახელმწიფოს, და შესაბამისად მენეჯერებსაც ყველაზე მეტად აღელვებთ დანახარჯებთან დაკავშირებული გარე ეფექტები (უარყოფითი გარე ეფექტები), როდესაც მწარმოებელი არ ანაზღაურებს მოცემული პროდუქტის წარმოების ყველა ხარჯს. ხარჯებთან დაკავშირებული გარე ეფექტების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია გარემოს

დაბინძურება. ნებისმიერი ქარხანა აწარმოებს როგორც პროდუქტს, ასევე დამაბინძურებელ ნივთიერებებს, და როდესაც ის საერთოდ ან სრულად არ იხდის დაბინძურების კომპენსაციას, საქონლის ღირებულება ნაკლებია მის მთლიან დანახარჯზე (მ.შ.დაბინძურების), რაც საქონლის გაცილებით დიდი რაოდენობით წარმოების მიტივატორია.

ამერიკელი მეცნიერის რონალდ ქოუზის თეორემის თანახმად [1, გვ.571], გარე ეკონომიკური ეფექტების გასანეიტრალებლად სახელმწიფოს ჩარევა სრულიადაც არ არის აუცილებელი, თუ მკაფიოდ არის დადგენილი საკუთრების უფლება. მაგრამ, არსებობს რიგი დამატებითი სირთულეებიც. მაგალითისთვის, თუ ტრანზაქციული ხარჯები (მაგ. ორ მხარეს შორის შეთანხმების დადების ხარჯები) მაღალია, ან თუ ერთი კომპანია დადებს არაკეთილსინდისიერ გარიგებას და შეუძლებელი იქნება რაიმე გონივრული შეთანხმების მიღწევა. ასევე, მხარეებს შეიძლება არ ჰქონდეთ სრული ინფორმაცია ხარჯებისა და მოგების თაობაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთი პრობლემების გადასაჭრელად მხოლოდ სწორი საგადასახადო სისტემის გამოყენება საკმარისი არ არის და აუცილებელი ხდება სახელმწიფოს ჩარევა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ამ მხრივ სერიოზულ გადამუშავებას საჭიროებს.

სახელმწიფოს მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის დანიშნულებაა ეკონომიკის სტაბილიზაცია. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი განსაკუთრებით მსოფლიო ეკონომიკური კრიზისებისა და რეცესიების დროს იზრდება.

მონეტარული პოლიტიკა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ფულის რაოდენობის და/ან საპროცენტო განაკვეთის კონტროლით ხორციელდება. ის მიმართულია განსაზღვრული მიზნების, მაგ. ეკონომიკური აქტივობის დონის



მისაღწევად. ბოლო პერიოდში სახელმწიფოთა მონეტარული პოლიტიკა ძირითადად საპროცენტო განაკვეთების ვარირებით ვლინდება. ეკონომიკის მდგომარეობიდან გამომდინარე ხდება საპროცენტო განაკვეთის შემცირება, ზრდა ან უცვლელად დატოვება.

საქართველოში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (რეფინანსირების განაკვეთი) ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია და ის ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენს საბაზრო განაკვეთებისათვის [4]. რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებაზე გადაწყვეტილება მიიღება მიმდინარე და მოსალოდნელ ეკონომიკურ პროცესებსა და ფინანსურ ბაზრებზე დაკვირვების შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ. თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი აღემატება ინფლაციის მიზნობრივ დონეს, ეროვნული ბანკი გაამკაცრებს მონეტარული პოლიტიკას და აწევს საპროცენტო განაკვეთს, მომავალში ფასების დონის მატების შეზღუდვისთვის. შედეგად, შემცირდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც ზეგავლენას მოახდენს ფასების ზრდის ტემპზე. საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც ერთობლივი მოთხოვნა არის დაბალი და ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი ნაკლებია მიზნობრივზე, ეროვნული ბანკის მიერ გატარდება ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა - შემცირდება საპროცენტო განაკვეთი, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაეცემა სესხების საპროცენტო განაკვეთს და გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის წახალისებას.

მთავრობის პოლიტიკას დანახარჯების, გადასახადების და სესხების შესახებ ფისკალური პოლიტიკა განსაზღვრავს, იგი უფრო პოლიტიზებულია, ვიდრე მონეტარული პოლიტიკა, შესაბამისად, მისი გამოყენება მაკროეკონომიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტად ნაკლებ ეფექტურია.

სახელმწიფო სახსრების ფინანსური მართვის

სტრატეგიული მიზანია ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენება და სახელმწიფო სახსრების სახელმწიფო პრიორიტეტებისკენ მიმართვა და მათ დასაფინანსებლად მრავალწლიანი მყარი გარანტიების შექმნა.

მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კოორდინირებული ქმედება განაპირობებს ინფლაციის დაბალ დონეს. ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებული თუ არ იქნა დეფიციტის შესაძლო გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე, მხოლოდ ეროვნული ბანკის ძალისხმევა საკმარისი არ იქნება ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ ფისკალური პოლიტიკის ღონისძიებების დასახვა-რეალიზაციას გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე მონეტარულს, ვინაიდან მასში პოლიტიკურ მდგენელს საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ როგორც მონეტარული, ისე ფისკალური ღონისძიებები მომენტალურად არ იძლევიან ეფექტს და ზოგჯერ მათი შედეგი შეიძლება არც თუ ისე სახარბიელო იყოს ეკონომიკისთვის.

“სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების მასშტაბებზე, ინსტრუმენტსა და ეფექტურობაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ის ამოცანები, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას. ასევე ქვეყნის განვითარების დონე, რომელიც შეასძლებელია გამოყენებულ იქნას ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო რეგულირებისას” [3, გვ.50].

სახელმწიფო პოლიტიკა ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკის იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფო შემსყიდველის როლში გამოდის. ასეთ მონოპსონიურ ბაზარს, სადაც გამყიდველების პროდუქტი და მომსახურება ერთი მყიდველის მიერ შეისყიდება, თავისი სირთულეები გააჩნია და რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით (საქართველოს

კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“). ზოგიერთი კომპანია არჩევს საერთოდ არ მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო ტენდერებში გართულებული ბუღალტერიისა და ანგარიშგების, ასევე რეგულარული კონტროლის გამო. მეორენი კი ამ გარემოში „იფურჩქნებიან“ და ამჯობინებენ ასეთ შესყიდვებში მონაწილეობას. მენეჯერებს შესწავლილი აქვთ რა სრული პროცედურები, კარგად იყენებენ ამ სფეროში არსებულ საკმაოდ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს.

სახელმწიფო შესყიდვები განისაზღვრება სამთავრობო სტრატეგიული გეგმებით, ბიუჯეტით და პროგრამული გადაწყვეტილებებით. ამიტომ მენეჯერები წინასწარ გაითვლიან რას და როდის შეისყიდის მათი აზრით სახელმწიფო, და შესაბამისად განსაზღვრავენ იმ ხერხებს, თუ როგორ მიაწოდებენ თავის პროდუქტებსა და მომსახურებას. ეს სჭირდებათ ინვესტიციების მოცულობის და ხანგრძლივობის (გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი) გაანგარიშებისთვის და განაცხადების მიწოდების სწორი პოლიტიკის განსაზღვრისთვის. თუ სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე მენეჯერები განაცხადის გამოქვეყნებისას გაიგებენ, ეს ნიშნავს, რომ მათ უკვე დააგვიანეს და ვეღარ შეძლებენ სრულფასოვნად ჩაერთონ თამაშში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციით [5], გასული 2013 წლის განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში, მთლიანი სახელმწიფო შესყიდვებიდან 1 710 643,8 ათასი ლარის (საერთო შესყიდვების 61,05%) შესყიდვებზე გამოცხადდა ტენდერი, ამასთან, გამარტივებულ შესყიდვებზე -1 080 441,7 ათასი ლარი (38.56%), ხოლო კონკურსებზე შედარებით მცირე თანხა -10 871,9 (0,38%) ათასი ლარი დაიხარჯა. 2012 წლისთვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა: ტენდერებზე -1 532 447,2 ათას ლარს (55,3%), გამარტივებულ შესყიდვებზე – 1 233,7 ათას ლარს (44,52%) და კონკურსებზე -5 016 ათას ლარს (0,18%).

## **თამარ ბიჭიკაშვილი**

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების მომწოდებლებში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა შპს-ებს (9677 ერთეული, ანუ 61,8%) და ინდივიდუალურ მეწარმეებს (3742 ერთეული, ანუ 23,9%) აქვთ, ფიზიკური პირების რაოდენობა 1366 ერთეულია, სხვა მომწოდებლების - 870 ერთეული. ამასთან, ქვეყანაში დარეგისტრირებული შპს-ების საერთო რაოდენობა 67 415 ერთეულია და მხოლოდ მათი 12,6%-ია დარეგისტრირებული სახელმწიფო შემსყიდველთა ელექტრონულ ვერსიაში, რაც ამ დიდი შესაძლებლობის არასათანადო გამოყენებაზე მიუთითებს. აღნიშნული მნიშვნელოვანწილადაა განპირობებული მენეჯერთა გარკვეული სიფრთხილით ან მოუმზადებლობით.

ამ სფეროში არსებულ ხარვეზებს, და შესაბამისად, გამოუყენებელ რესურსებსა და პოტენციურ შესაძლებლობებს ისიც ცხადყოფს, რომ გამოცხადებული ტენდერებიდან უარყოფითი შედეგით (არ შემდგარი, ან შეწყვეტილი ტენდერების) დასრულებული ტენდერების რიცხვი წლების განმავლობაში საკმაოდ მაღალია, კერძოდ, 2011 წელს უარყოფითი შედეგით დასრულდა 15 907 ტენდერი (47,27%), 2012 წელს – 10 472 ტენდერი (35,89%), 2013 წელს - 8468 ტენდერი (28,97%). ეს კლება შესაძლებელია გარკვეულწილად მეწარმეებისა და მენეჯერების კვალიფიკაციის მატებამ, ასევე ამ პროცესის საჯაროობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდამ გამოიწვიო.

სახელმწიფო თავისი მარეგულირებელი სამსახურებითა და მექანიზმებით ხშირად ერევა ზოგიერთი მსხვილი დარგის და საწარმოს საქმიანობაში დერეგულირების მიზნით, შერწყმის ან/და შთანთქმის ხელშესაწყობად. ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითია ტელეკომუნიკაცია, კომუნალური ელექტრო და გაზომომარაგება, ავიახაზები და კომერციული ბანკები. ამ დარგების დერეგულირება იწვევს კონკურენციის ზრდას, კლიენტების შედარებით დაბალ ფასად და

ხარისხიანად მომსახურებას, ახალი ტექნოლოგიების უფრო ძლიერი კონკურენციის დარგებიდან სწრაფ გადმოღინებას ამ სფეროში. მაგრამ ხშირად დერეგულირება იმდენად ამძაფრებს კონკურენციას ამ დარგებში, რომ მრავალი კომპანია გადარჩენისა და შემდგომი საქმიანობის უზრუნველსაყოფად შერწყმის ან შთანთქმის პოლიტიკას მიმართავს.

საწარმოთა შერწყმის მოტივები შეიძლება იყოს წარმოების სინერჯია, მართვის ხარისხის გაუმჯობესება, საგადასახადო ტვირთის შემცირება, დივერსიფიკაცია, ხელმძღვანელობის ძალაუფლება და საბაზრო ძალა, როდესაც ორი ან რამდენიმე მძლავრი კომპანიის შერწყმა დარგში კონკურენციის შემცირებას შეუწყობს ხელს.

ამგვარად, მენეჯერებმა წარმოების განვითარებისთვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოს ზეგავლენა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც მენეჯერები ახორციელებენ გლობალურ ოპერაციებს და შეხება უწევთ სხვადასხვა ქვეყნის კანონებსა და გადაწყვეტილებებთან, მაგრამ, თემა აქტუალურობას არ კარგავს საწარმოთა ეროვნულ ბაზრებზე ფუნქციონირებისასაც, მით უფრო – საბაზრო მექანიზმების სრულად ჩამოუყალიბებლობისას, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენს ქვეყანაში.

## **Management challenges and opportunities**

### **T. Bitchikashvili**

In market economy conditions, government intervention and participation in buyers and sellers' behavior and relationships, is usually provided with a help of "indirect commands".

Market's external effects' management - In market economy conditions, is one of the key issues. The price does not reflect all the

costs, and therefore, their whole compensation is impossible.

Managers should take into consideration the fact, that as monetary, so fiscal measures don't give immediate effect and sometimes their result may not be so good for the economy.

Government policy has the biggest influence in those economical spheres, where government plays the role of purchaser. Some companies chose not to participate in complicated government tenders in accounting and reporting, also because of regular control. Others chose to participate in procurements, they have completely studied the procedures and are "blossoming" in that environment.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Кит П., Янг Ф. Управленческая экономика. Инструментарий руководителя. 5-е изд. / Пер. С англ. — СПб.: Питер, 2008;
2. ნ.ხადური,საქართველოს ეკონომიკის დერეგულირების მაკროეკონომიკური ასპექტები. "ეკონომისტი", 2009, №1;
3. ე. მეყანწიშვილი, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პარამეტრები. "ეკონომისტი", 2010, №4;
4. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
5. [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

## აუდიტის ჩამოყალიბება და ევოლუცია

### ქეთევან ღულუშაური ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის დოქტორანტი

კვლევის მიზანია აუდიტური საქმიანობის ჩამოყალიბების და ევოლუციის მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა, თანამედროვე ტენდენციების, საერთაშორისო პრაქტიკის, საქართველოს აუდიტური ორგანიზაციების ამოცანებისა და ფუნქციების გაანალიზებით. დასახული მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ამოცანები: 1. კონტროლის ორგანოების აუდიტური სამსახურით ჩანაცვლების აუცილებლობა; 2. სახელმწიფო ორგანოების დამოკიდებულება აუდიტური ორგანიზაციებისადმი ევროპასა და აშშ-ში; 3. აუდიტური სამსახურის წარმოშობა და განვითარება საქართველოში. სტატიაში აღნიშნული საკითხების ახლებურად წარმოჩენის საფუძველზე, გაკეთებულია დასკვნა, რომ აუდიტს, რომელიც ცენტრალურ ადგილს იკავებს ეკონომიკის მართვაში, უნდა ჰქონდეს მკვეთრად გამოხატული სახელმწიფოებრივი თავისებურება, თავისი სტრატეგიითა და ტაქტიკით, მაგრამ უშვებდეს აუდიტური სამსახურის რეაქციას ეკონომიკური კონიუნქტურის დროით ცვლილებაზე.

მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაცია გლობალიზაციის მიმართულების განვითარებიდან გამომდინარე ინფორმაციის და მისი ხარისხის შესაფასებლად საჭირო გახდა კონტროლის ორგანოების აუდიტური სამსახურით ჩანაცვლება, რომელიც მომხმარებელს მიაწვდის სპეციალისტის კომპეტენტურ მოსაზრებას სამეურნეო ეკონომიკურ საქმიანობაზე, ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების სისწორისა და

ხარისხის შესახებ. ამისთვის აუცილებელი გახდა განვითარებული ქვეყნებში უკვე აპრობირებული აუდიტორული კონტროლის შემოღება. ბუღალტრული აღრიცხვას კონტროლის ტრადიციული მომსახურებასთან ერთად აუდიტი ეკონომიკურ სუბიექტს გაუწევს კონსულტაციას, ასევე საექსპერტო დახმარებას და შეიმუშავებს საჭირო რეკომენდაციებს მისი ნორმალური, ეფექტიანი და მართებული ფუნქციონირებისათვის.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მოითხოვა სახელმწიფო ცენტრალიზებული საკონტროლო სარევიზიო სამსახურების საბაზრო ურთიერთობის შესაბამისი აუდიტური შემოწმების წესებით და მოდელებით შეცვლა.

ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში სახელმწიფო ორგანოების დამოკიდებულება აუდიტური ორგანიზაციებისადმი სხვადასხვაგვარია. მაგალითად, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში აუდიტორული ორგანიზაციები დამოუკიდებელია, თვითონ ამზადებენ აუდიტორებს, ანიჭებენ მათ შესაბამის კლასიფიკაციას. თვალყურს ადევნებენ მათ მიერ პროფესიული მოვალეობების შესრულებას.

საქართველოში „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ კანონის თანახმად, „აუდიტორი არის ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტური საქმიანობის ლიცენზია“ [1]. აუდიტური სტატუსის მიხედვით, იგი არის დამოუკიდებელი ექსპერტი და თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი პასუხისმგებლობით, ფაქტობრივი მასალების და მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების მიხედვით.

საბაზრო ურთიერთობის განვითარებამ განაპირობა დროის მცირე მონაკვეთში დიდი რაოდენობის სრულიად ახალი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების მიღება, რითაც საწარმოთა (ორგანიზაციების) საქმიანობის სამართლებრივი საკითხები, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება, დაბეგვრა, და ა.შ. საკითხები რეგულირდება.



საქართველოში აუდიტური საქმიანობა და აუდიტის პროფესია თავის თანამედროვე სახით შედარებით ცოტა ხნის წინ გამოჩნდა და ეკონომიკური გარდაქმნების პროცესში სულ უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა.

აუდიტურ შემოწმებას (აუდიტს) ახორციელებენ აუდიტორები და აუდიტორული ფირმები სამეურნეო სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგურისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასა და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით[2].

აუდიტურ მომსახურებაში შედის აგრეთვე ბუღალტრული მომსახურება, ექსპერტიზა და საკონსულტაციო მომსახურება საფინანსო, დაბეგურის და სამეურნეო კანონმდებლობის სხვა დარგებში.

აუდიტორის მოვალეობაა ისეთი აუდიტორული პროცედურების ჩატარება, რომლებზეც შეთანხმდნენ აუდიტორი, სამეურნეო სუბიექტი და ნებისმიერი მესამე მხარე, აგრეთვე დასკვნის წარდგენა აღმოჩენილ ფაქტებზე დაყრდნობით. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანია შესაძლებლობა მიეცეს აუდიტორს გამოხატოს თავისი მოსაზრება იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგება ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტორული საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ელემენტია და მართვის დამოუკიდებელ ფუნქციად გვევლინება. კონტროლის მეშვეობით ხორციელდება სამეურნეო ობიექტების ორგანიზაციული და მეთოდური უზრუნველყოფა, აგრეთვე, მასთან დაკავშირებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება.

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ნორმატიული რეგულირების სისტემაში აუდიტის სტანდარტების ადგილის განსაზღვრა, რაც, ჩვენი აზრით, დღეისათვის საკმაოდ ბუნდო-

ვანია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეროვნული სტანდარტების შემუშავებისას აუდიტორულ ფირმებს მიეცეთ დავალება დაიწყოთ მუშაობა სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამრღვევთა მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ყველა ღონისძიება (პირველ ორ შემთხვევაში მათ უნდა მიეცეთ მკაცრი გაფრთხილება, შემდეგ კი ჩამოერთვათ ლიცენზია აუდიტორული საქმიანობისათვის).

მიგვაჩნია, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში თანამედროვე პერიოდში პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები და ეთიკური ნორმები არასაკმარისია, შესაძლოა. ბასს და ასს-ს სტანდარტები, რომლებიც შემუშავებული იქნება, მათი დაგეგმვის დაწყებიდანვე მიჩნეულ იქნეს როგორც გამოსაქვეყნებლად სავალდებულო ხასიათის ნორმატიული დოკუმენტები.

დღეს საქართველოში აუდიტორული საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“<sup>[1]</sup>, ხოლო მეთოდოლოგია—აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით (ასს). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტანდარტები არ არის ეროვნულ ტრადიციებსა და თავისებურებებთან შესაბამისობაში.

აუდიტის ისტორიულ ქვეყნად ითვლება დიდი ბრიტანეთი, სადაც 1844 წელს გამოვიდა კანონთა კრებული კომპანიების შესახებ, რომლის თანახმადაც აქციონერული კომპანიების მმართველები ვალდებული იყვნენ წელიწადში ერთხელ მაინც მოეწვიათ სპეციალურად ადამიანი ბუღალტრული აღრიცხვის შესამოწმებლად და აქციონერთათვის ანგარიშის ჩასაბარებლად.

რუსეთში კი, აუდიტის წოდება შემოღებული იქნა პეტრე I-ის დროს. აუდიტორის თანამდებობა მოიცავდა რამდენიმე საქმის წარმოებას, მდივნობას და პროკურორობას. აუდიტორებს რუსეთში უწოდებდნენ მსაჯულ ბუღალტრებს.

აუდიტის ჩატარების აუცილებლობა და აუდიტორული

მომსახურებაზე მოთხოვნა წარმოიშვა სხვადასხვა გარემოების გამო

რაც მთავარია, მაკროეკონომიკურ დონეზე აუდიტი ითვლება საბაზრო ინფრასტრუქტურის ელემენტად, რომლის ფუნქციონირებას განსაზღვრავს შემდეგი გარემოებები:

1. ბუღალტრული აღრიცხვა გამოიყენება გადაწყვეტილების მისაღებად, რომლითაც დაინტერესებული არიან მისი მომხმარებლები, მათ შორის ხელმძღვანელობა, ეკონომიკური სუბიექტის მონაწილეები და მფლობელები, რაღური და პოტენციური ინვესტორები, დამკვეთები და მომუშავეები, სახელმწიფო ორგანოები და ზოგადად საზოგადოება;

2. ბუღალტრული აღრიცხვა რიგი ფაქტორების გამო შეიძლება არასწორი იყოს. კერძოდ, კი შესაფასებელი მაჩვენებლების გამოყენებით და სამეურნეო საქმიანობის აღმრიცხველი ფაქტების არაერთგვაროვანი ინტეგრეტიაციის შესაძლებლობით. გარდა ამისა, ბუღალტრული აღრიცხვის საიმედოობა ავტომატურად ვერ იქნება უზრუნველყოფილი მისი შემადგენლის მისწრაფებების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

3. ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისობის ხარისხი როგორც წესი, არ შეიძლება შეფასებული იქნეს დამოუკიდებლად. უმრავლესი დაინტერესებული მხარეების მიერ რთულად მისაღწევი აღრიცხვიანობისა და სხვადასხვა დოკუმენტებთან. ასევე სამეურნეო ოპერაციების მრავალრიცხოვნობისა და სირთულის გამო, რომელიც გამოსახულია ეკონომიკური სუბიექტის ბუღალტრული ანგარიშგებაში.

აუდიტური კონტროლი, ძირითადად ვრცელდება კერძო საწარმოებზე, მათ გაერთიანებებზე, ბანკებსა და საკრედიტო დაწესებულებებზე, მათ ასოციაციებზე და კავშირებზე, სადაზღვევო ორგანიზაციებზე, ბირჟაზე, საპენსიო და სხვა ფონდებზე, აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ მოქალაქეებზე.

აუდიტური საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის მნიშ-

ვენელოვანი ელემენტია და იგი მართვის დამოუკიდებელ ფუნქციად გვევლინება. კონტროლის მეშვეობით ხორციელდება სამეურნეო სუბიექტის ორგანიზაციულ და მეთოდური უზრუნველყოფა, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ საკმაოდ შეიზღუდა სახელმწიფო ორგანოების ჩარევა სამეურნეო სუბიექტების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ მოთხოვნა კონტროლზე სახელმწიფოსა და მეწარმეთა ინტერესებიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდამდე დარჩა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აუდიტური საქმიანობის აუცილებლობა დღითიდღე დასტურდება, ქვეყნის თავისუფალი და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაში.

მიგვაჩნია, რომ აუდიტურ მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა გამოწვეულია ისეთი ობიექტური მიზეზებით, როგორც არის კაპიტალის: ბაზრის განვითარება, ორგანიზაციების მისწრაფება თვითრეგულირებისაკენ, ფინანსურ მდგომარეობაზე კონტროლის გაძლიერება, მესაკუთრეების, კრედიტორების, ინვესტორების (და მევესმეების) მატერიალური დაბანდების გარანტირება, საქმიან პარტნიორებს შორის ურთიერთობის უზრუნველყოფა.

აუდიტური საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის თანმხლები ატრიბუტია, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ თანამედროვე საქმიანი სამყაროს წარმომადგენლები სერიოზულად არ აღიქვამენ ანგარიშგების მონაცემებს, თუ იგი არ არის დადასტურებული დამოუკიდებელი აუდიტური დასკვნის სახით. ბიზნესმენები და ბანკები, რომლებიც სარგებლობენ აუდიტური მომსახურებით, პარტნიორების და მყიდველების ნდობით სარგებლობენ. ცნობილია, რომ ყველა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა და მისი ეკონომიკა აკეთებს აუდიტურ მომსახურებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდია აუდიტური საქმი-

ანობის და თვით აუდიტის განმახორციელებელი სუბიექტის პასუხისმგებლობა, როგორც სახელმწიფოს, ასევე აუდიტური მომსახურებით. მოსარგებლე ეკონომიკური სუბიექტის წინაშე, რადგანაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღებისა და წინსვლის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

აუდიტისა და აუდიტური საქმიანობის მრავალი განსაზღვრება არსებობს – მათ შორის მისაღებად მიმაჩნია ერთ-ერთი, რომელიც გამომდინარეობს ოფიციალური ნორმატიული დოკუმენტებიდან, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი კანონმდებლობებიდან. 1973 წელს ამერიკის ბუღალტერთა ასოციაციამ (AAA) გამოაქვეყნა აუდიტის ასეთი განმარტება: „აუდიტი ეწოდება ეკონომიკურ ქმედებათა და მოვლენათა შესახებ არსებული ცნობების ობიექტური შეკრებისა და შეფასების სისტემურ პროცესს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს დადგენილ კრიტერიუმებთან ამ მტკიცებების შესაბამისობის ხარისხი და შემოწმების შედეგები გადაეცეს დაინტერესებულ პირებს.

მისაღებია მოსაზრება, რომლის თანახმად აუდიტი არ არის მხოლოდ კონტროლის მექანიზმი. აუდიტური შემოწმება თანასწორად შეიძლება ჩაითვალოს კომერციული კომპანიების საქმიანობის წარმატების მისაღწევად, რამეთუ, ნებისმიერი კონსულტაცია რომელიც განხორციელდა კომერციულ ბანკებში, მის წარმატებას უზრუნველყოფს[7].

აღრიცხვის და აუდიტის ურთიერთკავშირი შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს, ფაქტიურად, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც რაოდენობრივ განსაზღვრას და შემოწმებას ექვემდებარება, შეიძლება აუდიტის საგანი გახდეს, თუკი აუდიტორი და მის კლიენტი შეთანხმდნენ კრიტერიუმებზე, როგორც შესაბამისობის ხარისხის განსაზღვრულ საფუძველზე.

აუდიტის პოსტულატები შეიმუშავეს ცნობილმა ბრიტანელმა ეკონომისტებმა მოცმა (MAUZ) და შერეფმა (SHARAF)

თავიანთ წიგნში „აუდიტის ფილოსოფია“, რომელიც 1961 წელს გამოიცა. მათ მიერ შემუშავებული პოსტულატებია:

1. ფინანსური ინფორმაცია და ფინანსური ანგარიშები შემოწმებადია;

2. არ არის აუცილებელი, რომ აუდიტორს და კომპანიის ხელმძღვანელობას შორის არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი;

3. ფინანსური ანგარიშები თავისუფალი კოლიზიური, ანუ სხვა სახის უჩვეულო დარღვევებისაგან;

4. შიგა კონტროლის დამაკმაყოფილებელი სისტემის არსებობა გამორიცხავს ნორმის დარღვევის ალბათობას;

5. საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული პრინციპების მუდმივად გამოყენებით აუდიტორს საშუალება ეძლევა პატიოსნად და მიუკერძოებლად წარმოადგინოს აუდიტის შედეგები და თავისი პოზიცია;

6. ფინანსური ინფორმაციის და მონაცემების შემოწმებისას აუდიტორი მოქმედებს უშუალოდ აუდიტორის კომპეტენციით.

7. დამოუკიდებელი აუდიტორის პროფესიული სტატუსი მოიცავს სათანადო და თანაბარზომიერ პროფესიულ თანავალდებულებებს.

ჩვენ ვეთანხმებით ცნობილი ბრიტანელი მეცნიერი ა.პ. მალისემპის მიერ, თავის ფუნდამენტურ სახელმძღვანელოში „აუდიტი“, ჩამოყალიბებულ აუდიტის ფუნდამენტურ პრინციპებს, ესენია:

– პროფესიული სტატუსი: დამოუკიდებლობა, პატიოსნება, მიზანმიმართულება, სიმკაცრე, კომპეტენტურობა და ეთიკური ნორმებისა და კანონების გათვალისწინება.

– შეფასება: თანდაყოლილი, კონტროლის, გაყალბების და შეცდომის რისკის;

– ინფორმაციის მოპოვება: აუდიტორებს მიეწოდებათ სათანადო ინფორმაცია. თავის მხრივ მათაც აქვთ უფლება ხელი მიუწვდეთ ყველა მონაცემზე, რაც მათ აუდიტისათვის

სჭირდებათ;

– კომუნიკაცია: აუდიტორებმა თავიანთი აზრი თამამად და მიუკერძოებლად უნდა გამოხატონ, დასკვნა გააკეთონ იმ საკითხების შესახებ, რაც მოეთხოვებათ, ანგარიში წარუდგინონ სათანადო ორგანოებს.

ჩვენი აზრით, მაკროეკონომიკურ დონეზე აუდიტი ითვლება საბაზრო ინფრასტრუქტურის ელემენტად, რომლის ფუნქციონირება განისაზღვრება იმით, რომ ბუღალტრული აღრიცხვა გამოიყენება გადაწყვეტილების მისაღებად, რომლითაც დაინტერესებულნი არიან მისი მომხმარებლები; ასევე რეალური და პოტენციური ინვესტორები, დამკვეთები და მომუშავეები; სახელმწიფო ორგანოები და ზოგადად საზოგადოება.

საქართველოში აუდიტორული საქმიანობა ძირითად საკანონმდებლო ბაზას შეადგენს 1995 წლის 6 თებერვალს მიღებული საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, რომელშიც 1997 წლის 27 ივნისს და 1999 წლის 30 აპრილს შეტანილი იქნა ცვლილებები. აღნიშნულ კანონში გადამოცემულია აუდიტორული საქმიანობის ზოგადი პრინციპები (დებულებები) მისი სახელმწიფო რეგულირება და თვითმმართველობა, აუდიტორული საქმიანობის წარმართვის წესები და პირობები. ამ საქმიანობის მონაწილეთა უფლებები და ვალდებულებები[1].

მიგვაჩნია, რომ, საბაზრო ეკონომიკაში აუდიტორი საქმიანობის განხორციელების ძირითადი მიზანია ეკონომიკური სუბიექტის ბუღალტრული ანგარიშების უტყუარობა და მისი შესაბამისობა, სამეურნეო და საფინანსო ოპერაციების სამართლიანობა – ნორმატიულობასთან. აქედან გამომდინარე, აუდიტის მიზანი კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტაა, რომელიც განისაზღვრება კანონმდებლობით და ნორმატიული რეგულირების სისტემაში ხორციელდება აუდიტორსა და კლიენტს შორის სახელმწიფო რეგულირებო ვალდებულებებით. ე.ი. აუდიტის ძირითად მიზანში იგულისხმება

ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის შესახებ უტყუარობისა და სიზუსტის სრულყოფილი შეფასება იმ პრინციპით, რომ შესაძლებელი გახდეს რეზერვებსა და ურთიერთობებში შეცდომა-გარღვევათა გამოვლენა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეფასება. ამასთან ერთად, აუდიტის შემოწმების ამოცანაში შედის: ბალანსის შედგენის სისწორის, მოგების და ჩანაწერების უტყუარობის დადგენა. ამისათვის კი უნდა შემოწმდეს ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და პასივი, აღრიცხვაში გამოყენებული ყველა დოკუმენტი და გამოვლინდეს გადახრები გათვალისწინებულსა და ფაქტობრივს შორის, ე.ი. აუდიტორები (სააუდიტორო ფირმები) თავიანთი საქმიანობის პროცესში წყვეტენ აგრეთვე აუდიტური მომსახურების რიგ პრინციპებს:

– ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ანგარიშების შედეგების შემოწმება, სამეურნეო ოპერაციების კანონიერება, დახმარება აღრიცხვის ორგანიზაციაში, ანგარიშგების შედგენაში საგადასახადო დაგეგმვასა და გადასახადების გაანგარიშებაში.

– უწყვეტ კონსულტაციებს უწევენ აღრიცხვას და ანგარიშგების ცალკეულ საკითხებზე.

– ახორციელებენ საქმიანობის შედეგების ექსპერტულ შეფასებას და ანალიზს;

– ატარებენ კონსულტაციებს საფინანსო სამართლის, მარკეტინგის, მენეჯმენტში. ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ საკითხებზე.

მათ მოვალეობაში შედის აგრეთვე დოკუმენტების დამუშავება, ინფორმაციის მიღება-დამუშავება, კლიენტების ინფორმაციული მომსახურება და სხვა.

ეკონომიკის დღევანდელი გლობალიზაციის პირობებიდან გამომდინარე, საერთოდ ბიზნესის განვითარება მოითხოვს, რომ სხვადასხვა ქვეყნის ბუღალტრული ანგარიშგების მომხმარებლები „აუდიტის“ ტერმინის ქვეშ გულისხმობდნენ



საქმიანობას, რომელიც პასუხობს საერთო ბუღალტერიის და აუდიტის სტანდარტების გარკვეულ მოთხოვნებს. გარდა ამისა, მოთხოვნათა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს შემდეგი:

– აუდიტი უნდა დაიგეგმოს წერილობითი სახით, რომლისთვისაც უნდა მომზადდეს საერთო დოკუმენტი - „აუდიტის გეგმა“ და უფრო დეტალიზებული დოკუმენტი - „აუდიტის პროგრამა“.

– აუდიტის პროცედურების განხორციელების პროცესი უნდა დაფიქსირდეს სპეციალურ სამუშაო დოკუმენტაციაში, რომელიც აუცილებლად უნდა გაფორმდეს ერთიანი მოთხოვნების შესაბამისად;

– აუდიტორები უნდა პასუხობდნენ გარკვეულ პროფესიულ და კვალი ფიციურ მოთხოვნებს;

– აუდიტორულმა ფირმებმა თავიანთი საქმიანობის ორგანიზაციის და შემოწმებათა ჩატარების პროცესში უნდა განხორციელონ გარკვეული ღონისძიებები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს აუდიტორული შემოწმება ხარისხის შენარჩუნებას და მის გაკონტროლებას;

– აუდიტის განხორციელების პროცესში საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ერთიანი მოთხოვნით იმისათვის, რომ სწორად იქნეს დადგენილი, რამდენად ზუსტად შეესაბამება აუდიტის მიერ მიღებული ბუღალტრული ანგარიშგება მის შინაარსს, რომელიც აუდიტორის აზრით, ჩაითვლება სწორ ანგარიშგებად (სიზუსტის მოცემულ დონეს უწოდებენ „არსებითს“ ან „მატერიალურს“);

– აუდიტორი ვალდებულია შეამოწმოს კლიენტის ყველა დოკუმენტი. დოკუმენტაციის შემოწმება შეიძლება განხორციელდეს შერჩევით.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები და ეთიკური ნორმები არასაკმარისია. შესაძლოა სტანდარტები, რომლებიც საზოგადოებრივი გაერთიანებების მხრიდან იქნება შემუშავებული, მათი დაგეგმ-

ვის დაწევიდანვე მიხნეულ იქნას, როგორც გამოსაყენებლად სავალდებულო ხასიათის ნორმატიული დოკუმენტები.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში აუდიტური საქმიანობის განვითარება უკავშირდება თავისუფალი მეწარმეობისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებით. ამ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, როგორც საბაზრო ეკონომიკის, ისე აუდიტური საქმიანობის დანერგვა მოხდა ზემოდან მაშინ, როდესაც დანარჩენ ქვეყნებში აუდიტური საქმიანობა ისტორიული განვითარების შედეგად აღმოცენდა. ცენტრალიზებული მართვადი ეკონომიკის პირობებში არ არსებობდა მოთხოვნა დამოუკიდებელ აუდიტურ კონტროლზე. კონტროლის ფუნქციას ასრულებდა გარე და შიდა საუწყებო სახელმწიფო კონტროლის სისტემა.

საქართველოში, პირველ ხანებში, საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა აუდიტური ფირმების, როგორც ჩამოყალიბება, ისე საქმიანობა. ამ საქმეში აქტიურად ჩაებნენ საერთაშორისო აუდიტური ფირმები, რომელთა კონსულტაციებით მომზადებულ იქნა აუდიტის უახლოესი წლების განვითარების კონცეფცია.

შემდგომში უცხოელ ექსპერტთა წრე უფრო გაფართოვდა. საქართველოში აუდიტის განვითარებით დაინტერესდნენ მსოფლიო ბანკის და თ ჩჩ-ის ექსპერტები, ხოლო მას შემდეგ რაც აშშ-ის საერთო განვითარების სააგენტოს „USAID“-ის აუდიტური ფირმა „სიბლი ინტერნეშენალის“, აუდიტური საქმიანობის საბჭოს და საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ 1988 წელს ჩატარებული იქნა თეორიული კონფერენცია თემაზე „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა საქართველოს საწარმოებში“. პრაქტიკულად განსაზღვრა აუდიტის რეფორმის განხორციელების აუცილებლობა.

კვლევის პროცესში დადასტურდა, რომ აუდიტორული საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტო-

რია ეთიკის ნორმების დაცვა. ეთიკის კოდექსი შემუშავდა ქართველი აუდიტორებისთვისაც. დღეს ეს კოდექსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს აუდიტორული საქმიანობის ცივილიზებული სისტემის ჩამოყალიბებაში და აუდიტორის პროფესიონალიზმის, მისი კომპეტენტურობის და ზნეობის განსაზღვრაში.

დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოსა და საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ძალისხმევა, რომ მათ ერთ-ერთმა პირველებმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის მოიპოვეს მშობლიურ ენაზე მსოფლიოში აღიარებული „აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტების“ (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების) გამოცემის, მისი წესებისა და დებულებების პრაქტიკაში დანერგვის უფლება.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში აუდიტის რეფორმა სწორი კურსით მიმდინარეობს. წინა წლებთან შედარებით აუდიტურ საქმიანობაში შეინიშნება აუდიტური ბაზრის ათვისების როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მახასიათებლების ზრდის ტენდენცია. ამასთანავე, იკვეთება სერიოზული და საფუძვლიანი სტრუქტურული ცვლილებები, იხვეწება აუდიტორთა კვალიფიკაცია, გაჩნდა მომსახურების ახალი სახეები, გამოიკვეთა მსხვილი აუდიტური ფირმების ჩამოყალიბებისაკენ მისწრაფება, აშკარაა აუდიტური ინდუსტრიის ჩამოყალიბების ნიშნები. დღეს საქართველოში მოქმედ აუდიტორ ფირმათა ერთი ნაწილი მონოკომპანიებიდან ჰოლდინგურ კომპანიებად გარდაიქმნა და პრაქტიკულად მათ უნარი აქვთ ეკონომიკური სუბიექტის საკუთრების ფორმის განურჩევლად ყველა სახეობის აუდიტი ჩაატარონ იმ მოთხოვნების დაცვით, რასაც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს.

დღეს აუდიტურ ფირმათა დიდი ნაწილი მაღალი დონის მომსახურებას ეწევა მესაკუთრეთა (აქციონერთა) უფლე-

ბათა დაცვის კონტროლის განხორციელების ღონისძიებების მოსამზადებლად, ბიზნესის (აქციების) შესაფასებლად, საწარმოს ქონების საბაზრო ღირებულების განსასაზღვრავად, ძირითადი საშუალებების შეფასება-გადასაფასებლად, კომერციული და საბიუჯეტო ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური ავტომატიზაციის განსახორციელებლად და სხვა.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

- 1.საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, თბილისი, 7 თებერვალი, 1995;
- 2.საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება №1 „აუდიტორული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის დებულების შესახებ“, თბილისი, 9 ოქტომბერი, 2002;
- 3.გოდერძიშვილი ი. „აუდიტორული საქმიანობა და მისი საკანონ მდებლო უზრუნველყოფა“, თბილისი, 199;7
- 4.მონტგომერი „აუდიტი“, თბილისი, 2004;
- 5.ჟურნალი „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“, №3 (39), 2003.

## ფრიალ საჭირო და სერიოზული ნაშრომი დასანანი ხარვეზებით

ქართველმა მკითხველმა ახლახან მიიღო სქელტანიანი (926 გვერდის შემცველი) თ. ქიტოშვილის ხელმძღვანელობითა და გ.ცოცანიძის, ნ.ლოლაძისა და ქ. დათუიშვილის ავტორობით, ლექსიკოგრაფიის ინსტიტუტის მიერ მომზადებული „ქართული ლექსიკონი“, რომლის შედგენაში აგრეთვე მონაწილეობდნენ: ლ.ბრეგაძე, ნ.დათეშიძე, ც. კვანტალიანი, მ. კვასხვაძე, მ. კიკონიშვილი, ნ.ლაღარია, რ. ლანდია, ი. ლობჯანიძე, ნ.ნაფეტვარიძე, მ.ნებიერიძე, ნ.ჭუმბურიძე. ლექსიკონის რეცენზენტები არიან შაფრიდონიძე და ლ.ბერძენიშვილი.

ლექსიკონში წარმოდგენილია 25 ათასზე მეტი სალექსიკონო ერთეული, განმარტებულია 9 ათასამდე ნაწარმოები სიტყვა და ფრაზა, მოცემულია 29 ათასამდე ზმნური ფორმა. ამდენად, მომხმარებელს შეუძლია ინფორმაციის მიღება 60 ათასზე მეტი სიტყვისა და სიტყვაფორმის შესახებ (გვ.5).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ასეთ ნაშრომებზე მოთხოვნილება საზოგადოებაში ძალიან დიდია, თვით ფაქტი მისი გამოცემისა მისასალმებელია. თუნდაც რად ღირს ნაშრომში გამოკვეთილად იმის აღნიშვნა, რომ სწორი ფორმულირებაა „არაორდინარული“ და არა- „არაორდინალური“, „აგრარულია“ და არა „აგრალური“, „ეკონომიკური“ და არა „ეკონომიური“ (თუ მომჭირნეობა არაა მხედველობაში), „პროტექცია“ და არა „პროტეკცია“, „პუნქტუალური“ და არა „პუნკტუალური“, „პუნქტუაცია“ და არა „პუნკტუაცია“, „რედაქტორი“ და არა „რედაკტორი“, „სანიტარიული“ და არა „სანიტარული“ ( როცა სანიტარიას ეხება საკითხი), „ტუბერკულოზი“ და არა „ ტუბერკულიოზი“, „ჰეპატიტი“ და არა

„გეპატიტი“, „ჰომეოპათია“ და არა „გომეოპათია“ და ა.შ.

ეს განსაკუთრებით იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეხება, პირველ რიგში, სწორედ იმ ტერმინებს, რომლებიც ხშირად მახინჯდება როგორც წერილობით წყაროებში, ისე ზეპირ-სიტყვიერებაში.

„ქართული ლექსიკონის“ ბევრ სხვა დადებით ასპექტზე შეიძლება მინიშნება. თუმცა, ალბათ, უმჯობესია გადავიდეთ ნაშრომის შეფასებაზე ჩვენი პროფესიული კუთხით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონში ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინები და ცნებები რაოდენობრივად ძალიან შეზღუდულადაა წარმოდგენილი.

განა, რაიმე გამართლება შეიძლება ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ თითქმის ათასგვერდიან ლექსიკონში ადგილი ვერ მოეპებნა მაგალითად, ისეთ მნიშვნელოვან ტერმინებს, როგორცაა „ღირებულება“ - „დამატებული ღირებულება“, „დამატებული ღირებულების გადასახადი“; „ინოვაცია“- „ინოვაციური ეკონომიკა“, „ინოვაციური მენეჯმენტი“; „ბიზნეს-გეგმა“, „ლიზინგი“, „ნოსფერო“, „ნოუ-ჰაუ“, „სინერგია“, „სინერგიზმი“, „ნანოტექნოლოგია“, „ტექნოპარკი“, „ფაქტორინგი“, „ფრანჩაიზინგი“, „ლისტინგი“ და სხვ.

ლექსიკონში არაა მოცემული ბევრი მნიშვნელოვანი ანტონიმი. მოცემულია „დეფიციტის“, განმარტება (გვ.240) და არაა განმარტებული „პროფიციტი“, ახსნილია „ინფლაცია“ (გვ. 303) და გამოტოვებულია „დეფლაცია“, არის „სტაგნაცია“ (გვ.578), „დევალვაცია“ (გვ.237) და არაა „სტაგფლაცია“, „რევალვაცია“ და ა.შ.

ახლა ვნახოთ, თუ რამდენად სწორადაა გადმოცემული იმ ტერმინთა შინაარსი, რაც მოტანილია ტექსტში.

აი, ზოგიერთი მათგანი:

- დასახუსტებელი და გასაერთოებია მსჯელობა იმის შესახებ, რომ საქონლის ღირებულება იგივეა, რაც ფასი (გვ.116,623,652). ეს უზუსტობა გაღრმავებულია ფასდაკ-

ლების განმარტებაში: „ფასდაკლება- ღირებულების (!) ფასის დაკლება...“. კიდევ უფრო ღრმავდება გაუგებრობა „ტარიფის“ განმარტებაში. მაშინ, როდესაც „ტარიფი“ სხვა არაფერია, თუ არა „ფასი“, ნაშრომში ის განმარტებულია, როგორც „ზოგიერთი სახის გადასახადი“ (გვ.589). ავტორთა აზრით, ის არის აგრეთვე „საფასურის დადგენილი ოდენობა“ (გვ. 589). ეს განმარტება კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება ლექსიკონში მოცემული ტერმინის „საფასურის“ განმარტებით. მოცემული განმარტებით: „საფასური“ არის „საფასურის ფასი“ (გვ. 550). მარქსოლოგიური გაგებით ფასი და ღირებულება მკვეთრად განსხვავებულია. ევროპულ ენებში ორთავე ხშირად ერთი მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა, სპეციალურ ლიტერატურაში კონტექსტის მიხედვით განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. დღევანდელ ქართულ საყოფაცხოვრებო, ლიტერატურულ, სამეცნიერო, თუ ოფიციალურ (საკანონმდებლო) ენაში ამ საკითხზე დიდი გაურკვევლობაა. სამწუხაროდ, წარმოდგენილი ნაშრომი ამ მდგომარეობის გამოსწორებას ხელს არ უწყობს;

- სრულიად არაფრისმთქმელია კაპიტალიზმის შემოთავაზებული განმარტება, რომ ეს „არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, რომლის დროსაც წარმოების საშუალებები ეკუთვნით კერძო პირებს“ (გვ.312), ან კიდევ: „ბურჟუაზია-მოქალაქეთა საშუალო ფენის წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში“ (გვ. 89). ჯერ ერთი, ეს განმარტება ეფუძნება საკითხის ერთ კონკრეტულ (კერძოდ მარქსისტულ) პოზიციას, მაშინ როდესაც არსებობს სხვა განმარტებებიც და მეორე, ეს პოზიციაც არაა მოცემული სრულად. წარმოების საშუალებები კერძო საკუთრებაში იყო მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის დროსაც. სასურველი იყო საბაზრო ეკონომიკის კუთხით კაპიტალიზმის განმარტების მოცემა;

- არაპროფესიონალიზმის იერი დაჰკრავს მოგების ლექსიკონში მოტანილ განმარტებას: „სარგებლის

ნახვა“ (გვ.400). სინამდვილეში მოგება არის საქონლის რეალიზაციით მიღებული ამონაგები თანხის გარდანამეტი მის სრულ თვითღირებულებაზე (ე.ი. საქონლის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეულ ხარჯებზე);

- ლექსიკონის ავტორები მართებულად მიუთითებენ იმაზე, რომ როცა პროგრესსა და რეგრესზეა მსჯელობა (მაგალითად, საზოგადოებრივ პროგრესსა და რეგრესზე) სწორია გამოვიყენოთ ფორმულირებები: „პროგრესული“ და „რეგრესული“, მაგრამ ცდებიან იმაში, რომ საერთოდ მიუღებლად მიაჩნევენ (გვ.497) პროგრესიულისა და რეგრესიულის გამოყენებას. მაგალითად, როდესაც საგადასახადო განაკვეთებზე ვმსჯელობთ და ამოსავალს პროგრესიული და რეგრესიული საგასახადო სისტემები წარმოადგენენ, ამ შემთხვევაში აუცილებელია გამოვიყენოთ ფორმულირებები: “პროგრესიული“ და „რეგრესიული“ .

- ლექსიკონში, ისე როგორც არაიშვიათად სხვა პუბლიკაციებსა და ზეპირსიტყვიერებაში, ფიგურირებს ფორმულირება „სააქციო საზოგადოება“ , რაც შეცდომაა, რამდენადაც ის არაა მისი შინაარსის ადეკვატური. როგორც ცნობილია „საზოგადოებები“ იქმნება არა აქციებისაგან, არამედ აქციონერებისაგან, ამიტომ სწორი ფორმაა „აქციონერული საზოგადოება“ (ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია, (რუსულ-ქართული და ქართულ- რუსული). შემდგენლები აკად. პ.გუგუშვილი, აკად. ვ.ჩანტლაძე, აკად. წ/კ ლ.ჩიქავა, აკოშქელაშვილი, თბ.: „სიახლე“, 2001, გვ.10).

- ლექსიკონის მიხედვით, „არენდა“ იგივეა რაც „იჯარა“ და გვირჩევენ ჩვენც ასეთივე ინტერპრეტაცია მივცეთ ამ ტერმინებს(გვ.48), მაგრამ ეს შეუძლებელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი სხვადასხვა შინაარსს გამოხატავენ. არენდა ლათინური სიტყვაა და გაქირავებას ნიშნავს. მეარენდე არენდატორს ხელშეკრულებით აძლევს ქონებას დროებით სარგებლობაში განსაზღვრული ქირით. საარენ-



ლო გადასახადი არავითარ კავშირში არაა არენდატორის შრომითი საქმიანობის შედეგებთან, მაშინ როდესაც იჯარის დროს ესაა მთავარი მომენტი. იჯარა არაბული სიტყვაა და ნიშნავს გასამრჯელოს სამუშაოსათვის. მეიჯარე მოიჯარეს ხელშეკრულებით აძლევს თავის ქონებას დროებით სარგებლობაში. მოიჯარის შრომით მიღებული შემოსავალი ეკუთვნის მეიჯარეს, ხოლო გაწეული შრომისათვის მოიჯარე იღებს ანაზღაურებას მეიჯარისაგან შეთანხმებული ოდენობით (რ. ასათიანი, ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი. თბ.: „სიახლე“, 2010, გვ.26, 162);

- ლექსიკონში აღნიშნულია, რომ მეცნიერებას რომელიც შეისწავლის ხალხთა ყოფაცხოვრებას, მათ კულტურას, ეთნოგრაფია ეწოდება (გვ.251). საკმაოდ დიდი ხანია, რაც საქართველოში ეთნოგრაფიის ნაცვლად იყენებენ ეთნოლოგიას. შესაბამის ინსტიტუტსაც კი შეეცვალა სახელი. ყოფილ „ისტორიისა და ეთნოგრაფიის“ ინსტიტუტს ახლა „ისტორიისა და ეთნოლოგიის“, ინსტიტუტი ეწოდება. ეს გაორება მოხდა საბჭოთა წარსულის მქონე ქვეყნებში, თორემ დასავლეთში ყოველთვის „ეთნოლოგიას“ იყენებდნენ. ასეთ საკითხებში დიდი სიზუსტეა საჭირო.

- „გადასახადი. თანხა, რომელსაც მოქალაქეები იხდიან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ“ (გვ.101). გადასახადს იხდის არამარტო მოქალაქე, არამედ მოქალაქეობის არ მქონე ფიზიკური პირიც და აგრეთვე იურიდიული პირები (მაგალითად, მოგების გადასახადი). ბიუჯეტში შეტანილი ყველა თანხა არაა გადასახადი. ესაა მხოლოდ სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი. ამასთან, ეს შენატანი ხორციელდება არამარტო სახელმწიფო ბიუჯეტში, არამედ ბიუჯეტში ზოგადად, ხოლო კონკრეტულად ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიც, ავტონომიური რესპუბლიკისაც და ადგილობრივიც (საქართველოს სინამდვილის მიხედვით);

- „გადახდისუნარიანი-ქონებრივად შეძლებული, ვისაც

გადახდა შეუძლია. გადახდისუნარიანი მოსახლეობა“ (გვ.107). თითქოსდა მარტივად და გასაგებადაა განმარტებული. სინამდვილეში ყველა სიტყვა ბუნდოვანი და დამაბნეველია. გადახდისუნარიანობა გამოხატავს, როგორც სახემწიფოს, ისე იურიდიული და ფიზიკური პირის ფინანსურ მდგომარეობას და პირდაპირი კავშირი „ქონებრივ შეძლებულობასთან“ არ აქვს. შეიძლება ქონებრივად შეძლებული გადახდისუნარი იყოს, ხოლო ქონებრივად არაშეძლებული- გადახდისუნარიანი. როდესაც განიხილება კონკრეტული შემთხვევა, მაშინ იგულისხმება, რომ გადახდისუნარიანობას აქვს პარამეტრიკერძოდ, მოთხოვნის სახით. მოთხოვნის სახით გადახდისუნარიანობა გამოხატავს მოთხოვნილებების, სურვილების იმ ზომას, რომლის შექმნაც შეუძლია პირს.

- „დარგი. მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის ან წარმოების დამოუკიდებელი სფერო. ენათმეცნიერების დარგი“ (გვ.208). აქ, საუკეთესო შემთხვევაში, ჩამოთვლილია ზოგიერთი დარგი, მაგრამ ფაქტობრივად არაა განმარტებული დარგის არსი. ამიტომაც მკითხველი ვერ დებულობს განმარტებას დარგების უზოგადეს სტრუქტურაზე საზოგადოებაში: მთლიანი შიგა პროდუქტის შექმნაში მონაწილე დარგები (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვ.) და სოციალური სფეროს დარგები (განათლება, ჯანდაცვა, მეცნიერება და სხვ.) რა მიმართებით იწოდებიან დარგებად, რა არის ამის საფუძველი?

- უცნაურადაა განმარტებული ეკოლოგია (გვ.25). „ეკოლოგია. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მცენარეთა და ცხოველთა დამოკიდებულებას ერთმანეთთან და საარსებო გარემოსთან“. ამისგან განსხვავებით, ეკოლოგიაში მთავარია „ადამიანთა ურთიერთობა გარემომცველ ბუნებასთან, რაც გულისხმობს რესურსების ეკონომიურ გამოყენებას, მათ დაცვასა და აღდგენას“ (ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. აკად. ა.სილაგაძის რედაქციით. თბილისი. 2005,

გვ.224).

- ვერ გავიზიარებთ ნაშრომში მოცემულ „ეკონომიკის“ განმარტებას, განსაკუთრებით პირველ ნაწილს: „ეკონომიკა. 1.წარმოების ურთიერთობანი, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას. ქვეყნის ეკონომიკა“. (გვ. 251). საქმე მარტო ის კი არაა, რომ ეს განმარტება მარქსისეული პოზიციის ელემენტებს შეიცავს და ის დაშორებულია დღეისათვის გავრცელებულ პოპულარულ განმარტებებს. მოცემულ განმარტებაში მარქსისტული პოლიტიკონომიის პოზიციაც არაა სწორად წარმოდგენილი.

- არასრულია შემდეგი განმარტება:“თვითღირებულება. თანხა, რომელიც დაიხარჯა საქონლის(პროდუქციის) წარმოებაზე (გვ.289). თვითღირებულება პროდუქციის არა მარტო წარმოებაზე, არამედ აგრეთვე რეალიზაციაზე მიმდინარე დანახარჯებია ფულადი გამოხატულებით;

- უკომენტაროდ ვფიქრობდით მოგვეტანა შემდეგი განმარტება - „კომუნიზმი. 1.საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, რომელიც დაფუძნებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე. კომუნიზმის ეპოქა“ (გვ. 331) - თუმცა, გადავიფიქრეთ. მიუხედავად იმისა, რომ იყო სახელმწიფოები რომლებიც კომუნისტურს უწოდებდნენ თავის თავს (საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია და სხვ.) და არიან ქვეყნები კომუნისტური (ჩინეთი, ჩრდილოეთი კორეა, კუბა), აუცილებელია აღინიშნოს, რომ კომუნისტური საზოგადოება პრაქტიკულად არ განხორციელებულა და მისი შექმნის სურვილი ყველგან უშედეგოდ დასრულდა, ან პარტიულ ტოტალიტარიზმში გადაიხარდა.

- “კრედიტი-ბანკისგან სესხად გაცემული თანხა“. (გვ.338). ეს განმარტება სწორია, მაგრამ არასრული. „კრედიტი“ უფრო ფართე შინაარსისაა: კრედიტი 1. სესხი ფულადი ან საქონლური ფორმით ვადიანობის, დაბრუნებადობისა და როგორც წესი, პროცენტის გადახდით; 2.საბუღალტრო ან-

გარიშის მარჯვენა მხარე. გარდა ამისა, არსებობს კრედიტის მრავალი სახე;

- „ლიკვიდური, რის განაღდებაც, ფულად ქცევა შეიძლება. ლიკვიდური საქონელი. “(გვ. 350). არც აქ და არც ფულის (გვ.635) განხილვის დროს არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ყველაზე ლიკვიდური თავად ფულია. ამიტომ, სწორად მიგვაჩნია განმარტება: „ ლიკვიდური აქტივები-აღვილად რეალიზებადი სახსრები - მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები, მიმდინარე ანგარიშები, ნაღდი ფული, რომელსაც არ მოაქვს შემოსავალი სარგებლის სახით“ (რ.ასათიანი. თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ.,2012, გვ. 209);

- განხილულია „მოთხოვნისა“ და „მოთხოვნილების“ ცნებები ორ-ორი მნიშვნელობით (გვ.404). თუმცა, არაფერია ნათქვამი ეკონომიკური შინაარსის შესახებ, თუნდაც მესამე მნიშვნელობით მაინც. მით უმეტეს, რომ ეს კატეგორიები ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადია საბაზრო ეკონომიკის პირობებში;

- მეტად უხერხული და ტავტოლოგიურია განმარტება: „პროდუქცია.წარმოებაში, მეურნეობაში ან მრეწველობის რომელიმე დარგში შექმნილი პროდუქტი...“

- „რეგიონალური იგივეა,რაც რეგიონული“ (გვ. 508). ბოლო პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში საკვებით სამართლიანად დამკვიდრდა, ჩვენი აზრით, სწორი ფორმა- „რეგიონული“, რაც წარმოებულია „რეგიონიდან“;

- „ნაყოფიერება 1, ნაყოფის მოცემის უნარი. მიწის ნაყოფიერება,“ ეს სწორია, მაგრამ მას შემდეგ მოსდევს“ 2.შედგვის მომცემი, წარმატების მომტანი. ნაყოფიერი შრომა“, რომლის გამოსახატავად ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა „მწარმოებლური შრომა“, „შრომის მწარმოებლურობა“ და ა.შ. ამის მინიშნება ურიგო არ იქნებოდა.

ჩვენ შეგნებულად შემოვისაზღვრეთ ძირითადად მეცნიერების ერთი სფეროთი. თუმცა, ესეც საკმარისია განზო-

გადებისათვის. გლობალიზაციის პერიოდში, როდესაც იმდენად დიდია ინფორმაციული ნაკადები და მასთან ერთად უცხო სიტყვებისა და ტერმინების შემოდინება, როგორც მეცნიერებაში, ისე საყოფაცხოვრებო დონეზე, რომ ჩვენნი პატარა ერებისათვის, ამ პროცესებისადმი წინააღმდეგობის გაწევა მოითხოვს ერის ყველა და პირველ რიგში ინტელექტუალური ძალების მობილიზებას. არც ერთ ავტორს ან ავტორთა ჯგუფს არ შეუძლია ამ ამოცანის სრულად გადაჭრა. ამისათვის უპრიანია ქვეყანაში სახელმწიფოს პატრონაჟითა და დაფინანსებით არსებობდეს ენის სადარაჯოზე მდგომი მუდმივმოქმედი ორგანო. აუცილებელია სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების შესახებ კანონის მიღება. მანამდე კი ყველა ცალკეულ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ყველა ის რესურსი რაც არსებობს. ამით მარტო მეცნიერულ ეთიკას კი არ ვცემთ პატივს, არამედ წინ წავწევთ ქართულ საქმეს და თავიდან ავიშორებთ ზემოთ მითითებულ შემთხვევას - ნაშრომის საგანზე ქართველ ავტორთა უგულვებელყოფას და აქედან გამომდინარე, დასანან ხარვეზებს.

**ლეო ჩიქავა**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,**

**რევაზ ბოგოზია**

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი“ რედაქტორი,**

**მისეილ ჯიჯუბი**

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარე.**

---

---

**ჟურნალში – „ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო სტატიის  
წარმოღობის და გამოქვეყნების წესი**

1. ჟურნალში ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე ქვეყნდება სტატიები ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, ასევე, რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

2. სტატიაში წარმოდგენილი უნდა იყოს: საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიახლე), რეკომენდაციები.

3. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ფორმატით. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე 1,5 ინტერვალით და 11 შრიფტით ნაბეჭდი ტექსტის 15 გვერდს.

4. ქართულ ენაზე დაწერილ სტატიას უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-დან 1500-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილ სტატიას თან უნდა ახლდეს ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.

5. რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელვერსიასთან ერთად( MS word, ქართული სტატია შრიფტით AcadNusx, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი - Times New Roman).

6. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

7. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევი პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები,

---

წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი;  
ბ) საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი.

ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [5, გვ.41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

8. ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნუმერაცია.

9. მაგისტრანტს (მაგისტრს) მოეთხოვება თავისი დამოუკიდებლად შესრულებული სამეცნიერო სტატია წარმოადგინოს მეცნიერ-ხელმძღვანელის დასკვნასა და შესაბამისი კათედრის რეკომენდაციასთან ერთად - ოქმიდან ამონაწერის სახით.

10. სტატიას, რომელიც არ პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, რედაქცია არ მიიღებს

11. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტებისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავტორები იხდიან საფასურს – ერთ გვერდზე 5 (ხუთ) ლარს, რაც მათ მიერ ჩაირიცხება თსუ-ის ეკონომიკური შემოსავლების ანგარიშში.

საკონტაქტო ტელეფონები:

2 30 36 68; 2 30 40 78;

599 24 77 47; 599 10 38 16

e-Mail: ebf.journal@tsu.ge

---

ISSN 1987-5789



დაბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -  
მანანა ჯიხვიშვილი